



F-565
1964

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԱՐԴՅՈՒՆՈՒԹՅՈՒՆ

ԵՎԱՀԱՆ

19464

ଶ୍ରୀତିବାକୁତୁମୁଣ୍ଡ-ଶ୍ରୀତିବାକୁମ୍ଭାବୁ ଓ ଶ୍ରୀତିବାକୁମ୍ଭାବୁ
ଶାଖାଧୀନପାଇବାରେ - ୩୩୩୦ଟିକାରୀ
ଶୁରୁବାଲୀ

საქართველოს მფრინავთა
კავშირის აპარის
განყოფილების ორგანო

20533660

3. ଲ୍ଲୋରିଡ — ଫାଗ୍ଵାନ୍ଦ୍ବୁଲ୍ଲା	
ମଧ୍ୟରୁଣ୍ଜେଲ୍ଲାଙ୍କା (ମନୋଶରଙ୍କା)	3
8. ପାରଶବରିପା — ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ	24
6. ପାଇସପାହି — ବାଦ୍ରୀ ସାନ୍ତରାନ୍ଦ ଶିଳ୍ପାରୁଲ୍ଲା (ମନୋଶରଙ୍କା)	27
୩. ପାତାପାହି — ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ	32
୯. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ	34
୧. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ଧନାରାଣିନୀ (ମନୋଶରଙ୍କା)	36
୩. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ	46
୨. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ ଏବଂ ଉନ୍ନିଦା ଶାଙ୍କାନ୍ଦାନ୍ଦ (ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ)	48
୩. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ତ, ରାମିଦ୍ରେଷ୍ମା ପ୍ରିୟାଲ୍ଲଭା ତୁରନ୍ତରୀ ହିଂଗରା (ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ)	50
୨. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ (ମନୋଶରଙ୍କା, ବିଦ୍ୟାଲ୍ୟରୁକୁଳାଙ୍କ ତାରି ଖମ୍ବା ଗ. ମାତ୍ରିକାରୀମ୍ଭାବୀ)	51
୬. ପ୍ରେରଣାଶୀଳୀ — ଲ୍ଲେକ୍‌ସେବୀ (ତାରିଖମ୍ବା ଗ. ଶାଲ୍ଲୁକ୍‌ବାର୍ଗା)	56

ივლისი
ეპისტოლი

୧୯୫. "ସାଧକଣତା ଅନ୍ତର୍ମଲୋକ"



პრიტიკა და გუბლიცისტიკა	
3. მიმშევ — ალექსანდრე წულუ- კიძის ლიტერატურულ-კრიტიკუ- ლი შეხედულებანი	66
4. ნაცვალებე — დათა გუგუნავა	72
5. ძურიძე — „ვისრამიანის“ ზეობრივი სინამდვილისათვის	75
 პრარის წარსულიდან	
6. სურგულები — მარქსისტული ლიტერატურა ბათუმში XIX საუკუნის დამლევს	84
7. სურგანიძე — გიორგი ყაზბეგის სამედიცინო-გეოგრაფიული ცნო- ბები აჭარაზე	88
 სატირა და იურიკი	
8. როვენა — აიწონა-დაიწონა	92

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნ. ანგლედიანი, ნ. გვარიშვილი, მ. ვარშანიძე (3/მგ. მდივანი),

პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გოგებაშვილის ქ. № 24.

რედაქციები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდივანის — 33-72.

პარმენ ლორია

დაგვიანებული მზრუნველობა

ქალაქის განაპირა ვიწრო ქუჩით პატარა ბიჭი მიცუნცულებს და თან მალიმალ აქეთ-იქით იცქირება.

შეგვიანებული საღმოა. უბერავს ნოემბრის ცივი ქარი. ქალაქში ნის-ლი ჩამოწოლილა. აქა-იქ ბოძებზე ელნათურები თავის ირგვლივ ძლივს აშუქებენ.

ქუჩა თანდათან ვიწროვდება, ზემოთ მიიწევს და ბიჭიც მიჰყვება მას აჩქარებული ნაბიჯით.

ღამდება, სიბნელე თანდათან მატულობს და ქარიც ძლიერდება. ბიჭი კი მიდის, მაგრამ ახლა უფრო დინგად და აუჩქარებლად. უეცრად ერთ ადგილს შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, ცოტა ხანს იდგა, შემდეგ სწრა-ფად გადასერა ქუჩა, ძველ ქოხს მიუახლოვდა, კვლავ მიმოიხედა, ქოხს მიფარებული ფიცარი მოაცილა, დაიხარა და შიგ შეძრომა დაპირა, მაგრამ ამ დროს...

— დაიჭით ქურდი! — გაისმა სიბნელეში ბოხი ხმა.

ბიჭი შეკრთა, შეჩერდა. განაზრახზე ხელი აიღო, სწრაფად მიტრიალ-და და აღმა მოუსცა.

— დაიჭით ქურდი! ქურდი დაიჭით! — განმეორდა ბოხი ხმა და მამა-კაცი ბავშვს გამოუდგა.

აქამდე ქუჩაში არავინ ჩანდა, ახლა კი ამ უცნობი ბიჭის ბედად გამო-

ჩნდა ვიღაცა, ბიჭს წინ გადაუდგა, ხელი სტაცა და ისე მაგრად უძრავიდა
რომ ბავშვები ტკივილისაგან შეჰქივლა.

— ყოჩალ! ყოჩალ! — მოისმა ამ ღროს ბოხი ხმა და ხანში შესული
მოხუცი ბარბაცით მივიღა გაკავებულ ბიჭთან.

— აჲ, ეს თქვენა ხართ, ძია ლექსო? — იცნო ბავშვის დამჭერა მო-
ხუცი. — ალბათ, ჯიბიდან ქისა ამოგაცალა ამ ვერანამ, ა? აი, შე სასიკვ-
დილევ, შენა, პაპისოდენა კაცს აგეთი რამე უნდა ჰყალჩო?! — და ბავშვე
ერთი თუ ორი მაგრად უთაქა.

— ნუ მომკლავთ! — სასოწარკვეთით შეყვირა ბავშვმა.

— ეყოფა! — შეაჩერა მოხუცმა ბიჭის დამჭერი.

— მასეთებს ცემა თუ გამოასწორებს, ძია ლექსო!.. სულ ერთიანად
გაგვცალეს ქათმებისაგან. ბუდეზე კვერცხი არ დაგვიტოვეს მძევლად.

— ვიცი, ვიცი. განა არ ვიცი, რასაც სჩადიან. — თქვა მოხუცმა. —
მაგრამ აღამიანის შვილები არიან და... ეჲ, ამ ომშა და სიღარიბემ სულ
გარყვნა ხალხი. მომიყვა აქ. — ბავშვს ახლა მან ჩასჭიდა ხელი და წასვ-
ლა დააპირა. — გზაც იქითა მაქვს და ამასაც მათ ჩავაბარებ. მოუარონ,
ნუ გამოუშვებენ ქუჩაში საწანწალოდ.

— აგრე იყოს. თქვენ უკეთ იცით, ძია ლექსო. — დასტური დასცა
ვაუკაცმა და თავისი გზით წავიდა.

— თქვენი ჭირიმე, იქ ნუ, ბატონო ძია, კეთილო ძია, იქ ნუ...
მოხუცმა ეჭვით გადახედა ბავშვს.

— მაშ, იცნობ იქაურობას? ჩანს, არ ყოფილხარ გამოუცდელი. მეო-
რეხელ არ გსურს მოხვდე, განა? ასე თუ გინდოდა, დროზე უნდა გეფიქრა,
სხვის ბელელში რომ მიძვრებოდი... გამომყე-მეთქ!

— თქვენ შემოგევლეთ, აქვე მომკალით და იქ ნუ წამიყვანთ. — მუხ-
ლებზე დაეშვა ბავშვი. — კეთილო ძია, კეთილო აღამიანო!...

მოხუცს ოდნავ მოულბა გული.

— მაგრამ ქურდის გამშვებიც რომ დამნაშავეა?

— ქურდი არა ვარ, ბატონო! დამიჯერეთ, არა ვარ ქურდი, არც დამ-
ნაშავე, არც ბოროტი და უსინდისო.

— რასაკვირველია, მართალი და პატიოსანი ბრძანდებით! — დაცინ-
ვით უთხრა მოხუცმა. — შეცდომით მიძვრებოდი სხვის ბელელში, ხომ
აგრეა!?

— ის ბელელი არ არის, ძია ბატონო. — წამოსცდა ბავშვს.

— მაშ რა არის?

— მხოლოდ თივა ალაგია, ძია ბატონო.

— თივა? მერედა, თივა უნდა წაგელო?

— არა, ცივი დარია და... იქ თბილა... გამიშვით, თქვენი ჭირიმე, იქ
აღარ შევალ, წავალ, სულ სხვაგან დავიდებ ბინას.



— რაო, რა თქვი? სხვაგან დაიღებ ბინას? განა უბინაო ხარ? ურატა
არონ და უთავშესაფარო?

— დიდი ხანია დაობლებული, მაგრამ... — ატირდა ბავშვი.

— შენ მართალს ამბობ, ბიჭო? — შეწუხდა მოხუცი.

— მამის სულს გეფიცები. ხუთი წელია მხოლოდ საფიცრად მაქვს
იმისი სული. — და ბავშვი ხმამაღლა აქვითინდა.

— იყუჩე, შვილო! — ბავშვს მაჯაში გაუშვა ხელი და ქოჩორა თავზე
გადაუსვა. — აგრე გეთქვა, შე კაი კაცო! ობოლი და უპატრონო ვის
გაუგდია ქუჩაში და გზაშარაზე. გამომყე.

— იქ არა, ბატონო ძია. — შეეველრა ბიჭი.

— ძიას კი ნუ დამიძახებ... პაპად გერები, შენაც პაპა მიწოდე და
გამეხარდება. — ახლა კეთილად ჩასჭიდა ხელი მოხუცმა ბავშვს და გაი-
ყოლია. — აქვე ვცხოვრობ, შვილო, ერთ ქოჩში მარტოდმარტო. გამომყე,
ნუ გეშინია, თავშესაფარს და ლუკმას არ დაგამადლი და, შრომას თუ არ
დაიზარებ, კარგ ხელობასაც გასწავლი... შენი სახელი?

— გიას მეძახიან, პაპა ბატონო!

— ეგ ბატონოც აღარ გინდა... რა გვარისა ხარ, ჩემო გია?

— გორგოძელი, ძვირფასო პაპა. — მიუგო ბავშვმა.

— გორგოძელი. კარგი გვარი გქონია, შვილო... ჰო, დანარჩენზე შემ-
დევ ვილაპარაკოთ. ცოტა ნასვამი ვარ და. შენ არ სვამ ღვინოს?

— რა ღროს ჩემი ღვინოა, ბაბუ. ჯერ ცამეტი წელიც არ შემსრულე-
ბია. — გიამ სიყვარულით გამოდო ხელი მოხუცს და ფეხდაფეხ გაჰყვა.

მოხუცი ერთ პატარა ეზოსთან შეჩერდა, წიხლისკვრით შეაღო ცალ-
ფა ჭიშკარი და შიგ შევიდა.

ბავშვიც შევყა.

ეზოში ორი ძირი ჭერამის ხე იდგა და სამიოდე სარჩე აკრული ვაზი.
სიბერელეში სხვა ვერაფერი გაარჩია ბავშვმა.

— ჩემი ქოხიც ასევე ვიწროა, როგორც ეს ეზო, მაგრამ მამისეულია
და მიყვარს. ვერ მიმიტოვებია. ხომ იცი, სადაც ვშობილვარ, გავზრდილ-
ვარ...

— და მისროლია ისარი. — მიაშველა ბავშვმა.

— ოჳო, გცილნია! ჩვენებური კაცის ნახელავია. ჰაი, ჰაი, რომ ასეა.
ჭართველ კაცს მამულის სიყვარულმა შეუნარჩუნა სამშობლო, თორებ
რამდენი ჩვენზე დიდი ერთ დაკარგულა და გადაშენებულა.... ჰო, შემოდი!

— და მოხუცმა ქოხის კარი შეაღო და შევიდა.

ბავშვს არ მოეწონა მოხუცის ბინა. ნივრისა და ღვინის სუნი იდგა.
კიდლები დიდი ხნის შეუთეორებელი და ჭუჭყიანი იყო. იატაკზე პურისა
და მწვანილის ნამცეცები ეყარა, მაგიდაზე — ხმელი პურის ნაჭრები და
ცარიელი ბოთლები.

— არ მოგწონს განა? — შეატყო მასპინძელმა ბავშვს უქმაყოფილება.

— რატომ?! — კვლავ მიავლ-მოავლო თვალი ბიჭმა იქაურობას. — მარტო ცხოვრობთ?

— მარტოდ, შვილო, მარტოდ... ჰოდა, მარტოხელა კაცის ამბავი ხომ იცი... წუხელის ბიჭები იყვნენ და... — მოხუცი შეეცადა მაგიდის ალა-გებას, მაგრამ ძალა არ ეყო და იქვე ტახტზე მიწვა.

— მე ავალაგებ, ბაბუ, თქვენ მოისვენეთ. — მაგიდასთან მივიდა ბიჭი და ცარიელი ბოთლები გადმოალაგა.

— ჰო, შვილო, ჰო, აალაგე! ღმერთი სიკეთეს მოგცემს... მე კი ვერაფერი მასპინძელი დაგიხვდი... ასეა, კაცი რომ მოხუცდება. ადრე ხუთი ხელადა ღვინო ვერას მაკლებდა, ახლა კი... ორიც არ შემისვამს და... არა. შენ ჭევიანი ხარ, ღვინოს რომ არ ეტანები. მე კი შენოდენა რომ ვიყავი... ეჰ, სადღაა ის ღრო... დიდი გახდები და... მაგრამ არა. არასოდეს ღვინოს არ მიეძალო... სმა-ჭამაში შეჯიბრს ნაგვის თრევა გერჩიოს... — და ამ ლაბარაკში მოხუცს ჩაეძინა. ჩაეძინა ისე, რომ პატარა სტუმრისათვის საწოლიც არ მიუჩინია.

ბავშვმა მაგიდა აალაგა, ოთახი გამოგავა, ჭურჭელი დაასუფთავა და, ყველაფერს რომ მორჩა, მაშინ მოაგონდა, უკვე დაწოლის ღრო იყო და ლოგინი უნდა გაეშალა, მაგრამ ლოგინი არსად ჩანდა.

„იქ თივა მაინც იყო“, გაიფიქრა ბავშვმა და ტახტზე გაშოტილ მასპინძელს გადახედა. „გული კეთილი ჰქონია, ჭკვა კი ნაკლები“. მაგიდასთან ჩამოვდა, თავი ჩამოდო და ისე ჩაეძინა, რომ არაფერი გაუგია.

მოხუცმა მალე გამოიღვიძა და, მისი პატარა სტუმრი რომ მაგიდაზე თავჩამოდებული და სიცივისაგან მოკრუნჩხეული ნახა, გული დაწვა.

— იქ თივა მაინც ექნებოდა. — ჩაილაპარაკა მან ნაღვლიანად. — თუ ადამიანის მიშველება არ შეგიძლია, ნურც მისი დარღვევარამის გაეგბას მოიწადინებ.

ახლა იგრძნო თავისი დანაშაული და სინდისის წინაშე შერცხვა.

— ვერ მომივიდა კარგად. — თქვა და პატარა სტუმრის პატივისცემა მოიწადინა. გამოიტანა ერთადერთი სუფთა ლოგინი, რომელიც ასეთი შემთხვევისათვის ჰქონდა შემონახული პაპისეულ ძველ სკივრში. ლოგინი იატაზზე გაშალა, მერე მძინარე ბავშვთან მივიდა, ფეხსაცმელი გახადა, პიჯაკი მოაძრო, შემდეგ ფრთხილად იყვანა და ისე ჩაწვინა ლოგინში, რომ ბავშვი არც განძრეულა.

— ეჰ, რა კარგია ბავშვობა! — მძინარეს გადახედა და გული შეუტოვდა. — ახლა მაგის ბეღზედაც უნდა ვიზრუნო. მერე? შევასრულებ კა კეთილშობილი ადამიანის მოვალეობას? — ამ ფიქრით დაწვა იგი, მაგრამ აღარ დაძინებია. ალკოჰოლის ძალა გამოლეოდა თავში და მის ნაცვლად მრავალფეროვანი ფიქრები უტრიალებდნენ.

გათენდა. ბავშვს ტკბილად ეძინა. ორც კი ოცოდა სად იწვა და ვის
ბინაზე. ფერად-ფერადი სიზმარი ადგა თავს და, ხან თუ სიამეს მოჰკვერილარი
და ტუჩს ლიმი ღაადგებოდა, ხან კიდევ მწუხარება უცვლიდა სახეს და
მაღალი შუბლი ნაოჭებით გაეცესებოდა.

— უნდა გაჭამო რამე! — ჩაილაპარაკა მოხუცმა და ოთახში მიიხედ-
მოიხედა, მაგრამ იქ არაფერი იყო კბილმოსადები.

წახალ, ვიყიდიო, გაითიქრა, მაგრამ ამ დროს პატარა სტუმარმაც
გაახილა თვალი და წამოიწია.

— ტკბილად გეძინა? — გაუღიმა მოხუცმა.

— ტკბილად! — მიუგო ბიჭმა და, თავის სუფთა ლოგინს რომ დახე-
და, გაუკვირდა.

— მაპატიე, რომ დროულად ვერ გაგიშალე. ახლა კი საუზმე გინდა,
მაგრამ... სამუშაოდ რომ არ მეჩქარებოდეს... — ჭიბეში ხელი ჩაიყო და
გროშები ამოილო. — აპა, წახალ, იქვე ახლოს საჩაიერა, ისაუზმებ. შემ-
დეგ კი...

— მაღლობელი ვარ. მეც წავალ ახლა. — სწრაფად წამოხტა ბავშვი.

— წახვალ? აკი თქვი, უპატრონო ვარო? სად უნდა წახვიდე?

— მაგრამ აქ, ხომ...

— არ მოგწონს ჩემი ციხე-დარბაზი? არა უშავს. როგორმე მოვეწყო-
ბით და შევეგუებით... ვიცხოვროთ ერთად. რას იტყვი?

ბავშვმა თავი დახარა.

— თუ ისურვებ და დამიჯერებ, მოგაწყობ ჩვენთან ქარხანაში და სა-
კუთარ ლუკმას გაიჩენ. თანახმა ხაჩ? — თავზე დაადო ხელი მოხუცმა
ბავშვს და გაუღიმა. — ისეთ ოსტატთან მიგაბარებ, ოქროს ხელი აქვს.
რას იტყვი?

— მაღლობის მეტი რაღა უნდა ვთქვა?

— მაშ კარგი. — დღეს იქ დირექტორს შევუთანხმდები და ხვალ დი-
ლით თან გაიყოლებ.

ბავშვმა თანხმობის ნიშნად მოხუცს მარჯვენაზე აკოცა.

გია მთელი დღე მუშაობდა ოჯახში. სულ ცველაფერი გამოალაგა,
დაწმინდა, დაასუფთავა, კედლები, ფანჯრები, კარები ცხელი წყლით გა-
რეცხა. იატაკი მოწმინდა, შემდეგ ეზო დაგავა და, როცა ყველაფერი მო-
ათავა, თავისთავი შემდეგ გაახსენდა. წავიდა მახლობელ სავაჭროში,
პური და ძეხვი იყიდა და დანაყრდა.

მოხუცი საღამოს აღრიანად მოვიდა და გაოცდა:

— ეს ასე მაღლიანად ვის მოუნათლავს ჩემი ქოხი? ალბათ, შენ,
ჩემი პატარა ვაჟკაცო?

— მე დავალაგე. — ორც თუ ხალისიანად მიუგო ბავშვმა.

— მერე, შენ ვინ მოგცა ამდენი შეძლება? ვაჲ, ვაჲ, ამას დამიხედეთ,

ედლებიც ჩამოურეცხავს. კარებიც. ჰერიც! ვა, ეს რამდენი გიმუშავნია.
ჩემო ძმაო, ა? მე მხოლოდ გაზაფხულზე ვაპირებიდი ვინმეს დაქირავებისა
სა და დალაგებას....

— გაზაფხულამდე ჯერ ხომ შორს არის, ბაბუ?

— შორს არის, მაგრამ აა მექნა, დაველოდებოდი. — მოხუცი წა-
მოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და უცხად გუშინდელი დაპირება გაიხსენა.

— დღეს ვეღარ მოვახერხე უფროსის ნახვა, მაგრამ ხვალ უთუოდ
შევცვდები და მოველაპარაკები... — გიამ რომ პირი იბრუნა, მოხუცს სხვა-
ნაირად ენიშნა. — იქნებ არ გინდა? გადაითიქრე?

— რას ბრძანებთ, ბაბუ?! თუ კი მიშველით და გზას დამაყენებთ...
თუ კაცი გავხდი და გამოვდექი... დაგიფასებთ ამაგსა და მზრუნველობას.

მოხუცს ახლა უფრო მოეწონა პატარა სტუმარი. მისი მაღალი და გა-
ნიერი შუბლი, გრუზა შავი თმა და გრძელი წამწამები, ვაჟკაცური მი-
მოხვრა და ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი.

— შენ თქვი, რომ მამა ომში დაკარგე. დედა? — ახლა მოაგონდა
მასპინძელს სტუმრის გუშინდელი ნათქვამი. — თუ თვალზე ძილი არ
გადგას, მომიყევი შენი ამბავი, შვილო!

...გიამ რომ მამა ომში გააცილა, ექვსი წლის იყო. სულ მოკლე ხანში
მოვიდა მისი დაღუპვის ამბავი და მიღებული ჯილდო. მამაცურად იბრძო-
და, იწერებოდნენ ნაწილიდან. დედამ სამი წელი იგლოვა. მეოთხე წელს
კი გათხოვდა. ერთ სოფლელ ქვრივს გაჰყვა. გიაც თან წაიყვანა, მაგრამ
გერი ვერ შეიგუა მამინაცვალმა და გამოაგდო. დედას გული დაეწვა,
შვილს გამოჰყა, ქალაქში ჩამოიყვანა და ბიძას ჩააბარა. ძმისშვილია და
ღროებით ეპატრონექო.

გიას ბიძა ლევან გორგოძელი შეძლებული კაცია. საკუთარი სახლი
უდგას ახალშენის უბანში. კარგ ადგილის მსახურობს. გიას მამის საზიარო
ქონებასაც ის პატრონობს სოფელში და მოელი შემოსავალი მიაქვს. სწო-
რედ ამის გამო უფრო გაუბედა მაზლს გიას დედამ ძმისშვილის ჩაბარება.

ბიძა ერთხანს კარგად ეპყრობოდა ძმისშვილს, სკოლაშიც ატარებდა,
მაგრამ შემდეგ თანდათან შეიცვალა გუნება. განსაკუთრებით ცოლმა იმ-
ქმედა მასზე. საკუთარი შვილები გაიჩინე და ეპატრონე ისა სჯობია, მაგ
მაწანწალაზე მზრუნველობას, ჩასჩინინებდა მუდამ და ბოლოს ქმარმაც
დაუჭერა. საკუთარი შვილი ვერ გაიჩინა, მაგრამ გია სკოლიდან გამოიყვა-
ნა და სახლიდან დაითხოვა. წადი დედაშენთან და გიპატრონოსო. ორიოდე
გროშიც ჩაუდო ჯიბეში და სამგზავრო ბილეთიც შეუძინა. გიამ იცოდა, რა
მოხდებოდა, მამინაცვალს რომ ჩვენებოდა, როგორ აირეოდა ყველაფერი
და ისევ ქალაქში დაიჩინა აჩჩია. სანამ თბილი დარები იდგა, არ უძნელ-
დებოდა ღამის გათევა, მაგრამ ამინდი რომ შეიცვალა და აცივდა...

— იმ ქოხს მივაგენ. შევიტვრიტე, თივა ელაგა. გვერდის. ფიციურ-გვერდის...
ცალე, შიგ შევგვერი და... თბილად მეძინა, მაგრამ...

— გასაგებია. — თქვა მოხუცმა. — მეორე ღამის გათევა კი სულ
სხვა ადგილს მოგიხდა, არა?

— თქვენი კეთილი გულის წყალობით, ძვირფასო ბაბუ. — სიყვარუ-
ლით შეხედა გიამ მოხუცს და გაიტიქრა. „ნეტავი სმა არ უყვარდეს და
მუდამ ასე კეთილი იყოსო“.

იმ დღეს ოჯახში გიას იმდენი საქმე აღარ ჰქონდა: ალაგებისა და სა-
დილის შემდეგ სრულიად თავისუფალი იყო და იმაზე ფიქრობდა, თუ რა
ამბავს მოუტანდა ბაბუა ლექსო, ინახულებდა თუ არა ქარხნის უფროსს
და დათანხმდებოდა თუ არა უფროსი, ასე მცირეშლოვანი ბავშვი შეგი-
რდად მიეღო? ამ ფიქრებში გართული გია ტახტზე ჩამოჭდარი ნალ-
ვლიანი ხმით ღილინებდა. ღილინებდა თავისუფლად, ძალდაუტანებლად,
მაგრამ ისე ტკბილად და ისე საამურად, რომ მსმენელს უთუოდ მოხიბ-
ლავდა.

ამ ტკბილ ღილინსა და სიმღერაში ისე შეუმჩნევლად გავიდა დრო
და ჩამოლამდა, რომ გიას გაუკვირდა. სიმღერა შეწყვიტა, შუქი ჩართო და
ბაბუა ლექსოც შემოვიდა.

— ეს შენ მღეროდი? — შემოსვლისთანავე ჩააცქერდა თვალებში
გიას მოხუცი.

— დიახ. უსაქმობაში ცოდოა კაცი... ხვალ მეც ხომ გამიყოლიებთ?
მოხუცმა პირდაპირ არ უპასუხა.

— ჰო, თუმცა...

— არ გინახავთ?

— როგორ არა... შევხვდი. დიახ, შევხვდი...

— მერე? მოელაპარაკეთ?

— კი. მოველაპარაკე...

— თანახმაა?

— თანახმაა, მაგრამ... — რატომდაც ყოყმანობდა მოხუცი.

— მაშ, ხვალ თქვენთან ერთად მოვდივარ... — აღფრთოვანდა ბიჭი. —
ხომ, ბაბუ? მოვდივარ თქვენთან ერთად სამუშაოდ...

— ჰო, მაგრამ ხვალ არა. — გამოტყდა მოხუცი.

— მაშ?

— სხვა დროს. იქნებ ხვალის მერმე, ან იმ კვირაში...

— რატომ? — ფერი ეცვალა ბავშვს. — აკი მოველაპარაკეო?

— კვლავ უნდა მოველაპარაკო. დიახ, უნდა მოველაპარაკო. უფრო
სხვანაირად... შენ ეს რაო? გეწყინა? — თავზე ხელი გადაუსვა მოხუცმა
და გაულიმა. — ამ ორ-სამ დღეში ყველაფერი რიგზე იქნება.

მაგრამ მეორე დღეს სამუშაოდან დაბრუნებულმა ბაბუა რატომლაც გადასწია ეს დრო და გულისტკივილით თქვა:

— კაცს რომ გინდა, ისე როდი კეთდება საქმე... ამ დიდმა ოშმა მაინც სულ მოშალა აღმიანების ბუნება და ხასიათი.

— ომი ხომ ორწელიშადნახევარია, გათავდა? — შეექითხა ბავშვი.

— მაგრამ მისი შედეგი! ყველაფერი არეულ-დარეულია, აწეშილ-დაწეშილი... ახლა წარმოებს მათი აღდგენა და წესრიგზე მოყვანა. სადაც მიხვალ, ყველგან არ სცალიათ, დრო არა აქვთ. ან მივლინებაში არიან, ან თათბირზე... მაგრამ არა უშავს, ამ დღეებში უთუოდ შევხვდები და...

— აკი შევხვდი და მოველაპარაკეო? — შეაწყვეტინა გიამ სიტყვა მოხუცს.

— მაშ, მაშ, შევხვდი და მოველაპარაკე, მაგრამ საჭიროა კვლავ შევხდე და მოველაპარაკო. შენ კი ნუ აჩქარდები. ლექსო პაპა არ დაგტოვებს უყურადღებოდ. თუ ჩემმა ალომ გაამართლა... ობლის კვერი გვიან ცხვება, მაგრამ კარგად ცხვება... პოდა, შენი კვერიც კარგად გამოცხვება.

ამ სიტყვით დაიმედებული ბავშვი ერთ კვირას ელოდა სასურველ ცნობას. ეზოში შემოსულ მოხუცს თვალებში მიჩერებოდა, რას მეტყვის, რით გამახარებსო, მაგრამ ლექსოს მისთვის მხოლოდ საჭმელ-სასმელი და ტკბილეული მოჰქონდა. როცა შენიშნავდა, ბავშვს ასეთი საჩქრები არც თუ ისე სიამოვნებდა, მაშინ თავზე გადაუსვამდა ხელს და ეტყოდა, ცოტა კიდევ დამაცა და ყველაფერი რიგზე იქნებათ.

ამ დამაცა-დამაცაში გიას მოთმინება ელეოდა და ცხოვრება მოსაწყენი ეჩვენებოდა.

ერთ საღამოს მოხუცი მხიარული მოვიდა. ცოტა დაელია და გიამ ამით ახსნა მისი მხიარული განწყობილება, მაგრამ როცა ღიმილით უთხრა, ხვალ დილით უნდა წაგიყვანო და მოგაწყოო, მაშინ დარწმუნდა, რომ პაპა ლექსოს უფრო ეს ამბავი ახარებდა.

— მიმიღებენ?

— ვნახოთ. მაგ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ არა მგონია ვცდებოდე. შემპირდა. გულისხმიერი კაცია. თვითონაც ბალაბულახებშია შობილი და აღზრდილი... შენ რა გვინია, ყველა დიდი ტალანტი და გენია ცხოვრების ფსკერიდან მოდის... ვინ იცის, იქნებ შენც...

მაგრამ გიას მოხუცის ქარაგმისა არაფერი გაეგებოდა. სად ტალანტი, სად გენია და სად გია?

იმ ღამეს ბავშვს მღელვარებისაგან არ უძინია. სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა მოხდებოდა ხვალ. მიიღებდნენ თუ არა ქარხანაში შეგირდად, მარწესს მისცემდნენ თუ უროს, ქურასთან დააყენებდნენ თუ გრდემლთან. როგორი აღმიანები იქნებოდნენ მის მახლობლად და ირგვლივ...

დილით აღრიანად წამოდგა. ტანზე ჩაიცვა, ოთხი მიალაგ-მოალაგა



და ჩაი გააწყო. ახლა მოხუცს უცდიდა, რომ მასთან ერთად ესაუზმა-
წასულიყვნენ, მაგრამ პაპა ლექსო არ ჩქარობდა. უკვე მისი წასვლის დრო
ახლოვდებოდა, მაგრამ ის კიდევ იწვა. ბავშვს აშუხებდა ეს. ავად ხომ
არ არის, ხომ არ დაავიწყდა შეპირებული, მაგრამ გაღვიძებას ვერ უბე-
დავდა. ბოლოს, როცა საათის ისარი ცხრას გადასცდა, ვეღარ მოითმინა,
საწოლთან მივიდა და მოხუცს ფრთხილად უთხრა:

— ლექსო პაპა, ცხრა საათია.

მოხუცმა თვალი გაახილა და გამოიხედა.

— ვიცი, ოერთმეტისოფვის ვართ დაბარებული. — მაგრამ მოხუცი
მაინც წამოდგა და ჩაცმას შეუდგა.

ჩაი დალიეს, ისაუზმეს, თბილად ჩაიცვეს და... მოხუცმა ახლა შე-
ათვალიერა ბავშვი.

— ვერა მყევხარ რიგიანად ჩაცმული... დროზე უნდა მეფიქრა... ეჭ!
— ხელი ჩაიქნია. — არა უშავს რა, წავიდეთ. — მღვდელს ჭილოფშიაც
იცნობენო, ნათქვამია. — და კარი გაიხურა.

სახლი, რომელთანაც მოხუცმა გია მიიყვანა, სრულებით არ ჰგავდა ქარ-
ხანასა და სახელოსნოს. იგი მთავარ ქუჩაზე იყო და კარგადაც შემონახუ-
ლი. მოხუცი საპარადო შესასვლელთან შეჩერდა და ზარი დარეკა.

კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო.

— ვინ გნებავთ? — შეაჩერა ქალმა. — მოვახსენები.

— ზურაბი სახლშია?

— შინ ბრძანდება. — მიუგო ქალმა.

— ძალიან კარგი. — და მოხუცს მიპატიუება არ დაჭირვებია, ისე შეა-
ბიჯა.

— დაიცათ, დაიცათ! — შეაჩერა ქალმა. — მოვახსენები.

მაგრამ მოხუცს მისოფვის ყურადღება არ მიუქცევია. ქალს უკან გაპ-
ყვა და გიაც თან გიყოლო.

— თქვენთან ვიღაც ახირებული მოხუცია პატარა ბიჭით. — ამის
თქმა ძლიერსა მოასწრო ქალმა, რომ მოხუცი ლექსო კარებში შევიდა და
ბავშვიც შეიყვანა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — ქალისოფვის ყურადღება არ მიუქ-
ცევია, ისე წამოიმართა სავარძლიდან მაღალი ტანის ჭალარა მოხუცი და
სტუმრების შესაგებებლად წამოვიდა.

ქალმა უკმაყოფილოდ დაატანა თვალი ამ გაკრიალებულ იატაზე
უსუფთაო ფეხსაცმლებით შესულ არასასურველ სტუმრებს, მაგრამ რა-
სან უთხრეს, საჭირო არა ხარო, ისიც მიბრუნდა და გავიდა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით! — სავარძლები წინ წამოსწია მასპინ-
ქლმა. — რომ ეს შეთხვევა არა, ალბათ, არც გამიხსენებდი, ჩემო ლექსო...
დაჭექი. ბიჭი, დაჭექი. — ხელი მოხვია და ისე დასვა მაგიდასთან ახლოს.

მოხუცი დაჭდა. გიასაც ანიშნა დაჯექიო, მაგრამ მან დაჭდომა კვერცხა
შედა და პაპა ლექსოს გვერდით აიტუზა.

სტუმარ-მასპინძელმა ერთმანეთი მოიკითხეს. გიამ შეატყო, რომ ეს
ორი სხვადასხვა პროფესიისა და მდგომარეობის მოხუცი ერთმანეთის
სიყრმის მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ ვინ არის ეს კაცი? ის არც ქარხნის უფროსს გავს, არც ოს-
ტატს. მისი კაბინეტი სულ სხვანაირად არის მორთული. კედლებზე ღიღ-
რონ ჩარჩოში ჩასმული სურათებია, მაგიდაზე — წიგნები და რვეულები.
კუთხეში დიდი რიალი დგას. არა, აქ რაღაც სულ სხვა რამაა. გიას თვა-
ლები გაურბის, მაგრამ ცდილობს არ შეიმჩნიოს, რომ ხამია და პირველად
ხელავ ასეთ მორთულ ბინას თუ კაბინეტს.

მოხუცებმა ისე მოათავეს ლაპარაკი, რომ ერთხელაც არ უხსენებიათ
ქარხანა, არც გიას შესახებ დაუძრავთ სიტყვა. მხოლოდ ეს იყო, რომ მას-
პინძელი თავის დიდრონ თვალებს ხანდახან შეავლებდა ხოლმე
ბავშვს და ბიჭს ჭარხალივით აწითლებდა მისი ყოველი შემოხედვა.

— აბა მითხარი, პატარა კაცო, რა გწადია შენ? — როგორც იყო და-
დგა პატარა სტუმრის ჯერიც.

— მუშაობა მინდა, ბატონო. — ხმა აუთრთოლდა გიას.

— მუშაობა? — გაელიმა მასპინძელს. — აგრე პატარა რომ ხარ? პაპა
ლექსო ამბობს, რომ შენ სიმღერაც იცი!

ბავშვმა ჯერ მასპინძელს შეხედა, შემდეგ პაპა ლექსოს.

— ნუ გრცხვენია, შვილო. — გაამხნევა მოხუცმა. — უპასუხე.

— მე რა სიმღერა უნდა ვიცოდე?! — გაწითლდა ბავშვი.

— ქართველი კაცი როგორ იქნება, რომ არ მღეროდეს. — გაუმტყუ-
რა მასპინძელმა. — ცოტა რამ უნდა გვიმღერო... ეგ ქუდი მოიხადე! აი ეგ-
რე დაღექი! — გაასწორა ბავშვი. — ახლა მოგისმენთ. ნუ გერიდება, ნუ
გრცხვენია...

გიამ ალარ იცოდა რა ექნა. სიმღერა უყვარდა და ეხერხებოდა, მაგრამ
ისეთი რა უნდა ემღერა, რომ ამ უცნობ კაცს მოსწონებოდა.

— აი, მარტოდ რომ ზიხარ და მღერი ხოლმე, — მიაშველა პაპა ლექ-
სომ. — თუნდაც „ურმული“, ან „ობოლი ბიჭის სიმღერა“... რომელიც
უკეთ გეხერხება... აქ ხომ მარტო ჩვენა ვართ, შინაურები... იმღერე, იმღე-
რე, შვილო! — უკანასკნელი ორი სიტყვა ისე ტკბილად უთხრა მოხუცმა,
რომ ბავშვს თვალზე ცრემლი მოადგა.

მასპინძელმა შენიშნა ეს და გაულიმა.

ტკბილმა მოპყრობამ გული აუჩუყა ობოლს. ახლა ის უფრო მაღია-
ნად და ტკბილად იტირებდა, ვიდრე იმღერებდა, მაგრამ ორივე ძნელი იყო.

ბავშვის განწყობილებას „ობოლი ბიჭის სიმღერა“ უფრო მიუდგე-
ბოდა და მანაც ეს აირჩია.

მთის წყაროსავით არაკრაკდა ბავშვის ხმა სახლში. ტკბილ ჰანგსა და ემას მორგებული ობლის სიტყვები უცნაური ძალით ამოქმედდა. აღტაცე ბულმა მასპინძელმა რამდენიმეჯერ მოიწმინდა ცრემლი.

პაპა ლექსოსაც მოედო სიამის ცეცხლი, მაგრამ მას ახლა ამისთვის აღარ ეცალა. იგი ბეჭითად ადევნებდა თვალს მასპინძელ კომპოზიტორის სახის მოძრაობას და მის პირუთვნელ განაჩენს მოელოდა. ამისთვის გაიხსენა მან სიყრმის ამხანაგი ზურაბ ვარძიაშვილი, გამოჩენილი კომპოზიტორი და კონსერვატორის ხელმძღვანელი პროფესორი. ისიც ხომ მუსიკა-ლურმა ნიჭმა აიყვანა ამ სიმაღლეზე და მსოფლიოში გაუთქვა სახელი. ერთ ღროს ხომ ისიც უბრალო და ღარიბი ბიჭი იყო.

დაამთავრა ბავშვმა სიმღერა თუ არა, გვერდითი ორი ოთახის კარი ერთად გაიღო.

— ზურაბ, ეს ვინ მღეროდა ასე? — ათრთოლებულმა ჭალარა ქალმა შემოაბიჯა კაბინეტში.

— მამა, საიდან გაჩნდა ასეთი განძი შენს სამჭედლოში? — ახლა მეორე ოთახიდან შემოსულმა ქალიშვილმა მიმართა სკამის საზურგებელი მოწოდებული მოხუც მუსიკოსს, რომელიც გერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

— ეს ხმა... ასეთი ხმა... — როგორც იყო მოვიდა გონს მოხუცი. — დიახ, ასეთი ხმა... — წამოდგა, ბურანში მყოფ ბავშვის ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. შემდეგ მიბრუნდა და მოხუც სტუმარს შეხედა. — ლექსო, შენ მართალი ხარ, ბიჭო! ოქროს უბრალო ადამიანები პოულობენ. გენია უბრალო ადამიანებში იბადება. მაღლობელი ვარ შენი. ჩემი სიცოცხლის მანძილზე ასეთი სიამოვნება არ განმიცდია. — და მოხუცი მოხუცს გადაეხვია.

გიას უკვირდა, რომ მისი სიმღერა ასე ძლიერ მოეწონათ პროფესორსა და მისი ოჯახის წევრებს. ზურაბის მეუღლე აღტაცებული იყო, სხვებიც ვერ ფარავდნენ სიხარულს. მუდამ დღე, როცა კი გია გამოჩნდებოდა პროფესორისას, მთელი ოჯახი მის გარშემო შეიკრიბებოდა.

ბავშვმა კიდევ არ იცოდა ამის მიზეზი, მას ეგბნა, რომ „ობოლი ბიჭის სიმღერის“ სენტიმენტალური სიტყვებით იყვნენ მოხიბლული და აღტაცებული. პაპა ლექსოსაც კი უთხრა ერთხელ: სოფლელმა ბიჭებმა ამაზე უკეთესი ლექსები და სიმღერები იცინო.

— განა, შვილო, ლექსებსა და სიმღერაზეა საქმე? — აუხსნა მოხუცმა. — სიმღერა უველა ქართველმა კაცმა იცის. ლექსებიც ბევრია მოთესილი ხალხში, მაგრამ ხმა!!! მაღლიანი რაკრაკა ხმა!!! აი რა მოსწონთ შენი და, ღმერთმა ინებოს, შეგინარჩუნოს.

— როგორ, ხმას ხომ ვერავინ მომპარავს და წამართმევს? — გაუკვა-და ბავშვს.

— ასეთი საფრთხე არ გელის, მაგრამ... გაფრთხილება და მოვლა
ზუსტი და კარგი და დაიზარა.



გია მიხვდა, თუ რა მოეწონათ და რა ძალას ხედავდნენ მასში.

კეთილშობილ ოჯახთან სიახლოვებ სულ მაღვე გარდაქმნა ობოლი ბავშვი. სიტყვა-პასუხსა და თავდაჭერას შეაჩინა. კომპოზიტორის უფროსმა ქალიშვილმა თავად იკისრა ამ ბავშვის გაწრთვნა, ნოტების სწავლა და უცებინა, ლიტერატურაც შეუტარია. ოჯახის დედა ქალმა კი დედის მაგიერობა იყალდებულა და საკუთარ შვილივით დაუწყო მზრუნველობა.

— ვაჟო, ასეთი საქციელით ერთხელაც იქნება და წამართმევენ შენს თავს. — გამოუტყდა ერთხელ პაპა ლექსო გიას. — მდიდარი ხალხია, შეძლებული, განათლებული... არა, ღმერთმა იცოდეს არ დამენანოს, მაგრამ იცი რა გითხრა, შვილო? მთელი სიცოცხლე მარტოობაში გავატარე, თავის ღროზე ბედს არ ვეწიე, ცოლ-შვილი არ გავიჩინე. შემდეგ თანდათან შევეგუვ უდარდელობასა და მყუდროებას. ორი დღითაც ვერ ვიტანდი სტუმარს ოჯახში. გამონაკლისი შენა ხარ, მაგრამ ამის მიზეზი შენი უმანკო და კეთილი საქციელი და ხასიათია... ალბათ, შენ მოგელოდა ჩემი სული, რომ მანამდე ვინმე ვერ შევიკედლე... შენ კი ჩემს ქოჩში უნებლივდ სიხარული და შუქი შემოიტანე. მყუდროება დამიტოლიე, მარტოობას გადამიჩვი და ადამიანის ხმასა და სიახლოვეს შემაჩინე. ახლა კი... ხელმეორედ მარტოობას ვერ შევეგუვები. უშენოდ ვერ გავდლებ, შვილო. — და მოხუცს თვალები აუწყლიანდა. — სიბერეში სცოდნია გულს დალბილება.

— კეთილო პაპა ლექსო, რატომ ფიქრობთ, რომ მოგშორდებით და დაგივიწყებთ? ოჯახიდან რომ ცემით გამაგლოთ, თქვენს თავს მაინც ვერ შემაძულებთ. — დაშვიდება დაუწყო ბავშვმა.

— ეს ახლა, მაგრამ კარგი ცხოვრება და პირობები...

— ღმერთმა ნუ მომცეს, თუ თქვენს სიკეთესა და ამაგს დამავიწყებს.

— არ დაამთავრებინა სათქმელი ბავშვმა.

ბერიკაცმა დიდხანს უცქირა ბავშვს სიყვარულით.

— შენ უფრო მეტიც ყოფილხარ, ვიდრე მეგონე. მადლობელი ვარ.

იმ დღის შემდეგ ასაკით ასე დაშორებულ ამ ორ ადამიანს შორის კიდევ უფრო მეტი სიყვარული ჩამოვარდა. გია პაპა ლექსოს უფრო ნათესა-ურად და შინაურულად ექცეოდა. სამგზავროსა და წიგნების ფულსაც კი სიხოვდა. ერთხელ რაღაცაზე გაგულისებულმა მოხუცმა ქალიან მაგრა-დაც მიბერტყა გაშინაურებული პატარა სტუმარი, მაგრამ გიას აქაურობის მიტოვება არც უფიქრია, თუმცა ორ დღეს სულ მოწყენილი იყო და ქვა-თინებდა.

ორ დღეში ერთხელ დადიოდა ბავშვი სამეცადინოდ. ასე ისურებ-ბროფესორმა და მომავალი მომლერლის აღზრდა თავის უფროს ქალმზვილს მიანდო.

დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს და აგერ წელიშადიც ჩამოილდა ამ სობაში გია საქმაოდ გამოიწაფა. ახლა მან არა მარტო სიმღერა გრულა, არამედ მისი გარჩევაც შეეძლო. ნოტების გამოყენებაც არ ეძნელებოდა. მოკლე ხანში გიას ასეთი წარმატებით გაკვირვებული იყო არა მარტო მისი პირადი მასწავლებელი და ხელმძღვანელი — პროფესორის ქალიშვილი, რამედ თვით დიდი კომპიუტორი ზურაბ გარძიაშვილიც.

ზაფხულის ცხელ დღეებში, როცა პროფესორის ოჯახი აგარავზე წავიდა და გიას მეცადინებობა დროებით შეწყდა, პაპა ლექსოს რჩევით მან ვადაწყვიტა წასულიყო სოფელში და დედა მოენახულებინა, თუმცა წინას-წარ გრძნობდა, ობლის მიმღები დედაკაცი მშობლიურ სიყვარულს არ მიაგებდა დიდი ხნის უნახავ შვილს.

მართლაც ასე მოხდა. ორ დღეს ძლიერ გაიტანა მშობელმა ბიჭი.

— მამისეული ქონება ბიძაშენს აქვს, იყავი მასთან, გეპატრონოს, ამდენი ამაგი კი გაუწევია მამაშენს მასზეო, — უთხრა ბავშვს.

გიას არ გაუმხელია, რომ ის ბიძასთან არ ცხოვრობს, რომ ბიძამ და ბიცოლამ ოჯახიდან გააგდეს, არ უთქვამს, რომ სრულიად გარეშე ადამიანი მზრუნველობს მას, მაგრამ სიმღერას რომ სწავლობს, ეს არ დაუმალავს.

— სიმღერას?! — შემოსწყირა დედა. — რა თავში ვიხლი შენს სიმღერას? მეჯლანესთან დამდგარიყავ შეგირდად, ის არა სჯობდა? ლუკმა გექნებოდა და სხვის კარზე არ ეგდებოდი.

მამინაცვალმა ხომ სულ სასაცილოდ აიგდო.

— სიმღერა და ცეკვა-თამაში დღეობასა და ქორწილშია გამოსადევი და სასახელო, მაგრამ ვაი, რომ ამ დღეობებზე შენისთანა არაფრის მქონესა და ჩაკუკილ-ჩაცვეთიღლს არ პატიუებენ.

— მე კი ყველგან მიმიღებენ და დამპატიუებენ. — მხოლოდ ახლა, ამ შემთხვევაში გაბედა გიამ საქუთარი თავის გამოსარჩება და შექება.

— კარგი, კარგი, ამასაც ვნახამთ. — და მამინაცვალმა ორიოდე გროში მიუგდო: — მამაშენის ქონება ბიძაშენმა ქაფოს და მე აქ ფულები გაძლიო?! — ესეც თან დააყოლა.

გიას რომ სამგზავრო ფული ჰქონოდა, არ მიიღებდა ამ მოწყალებას, მაგრამ ახლა სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო.

— გადაგიხდი. გამოგიგზავნი. — შეპირდა ბავშვი და მართლაც ორ დღეში ორი აბაზის ნაცვლად მანეთი გაუგზავნა და თან მაღლობა მიაყოლა დახმარებისათვის. მოხუცმა პაპამ დაარიგა ასე მოქცეულიყო. ფულიც მან მისცა და გააგზავნინა.

— გულს ნუ გაიტექ, შვილო! — ეტყოდა ხშირად მოხუცი. — ასეთია აღამიანის მოდგმა. თუ შენგან არას მოელის, შორს გაგიდგება, ნაცნობასაც დაპკარგავს შენსას.

— მაგრამ რომ ამბობენ, კაცი კაცის წამალიაო? — იკითხა ბავშვმა.

— პო, ესეც არის ნათქვამი, მაგრამ განა წამალი ყველა ბალანტულა
ხია? აქა-იქ ურევია ხოლმე და ძნელად თუ მიაგნებს ადამიანი. კაცი კაცი
და კაციც. ზოგი წამალია და სანთელ-საკმეველად გამოსადეგი, ზოგი ზემო
და მეგობარია, ზოგიც გზაა და ხიდი მიმდევარისთვის, მაგრამ არის კაციც.
რომელიც საწამლავზე უარესია და ნაღველზე უმწარესი და შხამიანი.

ამას მართლაც ასე ხედავდა ამქვეყნად თოთხმეტი. წლის ბიჭი. ხედა-
ვდა, გრძნობდა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად არ ესმოდა ამის მიზეზი. ერთ-
ორხელ ბიძამისს შეხვდა ქუჩაში. ბიძამ ორივეჯერ პირი აარიდა და გვერდი
უქცია. ერთხელ ბინაზეც მიაკითხა, ბიცოლას ვნახავ, ვეტყვი ჩემს ამბავს,
ვთხოვ, იქნებ ბიძახემს ურჩიოს მამახემის წილი ქონებიდან ცოტაოდენი
გრძოში მომცესო, მაგრამ არც ეს შეხვედრა მოხერხდა. მსუნავმა და წუწ-
კმა დედაკაცმა ზედ ცხვირწინ ჩაუკეტა კარები და მოიშორა.

— დავაშავე, პაპა ლექსო, რომ დაგიჯერეთ და მათ მივაკითხე. განა
არ ვიცოდი რა ოხრებიცა არიან?! — უსაყველურა ბავშვმა ერთხელ თა-
ვის მზრუნველს.

— საჭირო იყო, შეილო, საჭირო. ეგრე იყო საჭირო, თორემ განა ბა-
ლლი ვარ, არ ვიცოდე მასეთი ადამიანების ბუნება?!

— ასეთი დამცირება იყო საჭირო? — შეწუხდა გია. — მე თქვენთან
ვცხოვრობ, თქვენს ნაშრომ ლუკმას მიზიარებთ და არ მიმაჩნია ეს დამცი-
რებად, რადგან ამას კეთილი გულით აკეთებთ და არ მაყველით.
მაგრამ ისინი...

— დიახ, დიახ, საჭირო იყო ის დამცირებაც გამოგეცადა, იმათ გულ-
შიაც ჩაგეხედა. კიდევ ბევრი რამ არის საჭირო ცხოვრების შესასწავლად. —
და მოხუცმა სხვაც ბევრი გამოსადეგი დარიგება მისცა ნათესავებისაგან
გულნაკლულსა და მოძულებულ ობოლ ბიჭს...

გაზაფხულის საამური დღე იდგა. ქუჩები ლამაზად შეკრულ თაიგულს
გვანდნენ. ფერად-ფერადი ტანსაცმლით გამოსულიყო ხალხი და ამოდენა
ჭალაქს მოჰყენოდა.

ტრამვაის გაგონები ჭრიალითა და სტვენით ავლებდნენ ქალაქს წრეს
და სხვადასხვა მიმართულებით იფანტებოდნენ.

ამზენ ხალხსა და მილეთში გიაც ერთა. იღლიაში სქელი საქალალდე
ამოედო, რომელშიც უთუოდ ნოტები და პარტიტურები ჰქონდა ჩალა-
გებული. ის იყო გაღაპკვეთა მოსაზღვრე ქუჩა და მეორეზე უნდა გადასუ-
ლიყო, რომ ძაბილი მოესმა და მოიხედა.

— დაიცა, ბიჭო, სად მიიჩიარი?! — და მოპირდაპირე მხრიდან გიას
ბიძა ლევანი გადმოვიდა.

გიას არ ეამა მისი დანახვა, მაგრამ გვერდს. ხომ ვერ აუვლიდა და
გაჩერდა.

ლევანი გაღიმებული მივიდა მასთან, ხელი ჩამოართვა და გადაკოცა.

— სადა ხარ, კაცო, სად დამეკარგე? გადამრია შენზე დარღმა და კლიფები
ქრმა. ასე უნდა?

— ხომ კარგად ბრძანდებით? — თვალი მოარიცა ბავშვმა ბიძამისს.

— როგორ შორიდან კითხულობ, ბიჭო?! ბიცოლაშენი ლამის ჟენიდან
შეიშალოს. ერთი მანახე ის ბიჭიო.

— სასიამოვნოა, რომ კარგად გხედავთ. — კვლავ ბანზე აუგდო სი-
ტყვა ძმის შვილმა.

— როგორ გაქვებდნენ, რამდენი ილაპარაკეს შენზე რაღიოში, მეტ
უნი სიმღერაც გაღმოსცეს... სიხარულით მე და ბიცოლაშენი ერთმანეთს
ასაღვეხვით... ძალიან კარგია, მიხარია, მაგრამ ერთი მხრივ მრცხვენია კი-
დეც ასე უბრალოდ ჩაცმულ-დახურული რომ დადიხარ. რას იტყვიან? სულ
უპატრონო ხომ არ არისო. ბიჭო, ობოლი კი ხარ, მაგრამ უპატრონობა ღმე-
რთმა დაგიფაროს. იმდენი შეძლება კი მაქს, რომ...

— ჩემი ნომერი მოდის! — შესძახა პასუხად გიამ და ისე სწრაფად შეახტა ტრამვაის, რომ ლევანმა შეხედვა ვერ მოასწრო.

— უმაღური! — თვალი გააყოლა ტრამვაის და პირში ჩალაგამოვ-
ლებული წავიდა.

— კარგად მოქცეულხარ, შვილო, კარგად. — მოუწონა მოხუცმა სა-
ქციული ბავშვს, როცა ეს ამბავი გაიგო. — დაიცა, უარესად დაეხრუკებათ
გული მასეთ გაიძვერებას. ჭერ კიდევ სადა ხარ! ქვეყანა აღაპარაკდე-
ბა შენს ნიჭიზე.

და მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ მოელი ქალაქის პრეზა
ალაპარაკდა. კომკავშირულმა გაზეთებმა ამ ნორჩი მომღერლის სურათიც
კი დატეჭდეს. წინადადება წამოაყენეს გაეძლიერებინათ დახმარება და ყუ-
რადღება ამ იშვიათი ხმის ბავშვისთვის, და ახლო მომავალში საზღვარგა-
რეთ გაეგზავნათ დასახელოვნებლარ.

ლევან გორგოძელი და მისი მეუღლე ახლა უფრო შეაწუხა აღრინდელმა საქციელმა. ასეთი სახელოვანი მემკვიდრე, ნათესავი და ასე დაშორებული აღარ სიამოვნებდათ.

— მიხედვ, კაცო, იმ ბავშვს, მიხედვ! — კატეგორიულად უთხრა ერთ დღეს ელიკომ ქმარს. — რომ რამე მოუვიდეს და ხელი შეეშალოს, ხომ ვიქნებით პასუხისმგებელი? ხომ იტყვიან, ბიძა-ბიცოლამ არ მიხედვა?

და ცოლის მიერ წაქეზებული ლევანი დატრიალდა. ძლივძლიობით მოახერხა გიას მისამართის გაგება და ერთ შშვენიერ დღეს ქალაქის გარეუბანში ლექსო ვაზიაშვილის ქოხს მანქანით მიადგა.

გია მარტო იყო. მაგილაზე თეთრეულ და აუთონებდა.
ლევანმა დიდხანს ვერ მოძებნა საკუთრივი ცხოველი.



— გია, იცი, შენ, რა გითხრა? — დაიწყო მოგვიანებით. — მეტაქმილებული დი შენთან სერიოზულ საქმეზე მოსალაპარაკებლად...

— გისმენთ, ბატონო ძია! — მოსასმენად მოემზადა ბავშვი.

— შენ ახლა პატარა არა ხარ. თხუთმეტი შეგისრულდა. საკუთარ მომავალზე უნდა ფიქრობდე და ზრუნვდე. ძალად რომ ჩაიგდე თავი ამ დღე ში და მაწანწალა ღოთ ბერიკაცთან დაიდე ბინა და ემსახურები, განა ეს დაშვენდება შენისთანა ნიჭის პატრონსა და საზოგადოებაში გამოსულ ადამიანს? საკუთარი ღვიძლი ბიძა მიგიტოვებია და ვილაც ოხერსა და მუდრეგს შეკედლებიხარ... არა, ამას როგორ წარმოვიდგენდი, ჩემი ძმისშვილი გადაყრუებული ბერიკაცის მონა-მსახური გახდებოდა! მისი წვირიანი საცვლების მრეცხავი და მომკერავი შეიქნებოდა! რა მჭირს მე სამისო? ჩემს ოჯახში ათი კაცი შეინახავს თავს, თორემ ერთი ბიჭი...

— ბიძაჩემო, გულს რომ უჩიოდით, ახლა ალარ გრივათ? — თითქოს ლევანის ნათქვემი არც გაეგონს, ისე შეეკითხა გია.

— მე შენ მისმენ თუ არა?! — გაცხარება დაეტყო სტუმარს.

— როგორ არა. გისმენ, ბიძაჩემო!

— მაშ თუ მისმენ, პასუხი გამეცი! — ერთბაშად მოლბა. — ბიჭო, არ გრცხვენია, ასე რომ მოიქეცი? შვილო, შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, მუდამ შენზე ვფიქრობ და ვზრუნავ, წამოდი სახლში, გაეცალე ამ ღოთ ბერიკაცს. გაიგე, რომ მე ბიძა ვარ შენი, კეთილის მდომელი ბიძა.

— მადლობელი ვარ. თუ შევძელი, დავაფასებ თქვენს ამაგსა და მზრუნველობას.

— მაგრამ ახლა?

— ამჟამად მადლობის მეტი რა გამაჩნია თქვენი ამაგის ასანაზღაურებლად?!?

— კარგად იყავი და ანაზღაურებას ვინ გთხოვს, შვილო, — უფრო დატება სტუმარი, — ანაზღაურება კი არა, თუ რამე შემიძლია, მზად ვარ დახმარება გაგიშვილ და მოგეშველო.

— მაპატიეთ, ბიძა, ოთხზე პროფესორთან ვარ მისასვლელი და... — საათს დახედა. — იცი უკლია.

— ხელს არ შეგიშლი. — წამოდგა სტუმარი. — წავიდეთ, მანქანით წვიგიყვან.

— მაგრამ ამხანაგთან უნდა შევიარო და... მადლობელი ვარ. აქედან პირდაპირ ჩავდივარ ბილიკით. თან კიდევ გზადაგზა... — დაიბნა ბიჭი.

— კარგი. შენ იცი. არ დაგაძალებ. — მიხვდა ლევანი, რომ მის ძმისშვილს არ სურდა მასთან მანქანით წასკლა. — მაგრამ იცოდე, შენგან პასუხი უნდა მივიღო.

— უაჭველად, ბიძაჩემო, უეჭველად. თქვენს გულწრფელ ნათქვამს

უბასუხოდ როგორ დავტოვებ. — და მცსპინძელმა სტუმარი მანქანამდე მიაცილა.

სწრაფად გახმაურებული ამბავი თანდათან შენელდა და ბოლოს შეწყდა. პროფესორმა ზურაბ ვარძიაშვილმა აღვეთა ახალგაზრდა მომღერლის საჯარო გამოსცელები.

ახლა იგი იმასაც კი ნანობდა, რომ მაშინ კონსერვატორიის საკონცერტო დიდ დარბაზში ამ ბავშვის გამოსვლა მოაწყო და ფირფიტებზე ჩაწერის საშუალებაც მისცა მსურველო.

— არ არის, ბატონებო, კარგი, არ ვარგა, ამხანაგებო, როცა უმწიფარ ხილს დაეტანებით, როცა ასე ერთბაშად ავიტაცებთ ხელში ვინმეს და ცამდე ავიყვანთ. მოვითმინოთ, ვაღროოთ, დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ. და როცა ლირისი გახდება საპატიო გვირგვინისა, ეს გვირგვინი ისე უნდა დავადგათ, რომ სიკვდილადე ვეღარავინ მოხადოს.

და პროფესორი თავისი სიტყვის ერთგული დარჩა.

გიას საჯარო გამოსვლები რომ შეწყდა, ნორჩ მომღერალზე ლაპარაკიც მინელდა, ხანდახან ვინმე გულშემატკიცარი თუ კითხავდა ლევანს, საღაა, კაცო, ის შენი ძმისშვილი, ისეთ იმედებს რომ გამყარებდით მასზე.

ლევანმა ბევრი აღარაფერი იცოდა გიაზე, მაგრამ მაინც ნაღვლიანად იტყოდა: დავიღლუბე კაცი, წაუხდა საწყალ ბავშვს ხმა და ვეღარ მღერისო. თან დააყოლებდა: შევალიე ყველაფერი, მაგრამ არაფერი ეშველა!

— გავიდა სამი წელიწადი და ერთ დღეს უცცრად გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ მოკლე ხანში სამშობლოში დაბრუნდება ახალგაზრდა მომღერალი გრა გორგოძელი და იმღერებს ოპერის თეატრშით.

ამ ცნობას მოჰყვა ვრცელი წერილი, რომლის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა ახალგაზრდა მომღერლის ნიჭისა და უნარს. მისი აღმზრდელი ცნობილი მუსიკოსებიც კი აღტაცებული არიან ამ ყმაწვილის იშვიათი ნიჭითო.

რაკი შეიტყო, მისი ძმისშვილი ასეთი სახელოვანი კაცი გახდა, საზღვარგარეთ მიიღო ცოდნა და გამარჯვებული სამშობლოში ბრუნდებაო, ლევანმა მაშინვე გამოყო ორი კარგი ოთახი თავის სახლში და მდიდრულად მოაწყო. ახლა საჭირო იყო გაეგო, როდის ჩამოვიდოდა გია, საღუნდა შეცვედროდა და წამოეყვანა. ამიტომ ლევანმა კულტურის სამინისტროში დაისადგურა. ერთხელ მოხუც ვაზიაშვილის სახლის ახლო-მახლოც გაიარ-გამოიარა, იქნებ ჩამოვიდა და ვერ შევიტყვეო. კარგად დაზერა იქაურობა, გაიკითხ-გამოიკითხა და გაიგო, რომ გიას შესახვედრად დიდი ხანია ემზადება მოხუცი, თავისი ჭობიც კი მოიყვანა წესრიგზეო და ახალი ავეგითაც შეავსო.

„ტყვილა გარჯილა მოხუცი, — გაიფიქრა ლევანმა. — ევროპაში ნას-

წელი ბიჭი ისეთ ბნელ ქოხში აღარ შეიხედავს. იგი დარწმუნებული ყრდნობის გა ბიძის ოჯახში დაბინავდებოდა, შეიძლება ბოლიშიც კი მოიხატა გადასახლის გადასახლის ბიულასთან და შერიგება სთხოვოს. თუმცა ლევანი აქამდე არ მიიყვანს საქმეს. იგი უთხოვნელად შეურიგდება და მიიღებს.

ამ ფირებში იყო ლევანი, რომ შეიტყო, ახალგაზრდა მომლერალი გია გორგოძელი კვირა დილით ჩამოვა მოსკოვის მატარებლით.

ქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიბა ახალგაზრდა მომლერლის შესახვედრად მზადებას შეუდგა. თავის მხრივ ლევანიც დაფაცურდა. მან სოფლიდან გიას დედა და მამინაცვალიც ჩამოიყვანა და გულუხვად გაუმასპინძლდა, ხოლო დანიშნულ დღეს მათთან ერთად გავიდა სადგურში. აქ უკვე უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ახალგაზრდობასთან ერთად კონსერვატორიის გამოჩენილი წარმომადგენლებიც მოსულიყვნენ. მათ შორის იყო მოხუცი პროფესორი ზურაბ ვარძიაშვილი მეუღლით. მათ ქალი შვილს — გიას უშუალო მწვრთნელსა და მასწავლებელს ვებერთელა თაიგული მოეტანა და მატარებლის მოლლოდინში ბაქანზე დასეირნობდა.

იყვნენ ლევანის ნაცნობ-მეგობრებიც. ისინი გულთბილად ულოცავდნენ ბედნიერ ბიძას ძმისშვილის დაბრუნებას, თუმცა ლევანის აფორიაქებულ გულს მაინცა და მაინც ვერ ატყობდა მათი მილოცვა. ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ ძმისშვილი მასთან დაბინავდებოდა და წარსულ უსიმოვნებას დაივიწყებდა, მაგრამ მატარებელი რომ ჩამოდგა და დამხვდლურთა შორის პაპა ლექსი ვერ აღმოაჩინა, ოდნავ დამშვიდდა და გამხიარულდა. ის პირველი შეიჭრა ვაგონში, მივარდა გიასთან, მოეხვა, გულში ჩაიკრა და ბავშვივით ხელში ატაცებული გამოიყვანა.

ხალხი მხიარული შეხსხილებით შეხვდა ახალგაზრდა მომლერალს. მოსწავლე ახალგაზრდობა ვარდ-ყვავილებით შეეგება საამაყო თანამემა-მულეს. მოხუცმა კომპოზიტორმა ვარძიაშვილმა შვილიყით ჩაიკრა გულში, ჩაკოცნა და მშვიდობით დაბრუნება მიულოცა. ასევე მოიქცენ პროფესორის მეუღლე, მისი ქალიშვილი, სხვები.

გია გაზრდილიყო, დავუკაცებულიყო, იგი ყველას მხიარულად და კეთილად ესალმებოდა, მაღლობას სწირავდა დაფასებისათვის და სანაცვლოდ ერთგულ სამსახურსა და პატრიციულების პირდებოდა.

დედა თავშეუკავებელი ქვითინითა და ცრემლებით მოეხვია ერთ დროს გულიდან მოწყვეტილ შვილს, მამინაცვალმაც კი მოიღინა თვალზე სიხარულის ცრემლი და საერთო აღტაცება გაიზიარა.

ახალჩამოსულს ბეგრძა შესთავაზა მანქანა და მომსახურება, მაგრამ გიამ ყველას მაღლობა გადაუხადა. იგი დამხვდლურთა შორის თვალით ეძებდა მოხუც ლექსოს, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანდა.

—წავიდეთ, შვილო, წავიდეთ. —ხელი გამოსდო ლევანმა ძმისშვილს და მისთვის გამზადებულ მანქანასთან მიიყვანა. —თქვენც ჩასხედით. —ახ-

ლა თავისიანებს მიუბრუნდა იგი და მათთვის განკუთვნილ მანქანებზე
ანიშნა.

ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ლევანის მეუღლე იმ მანქანაში მო-
თავსდა, რომელშიც მისი ქმარი და ახალჩამოსული მაზლიშვილი უნდა ჩა-
მსხდარიყვნენ.

— შენ ბიცოლაშენის გვერდით დაჭექი! — ანიშნა ლევანმა ქმის-
შვილს, — მე კი აქ დავიჭერ აღგილს. — ლიმილით დაუმატა მან და კაბი-
ნის კარი გააღო.

— გმადლობთ. — უთხრა გიამ ბიძას, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომას არ
ჩეირობდა, იგი კვლავ ამაოდ ეძებდა შეკრებილ ხალხში ვიღაცის. ამას კა-
რგად გრძნობდა ლევანი და შიშობდა, ის წყეული ბებერი არ გამოჩენი-
ლიყო. მაგრამ მადლობა ღმერთს, ლექსო არ გამოჩენილა და გიამაც დაი-
კავა აღგილი მანქანაში.

ის იყო მძღოლმა მოტორი ჩართო, რომ ერთი ახალგაზრდა მიიჭრა
მანქანასთან, ბოდიში მოიხადა და გიას რაღაც ბარათი გადასცა.

გიამ სწრაფად გახსნა კონვერტი და ქაღალდის პატარა ნაჭერზე დაწე-
რილი რამდენიმე სიტყვა ჩაათვალიერა.

— გმადლობთ. — უთხრა მომტანს, ბარათი ჭიბეში ჩაიდო და ბიძას
შეხედა, ხომ არაფერი შეუნიშნავს.

ლევანს მართლაც ისე ეჭირა თავი, თითქოს ყურადღებაც არ მიუქცე-
ვია ბარების, წაკითხვის დროს ძმისშვილისათვის, მაგრამ კარგად დაინახა,
თუ როგორ ერთბაშად დაუნაღვლიანდა სახე გიას იმ ბარათის წაკითხვი-
სას.

მანქანა დაიძრა. გაიქროლა ნაცნობ ქუჩებში, გავიდა ქალაქის ცენ-
ტრში და ის იყო ლევანის სახლისაკენ უნდა შეეხვია, რომ გიამ ბიძას
სთხოვა, სანამ სახლში მივიდოდეთ, ცენტრალურ კლინიკურ საავადმყო-
ფოსთან შევჩერდეთ და ცოტა ხნით დამიცადეთო.

ლევანი არ ჩაძიებია, რისთვის იყო საჭირო ეს და ორიოდე წუთში
მანქანა საავადმყოფოს კარგბთან დადგა.

— მაპატიეთ, ბიძაჩემო, მალე გეახლებით. — ბოდიში მოიხადა გიამ,
მანქანიდან გაღმოვიდა და სწრაფად შევიდა საავადმყოფოში.

ეს საქციელი არ დაუჭდა ლევანს, მაგრამ მეუღლისთვისაც კი არაფე-
რი გაუმხელია.

გიამ მართლაც შეასრულა შეპირება. ის უფრო აღრე გამოვიდა საავად-
მყოფოდან, ვიდრე ამას ლევანი მოელოდა.

— ახლა კი თქვენი მორჩილი ვარ. — მხიარულად უთხრა მან ბიძას
და მანქანაში შევიდა.

ლევანისას ბევრი ნაცნობ-მეგობარი შეკრებილიყო. იყვნენ ახლო
წათესავები და შორეული მოყვრებიც. ყველა ცდილობდა კეთილი გული

ეჩვენებინა ნიჭიერი ყმაშვილისათვის. მამინაცვალსაც კი არ შეგვიძლო ეთქვა, თითქოს მუდამ ფიქრობდა და ზრუნვდა გერჩე. ლევანი და შირა მეუღლე ხომ სულ ერთიანად გიაზე გადაყოლილად თვლიდნენ თავს და მადლობას სწირავდნენ ღმერთს, რომ ღვაწლი არ დაუკარგა.

სალამომდე ბევრი ილაპარაკეს და იბასეს. ლევანმა ეზო-კარმილამ დაათვალიერებინა ძმისშვილს, აჩვენა მისთვის გამოყოფილი ბინა და კიდევ ბევრი რამ შეპირდა.

— მადლობელი ვარ, ბიძაჩემო! თქვენიც, ბიცოლა ელიკო, შენიც, ძვირფასო დედა, თქვენიც პატივცემულო მამინაცვალო, ყველასი დიდი მადლობელი ვარ. ვეცდები დავათასო თქვენი ამაგი და მზრუნველობა.— უთხრა ყველას ჯიამ. — ხოლო ახლა ნება მიბოძეთ, ღამე ნებისა გისურვოთ და გამოგეთხოვთ. — წამოდგა იგი, ტელეფონთან მივიდა და ტაქ-სი გამოიძახა.

— სად? სად უნდა წახვიდე? — თვალი გაუფართოვდა ყველას.

— სად აპირებ, შვილო? ხომ ხედავ, შენთვის ყველაფერი მზადა მაქვს?

— მადლობელი ვარ, ბიცოლაჩემო, მაგრამ რომ არ მივიდე...

— სად, კაცო? — წინ გადაუდგა ლევანი. — ვისთან მიდიხარ?

— იმ ბებერ კაცთან, ბიძაჩემო. მასაც ხომ უნდა ვუთხრა კეთილი სიტყვა და მადლობა?

— შვილო, იმას რომ რამედ მიაჩნდე, სხვებსავით გამოვიდოდა შესახვედრად და ჩაგეხვეოდა, — წამოეშველა ქმარს ელიკო.

— სააგადმყოფოში არ წოლილიყო, უთუოდ ასე მოიქცეოდა, მაგრამ ბარათით მაინც ხომ შემეგება? ხომ მაწვდინა მისი კეთილი ხმა და სიტყვა?

— კი, მაგრამ, ბიჭო, — ძლიერ ამოილო ხმა ლევანმა, — თუ ის სააგადმყოფოში წევს და ცუდად არის, შენ სადღა უნდა დაბინავდე?

— ბინის გასაღები გამომიგზავნა. სიხარულისაგან განიკურნა საბრალო კაცი. ორი დღის შემდეგ გამოვა და თავის ვიწრო ქოხს დაუბრუნდება...

— შენც იმ ქოხში უნდა დაიდო ბინა? — ახლა დედა ჩაერია ლაპარაკში.

— დიახ, დროებით მასთან. — მიუგო გიამ. — სადაც პირველად ამოვილე ხმა, ახლაც იქ უნდა მოვსინჯო ძალა. ვინც პირველმა მოისმინა ჩემი სიმღერა და მას მზრუნველი თვალი დაადგა, ახლაც მან უნდა შეამოწმოს კეთილი საქმის შედეგი და გაიხაროს. ყველაზე უმაღლ მოვალე ვარ მას ვუმღერო, შემდეგ კი სხვას. იგი ორ დღეში იქნება ჩემთან.

— გონს მოდი, შვილო! — ხელი გამოსდო ლევანმა ძმისშვილს. — იმ ლოთ ბებერში გვცელი ნათესაობას? ვიღაც არამზადა გაიძვერაში...

— ბიძაჩემო! — ფერი ეცვალა გიას. — თქვენ ერთხელ კიდევ დახარ-

ჭეთ ასეთი სიტყვა. მე მაშინ ვერ გავბედე, უკეთ, ვერ გვაღრეთ მეოქვეყანის
პასუხი, მაგრამ ახლა... ნუ მაიძულებთ გიოხრათ მაშინდელი საოქმელი და
საპასუხო.

— თქვი, შე კაი კაცო, თუ ასეთი ბოლმა გაწევს გულზე! — წყენა
დაეტყო ლეგანს, — ვიცოდეთ მაიც, რა გაქვს საოქმელი?


— მაპატიეთ, ბიძაჩემო! ის მოხუცი არც ლოთი არის და არც გაიძ-
ვერა, არც ანგარებით შეპყრობილი ადამიანი. იგი პატიოსანი კაცია და
ერთგული მშრომელი.

— მაგრამ გარეშეა, შვილო. — კვლავ დედა ჩაერია საქმეში.

— ჰო, გარეშეა, დედაჩემო, და იმიტომაც უფრო ვაფასებ. იმ დროს,
როდესაც ალალმა დედამ ობოლი ბაგშვი ბიძას მიუგდე, ხოლო მან შალე
ქუჩაში გაისროლა, სწორედ იმ დროს გამოჩნდა ის. გარეშე ბებერი კაცი,
რომელმაც თქვენგან მოძულებულს ხელი დაავლო, სახლში წაიყვანა, მისი
ჰედით დაინტერესდა და დღეს... თუ მე რამე ვარ ან ვიქწები, იმ მოხუცის
ამაგი და დამსახურებაა. გახდე დედა, იყო ბიძა და ნათესავი, ეს როდი
არის დამსახურება და სახელი. ადამიანის მოვლა და აღზრდა არის მთავა-
რი და თქვენც ამ მთავარს უქციეთ ზურგი. მადლობელი ვარ, ბიძაჩემო,
შემოთავაზებული ბინისთვის. ამ ყურადღებისთვისაც მადლობელი ვარ.
ალბათ, მზრუნველობა გწადიათ გამოიჩინოთ, ამისთვისაც მადლობელი
ვარ, მაგრამ დაგვიანებულია ეს მზრუნველობა და მაპატიეთ, თუ გამოგი-
ტყდით... — სწრაფად მიბრუნდა, ჩაირბინა კიბე და მანქანაში ჩაჭდა.

— ასე მეკუთვნის! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ლევანმა და ქუჩაში
მიმავალ მანქანას თვალი გააყოლა.





შემი ვაჩანიცა

256 მაღლიერი

შენ მდიდარი ხარ უთვალავ ფერით,
რა დაგაყლდება, გინდ ქარში ჰეთანტე!
ცაზეც, მიწაზეც გაქცს ყველაფერი,
სულის მეუფევ, დედასახატევ!

მგზავრს, რომ ვეძახი — „ჩემთან მობრძანდი!“
შენი ღოვლათით, შენი ჭურებით...

და მე ვარ შენი ის ამორძალი —
ვერ მკლავს ისრები... ვერ მკლავს ჭურვები.

ფერთა სერობა შენი მიხარის,
ღიღი გუგუნი შენთა ახოთა.
რამდენი წლის ხარ, ერთი მითხარი,
შენი სიბერე შორს თუ ახლოა?!

როდის იქუხა შენმა სათავემ,
შენმა მდინარემ როდის იდინა?!
შენ დალოცვილო, არ გამითავდე,
შენით ვსულდგმულობ, შენით ღიღი ვარ.

იდინეთ წყლებო, ო, არ ღმიშრეთ,
აროს მენახოს უამი ხვატობის.
თოვლს დამიშენ თუ წვიმას დამიშენ,
ვარ მაღლიერი, შენ ხარ ბატონი.

მე შენს იქით ვარ თვლემაღ, უძლურაღ,
მე შენს იქით ვარ ცრემლი, მწუხარი.
ვარ მადლიერი შენთა ძუძუთა,
ვარ მადლიერი შენი ბუხარის.

პ ა ტ ა რ ა პ ვ ა მ ლ ი

„დარდიანია, — ჩემზე ამბობენ, —
სულ წევს ყალიონს... რისთვის, ვაიმე?“
სამეფო კარზე რომ აბოლებდნენ,
რა ადარდებდათ, ნეტავ, ვაზირებს?!
რა ადარდებდა მეფეს მტრის გამტებს, —
ჰყვაოდა ქართლის მიწა ვაზებით.
ვიცი, რა სწვავდა ბესიქს უცოდველს,
თქვა საქვეყნოდ და აღარ დადუმდა...
რა ადარდებდათ, ნეტავ, ვიცოდე
დედაკარი რომ შეხსნეს დარუბანდს
და აბოლებდნენ გზა-გზა ყალიონს?!
ხედავთ, ამ ჩემს კვამლს მცირე ყავლი აქვს,
გაფრინდა... იაც არ ამიცრემლა —
ისევ ნებივრობს ფერშეუცვლელი.
არა თბილ თმებში ფიფქების ცვენა
და ნაღვლიანი რთველის ფურცლები,
ვიდარდოთ ყრმობის მიმაღვა საღლაც,
რომ მიგვაფრენდა მატლა და მაღლა.
ვიდარდოთ ბედი იმ ნაბერწყალის,
ვერ გავაჩალეთ თოვლიან სულში,
და ჩაეთვლიმა ნავლებში სურვილთ.

თორემ რა არის პატარა კვამლი!

პოზილი მეორერი ვესაუბრიბი ტუვიებს

მიცრეცილ ყუთში ტყვიები ვნახე...
ძმებო, გამომყვა წყეულ ოშიდან.
განა იმიტომ ხელი შევახე,
სისხლი მომინდა?!
მე გავიფიქრე: რამდენი ტყვია
დღემდე კაცმა კაცს მიარტყა გულში!

მიწა ტირის თუ ძვლები ტირიან,
 დიდი წარღვნები რომ ჰქუხდა გუშინ.
 გახსოვთ?! დახვრიტეს ბავშვებიც ჩვენი
 წიგნით, რვეულით, სათამაშოთი,
 იქნებ მათ შორის იყო რჩეული,
 დიდი პოეტი იყო მათ შორის...
 ომი... წამება... რაა ეს ბედი,
 კაცური გზები ნუთუ ვერ ვპოვეთ?!
 მშვიდობა უნდა ნაზ თვალებს დედის,
 მშვიდობა მინდა მეც ვინმე პოეტს.

აქ, ჩემს სავალზე...

აქ, ჩემს სავალზე ხედავ მინარეთს?
 ქიმზე შემორჩია ნახევარმთვარე.
 მე გავიღიძე მძინარ-მძინარემ,
 მზე ვიხილე და ჩემი სათავე.
 მითხარი, მგზავრო, სად ესწრაფები,
 ნუთუ მეჩეთში ლოცულობ კიდევ?
 შენც გაიხსენ სისხლი პაპების...
 ეჰ, დაგვიხავსეს მრავალჯერ კიბე.
 ჩემო ჭარმაგო, თოვლივით თეთრო,
 გითხრა სიმართლე, ვიცი რომ მიწყენ,
 რა ვქნა, დე შენს წინ კელაპტრად ვენთო,
 თუ არ მიყვარდე, ვიყო სამიწე.
 წამოდი ჩემთან, მე აგალელვებ.
 მე გადაგიხსნი ზესკნელს და
 ქვესკნელს.

ზღვისაკენ მიჰქრის პატარა ღელეც
 და ცისარტყლებად გადაიკვესებს.
 ჩვენც გადავირჩენ მთებს, რა მთებს, მაღალს,
 ჩვენ ზევით... ქვევით დიოდეს ღელე.
 ვფიცავ მიწის მაღლს, არ იგრძნობ დაღლას,
 ჩვენ ბურუსებშიც გადავიელვებთ.



ნოდარ მოდებაპა

გაგუა სანდროს სიხარული

იგი ფიქრობდა, დიდხანს ფიქრობდა. იჯდა საწერ მაგიდასთან და ხან-დახან დანაოჭებულ შუბლს ინსტინქტურად თუ მოისრესდა. იგი ვერ გრძნობდა, რომ გარეთ ბინდი იდგა და ოთახში შემოდიოდა გაზაფხულის სურნელი.

ქალალდზე გამოსახული იყო სხვადასხვა ზომის კბილანა: ერთს ხერ-ხივით სამკუთხა გრძელი კბილები ჰქონდა და იფიქრებდით, რომ იგი მხოლოდ ხის საჭრელად იყო განკუთვნილი. მეორე ორჯერ უფრო დიდი ზომისა იყო და კბილები ოთხუთხა ჰქონდა. ქალალდის ზედა მხარეს ცი-ფრები ეწერა. ჩანს, რაღაც ეანგარიშა. იგი ახლაც იმეორებდა ვონება-ში ამ ციფრებს და კბილანებს აკვირდებოდა. ეტყობოდა, ზეპირი გაან-გარიშება ეეჭვებოდა და საბოლოო დასკვნა ვერ გაეკეთებინა. მან იცოდა, საჭირო იყო თეორიული ჩანაფიქრის პრაქტიკული შემოწმება, მაგრამ სწორედ ეს ეხამუშებოდა, ეშინოდა ვინმეს არ ეფიქრა, საქმე შემოლევია.

— მამა, — მოისმა მეორე ოთახიდან რძლის ხმა.

— მამა!

— რა იყო, შვილო?

— რას აკეთებ, მამა? — ახალგაზრდა ქალმა კარი შემოაღო და, ოთ-ჯოს არაფერი იცისო, თქვა: — კიდევ ქალალდებს ჩაკირკიტება?

ბერიკაცს არაფერი უთქვამს, თუმცა არ ესიამოვნა რძლის სიტყვები:

— სანდრო ბაბუ, ღეღამ გამლახა, — ღეღის ფეხებთან თავის შემდეგ კაცი გადასახლდა.

ბერიკაცს ჩაეღიმა.

— გაგლახა?

— ჰო, ბაბუ.

სანდრო მისკენ ისე მიბრუნდა, სკამილან არ ამდგარა.

— მოდი ჩემთან.

ბავშვი მაშინვე გაიქცა და, ვიღრე ბაბუსთან მიეიღოდა, ახალგაზრდა ქალმა მამამთილს უთხრა:

— მამა, დღეს შენთან იყვნენ.

— როდის?

— შუაღლისას. შინ არ იყავი, ქარხნიდან იყვნენ, ერთს რატომ არ შემოიღლისო.

სანდროს ახლა მოაგონდა, რომ ქარხანაში თითქმის ალარ დადიოდა.

— სხვა არაფერი უთქვამთ?

— არა.

— კარგი! — თავი გააქნია ბერიკაცმა, ბავშვი, მუხლებზე დაისვა და ნახაზს დახედა. ბერიკაცს არც ახსოვს, როდის მოუვიდა აზრად დაეხაზა კბილანები და შემდეგ...

— რა არის ეს, ბაბუ? — კითხა ბავშვმა.

— არაფერი! — ბერიკაცმა წარბები გახსნა. — არაფერი, გოგრებია.

— გოგრები?! — გაიმეორა ბავშვმა და გჩუმდა. იგი დააჭმაყოფილა ამ ერთმა სიტყვამ, მაგრამ სანდროს გონებაში ეს ერთი სიტყვა მრავლის შეტყველი იყო... ბავშვი ხელში შეატრიალა და თვალებში ჩახედა, თითქოს თავისი ბავშვობის გახსენება სურდა. არა! თავისი ბავშვობისა არა... ბერიკაცს მოაგონდა პირველი დღე, როცა მამამ ქარხანაში მიიყვანა. ეს იყო ორმოცი წლის წინათ. მაშინ იგი თორმეტი წლისა არც იქნებოდა. გახუნებული პერანგი და შარვალი ეცვა. ძაგარა თმა შუბლზე ეყარა. გადაისვამდა თმაზე ხელს, მაგრამ თმა ისევ წინ გადმოეყრებოდა. იგი შეაშინა ქარხნის ვეებერთელა კარებმა და სახეგამურულმა მუშებმა, რომელთაც სიცილის დროს თეთრი კბილები უელავდნენ. სანდრო ბევრს არაფერს მოელოდა ცხოვრებისაგან, მხოლოდ იცოდა, რომ ექნებოდა ფული, თუმცა დიდად ამ ფულის მნიშვნელობაც არ ესმოდა. ცხოვრობდა მიწურში ქარხნის გვერდით და დილიდან საღამომდე მუშაობდა.

მას შემდეგ გავიდა ათობით წელი.

ბერიკაცმა ბიჭი ძირს დასვა.

ოთახი პატარა იყო, ფანჯრები ეზოში გადიოდა. საწერი მაგიდა ფანჯარასთან იდგა და ზედ ტექნიკური წიგნები ეწყო. სანდროს არსად არ უს-

წავლია — ორმოცი წელი ზეინკლად მუშაობდა, მაგრამ გული არ უშვეს /
ბოდა, წიგნები არ ეყითხა, რაიმე ახალი არ ესწავლა. ბინა ამ რამდენიმე
წლის წინათ მიიღო და ეს ოთახი სამუშაო კაბინეტად აირჩია. იშვიათად
თუ ვინმე შევიდოდა შიგ. ყრუკედელთან დღვანი იდგა და დივნის თავ-
თან — ტორშერი. კედელზე შვილისა და მეუღლის სურათი ეკიდა. მეუღ-
ლე ამ ხუთიოდე წლის წინათ გარდაიცვალა. შვილის სურათი სტუდენ-
ტობის დროინდელი იყო. იგი გადაღებული იყო ქიმიის ლაბორატორიაში
მეცადინეობის დროს. ოთახში მზე ამისგვლისთანავე იჭვრიტებოდა და,
ვიდრე შუადღე არ მოატანდა, ფანჯრის რაფიდან სხივებს არ აკრეცდა. მე-
რე სიგრილე ჩამოწვებოდა და ოთახში თავისებური მყუდროება მკვიდრ-
დებოდა. ბერიყაცის გრძელ სავარეცლში ფანჯარისთან ჯდომა უყვარდა.

მეორე ოთახი, რომელსაც ისინი ზალს ეძახდნენ, მარჯვნივ იყო.
ოთახში პიანინო, სერვანტი და გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ბროლის
გრაფინი და ჭიქა ელაგა. მაგიდის გარშემო ეწყო ნახევრად რბილი სკამე-
ბი, რომელთა ლია მწვანე ფერი კედლის ფერს ეხამებოდა. ჭალი პატარა, მა-
გრამ ბროლისა იყო. ორ ფანჯარას შუა მაღალი სარკე იდგა და სარკის
წინ ეწყო ფაიფურის ცხოველები. ფანჯრებს ამშვენებდა ვარდისფერი აბ-
რეშუმის ფარდები. ცოლ-ქმარს თავისი ოთახი ეზოს მხარეს ჰქონდათ. ამ
ოთახში ორი საწოლი იდგა, ლია ვარდისფრად შელებილი. საწოლის თავ-
თან მუქი ცისფერი ბრა ეკიდა. საწოლის გვერდით გარდერობი ჰქონ-
დათ, ხოლო იქვე კუთხეში — სარკე. ბაბუა და შვილიშვილი ლოჭიაში
წვებოდნენ, რომელიც ოთახად გადაეკეთებინათ.

ბავშვი მას შარვლის ტოტზე წაეპოტინა.

„მაშ დღეს ჩემთან იყვნენ“, გაიფიქრა სანდრომ.

— ბაბუ, სასეირნოდ არ მივდივართ?

ბერიყაცის თვალები წყლიანი ჸქონდა. ბავშვს რომ შექედა, გეგონე-
ბოდათ ცრემლი მოერიაო. ყოველ საღამოს, როცა მოხუცი ქარხანაში მუ-
შაობდა, ისინი სასეირნოდ ბაღში მიდიოდნენ. ბერიყაცი სკამზე ჩამოვდე-
ბოდა და ფეხი ფეხზე გადადებული ბავშვის თამაშს თვალს ადევნებდა.

— გნახოთ, — ოქვა მან.

— არა, წავიდეთ, ბაბუ. ერთხელ მაინც წავიდეთ.

სანდრომ ნახაზს გაღახედა და მოაგონდა, რომ დიდი ხანია ბაღში არ
ყოფილან სასეირნოდ.

ისინი წინა ოთახში გავიდნენ.

— მამა, საღმე ხომ არ მიდიხარ? — კითხა რძალმა.

— არა.

— კი, ბაბუ, წავიდეთ!

— გაჩუმდი! — უთხრა დედამ.

— როდის იყვნენ ჩემთან? — მაშინალურად იკითხა ბერიკაცმა.
 — დღეს, შუაღლისას.
 — რაო, რა თქვეს?

— არაფერი, სად არისო. რატომ ქარხანაში არ გამოივლისო.
 — გავივლი! — დაბეჭითებით თქვა სანდრომ.

— რამდენი ხანია არ ყოფილხარ? — კითხა ახალგაზრდა ქალმა.

— ამ ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, — თქვა და ბერიკაცი თავის თათაში შებრუნდა, სავარძელში ჩაჯდა და ნახაზი აიღო. ნახაზს დასცემოდა და ფიქრობდა, რა შეუმჩნევლად გავიდა ორი წელი. მართლაც, ეს ორი წელი იმ ორ დღეს ჰგვადა, რომელსაც დაზგასთან ატარებდა ივი. არ ევონა, ასე თუ დაივიწყებდა თავის კოლექტივს, თუმცა დავიწყებით როდი დაავიწყდა... როცა ფანჯარაში მზე შემოიხედავს, ან წინა თათაში შვილი და რძალი აღებიან, თახის სიჩუმეს ფუსფუსი დაარღვევს, გულზე გაცენწლავს, რომ იგი არსად არ მიდის, შინ რჩება. ამ დროს გარეთ გახედვაც არ უნდა. ზოგჯერ თავზე საბანსაც წაიფარებს, რომ ისე წავიდნენ, მან არაფერი გაიგოს.

„არ ვარგა, ქარხანაში რომ არ დავდივარ!“, გაიფიქრა მან და მოავონდა გამოსათხოვარი საღამო. ქარხნის კლუბის ვეებერთელა დარბაზი საზე-იმოდ იყო მორთული. სცენაზე წითელი ფარდა ჩამოეშვათ და შუა აღვილას, ყვავილების ორ რტოს შორის, დიდი ასოებით ეწერა — ორმოცი. მას ზემოთ ეკიდა მისი სურათი, შესრულებული ქარხნის ხარატის მიერ. შემდეგ ეს სურათი მას აჩუქეს. სცენის სილრმეში იდგა წითელსაფრიანი გრძელი მაგიდა პრეზიდიუმისათვის, ხოლო გვერდით ტყავის დიდი სავარძელი. როცა სანდრო ქარხნის ხელმძღვანელებთან ერთად დარბაზში შევიდა, ტაშმა იქუხა. სანდრო გაწითლდა. არ ეგონა, ამ ხნის კაცს ყმაწვილივით თუ შერცხვებოდა. ბავშვებმა ყვავილები მიურბენინეს — სავარძლის გარშემო ყვავილების ზღვა დადგა. სანდახან დაფიქრდება და ცდილობს მოიგონოს, რაც იმ გამოსათხოვარ საღამოს ითქვა, მაგრამ მეტად ეძნელება, მოელი ორი საათი ილაპარაკეს მასზე და ვინ იცის რამდენი საჩუქარი მოუვიდა.

იმის გახსენება, რომ მას შემდეგ ქარხანაში მხოლოდ ერთხელ იყო, კიდეც რცხვენია და კიდევაც აფიქრებს. ქარხანაში მაშინ შეიარა, როცა მუშაობა დამთავრებული იყო, გახერდა თავის დაზგასთან და კარგა ხანს უყურა. გონებაში რაღაცას ანგარიშობდა, მეტე, როცა გამოელაპარაკნენ, ნაძალადევად უთხრა, შემთხვევით შემოვიარეო.

ნახაზი ხელში შეატრიალა.

გამოსათხოვარი საღამოს წინადღეებში ერთი მეტად საჭირო და უცნაური აზრი აეკვიდატა, უცნაური იმდენად, რომ თვითონაც არ იცოდა, რამ-



დენად გაამართლებდა. არავისთან სიტყვა არ უთქვაშს, ნაფიქრალს ჭრობის
ინახვდა და თავისთვის მსჯელობდა. მაშინაც კი, როცა გამოსათხოვარი
საღამო დაინიშნა, თქმა ვერ გაბედა, რომ თუგინდ რამდენიმე დღით გა-
დაედოთ ეს საღამო. ეგონა, როცა კოლექტივს მოწყდებოდა, თავის ნაფიქ-
რალს დაივიწყებდა. მაგრამ იგი უფრო და უფრო აწვალებდა. ერთი რამ
კი ძალიან უხაროდა — სიტყვა არავისთან დასცდენია. რამდენიმე დღე
კი არა, უკვე ორი წელი გავიდა და...

ნახაზი მაგიდაზე დაღო.

ჰო, ხვალ წავალ, — გაიფიქრა მან. — სხვებსაც გავუზიარებ ჩემს
აზრს. იქნებ ვცდები?

იგი კმაყოფილი იყო, რომ დილით ქარხანში წავიდოდა, რომ არავინ
დაუვიწყია. ადგა, წინა ოთახში გავიდა და ბავშვს შეხედა, რომელიც დი-
ვანზე ყველასაგან მიტოვებული ჩამომჯდარიყო.

— წავიდეთ ბაღში, — უთხრა მან ბავშვს.

იფაკლებულ ცისკიდურს ეტყობოდა, რომ მზე ახალჩასული იყო.
ზანტად გაწოლილი ღრუბლების ქულები ათასგვარ ცხოველს მოგაგო-
ნებდათ. ქუჩებში ჯერ ლამპიონები არ ანთებულიყო და თალხი არე-მარე
გამჭვირვალე. და მრუმე იყო. ისინი ხელიხელჩაკიდებული მიაბიჯებდნენ.
ბავშვს დიღრონი თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი, მოხუცს ოდნავ
მოჭუტოდა და ასფალტზე დაჩერებულს ბაგებზე ღიმილი ეფინა. მერე,
უეცრივ აინთო ლამპიონები და უფრო ნათლად გამოჩნდა ქუჩებში შე-
მოსული საღამო.

— ბაბუ, ხვალ წამოვალთ სასეირნოდ? — კითხა ბავშვმა.

— კი, წამოვალთ,

— ზეგ?

— ზეგაც წამოვალთ, ყოველ საღამოს წამოვალთ! — ჩიფჩიფებდა
ბერიყაცი.



ჯემალ ქათახაძე

გალადტიონ ტაბიძე

რა იყო: ქარი, მეხი და ელვა,
 თუ ლელვა ზღვათა?
 თუ მსხვერევა ზვავთა?
 ერთად შეკრული ის იყო ყველა,
 მისი ცხოვრება ქარიშხალს ჰგავდა.
 ოცნებებს, როგორც გემს

აფრებიანს,

მიაქროლებდა შორს უქაროდაც,
 ცას შესტეროდა ლაუგარდებიანს,
 ცა მას უცქერდა და უხაროდა.

ნეტავ, გრიგალი საქართველოსი
 როგორ მოთაცსდა ცივ სამარეში?

* * *

დასაბამიდან ამგვარად მოღის,
 სიკვდილი დადის ყველა მხარეში,
 მაინც მეზობლის არ იცი ყადრი
 და ბოროტებას გამჩნევ თვალებში.
 აწყობ ათასგვარ ხუნდსა და მახეს,
 რომ შეამოკლო. წუთი ცხოვრება,
 ო, აღამიანს ხელებს ნუ ახლებთ,
 რაღაც სიცოცხლე არ მეორდება.

შ უ ა რ ო ზ ე

მე წყურვილმა ამიტანა
 წყაროსი და ქალისამა.
 ვკითხე: — ვინ ხარ ამისთანა?!
 მიპასუხა: — მთვარისა ვარ.
 — ვისზე ფიქრობ, გენაცვალე?
 მიპასუხა: — თვალი სად გაქვს?!



ლაზო სიღიგვაილი

ბ ე თ ჰ მ ა 6 0

ექიმო, ჩაკეტე ჭიშყარი, ემანდ სიკვდილი არ შე-
მოვიდეს.

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი.

24 მარტს, ღლისით, დაჭანცული მეგობრები, რომ..
ლებიც ავადმყოფ ბეთჰოვენთან მორიგეობდნენ, სასა-
ფლაოზე წავიდნენ დიდი კომპოზიტორისათვის სამუ-
დამო განსასვენებლის მოსახებნად.

ღამენათევი ღალლილი მეგობრები
სასაფლაოზე ადგილს დაეძებენ...
არ ვიცი საოცრებით, არ ვიცი შეგონებით,
თუმცა ის კიდევ სუნთქავდა მძიმედ.
ვენა და მარტი, ღვართქაფი აღრე
არ დადგომია ვენას ჭერ ასე.
სასაფლაოზე დაეძებენ ადგილს
და აკაკუნებს ვიღაცა კარზე.
დუმს სარეცელზე შეღონებული,
კედლებს უყურებს გალიბრულ შუშით.
ერთი სული აქვს წამოჭდეს ოღონდ
და მოუქნიოს ვიღაცას მუშტი.
რა უხმაუროდ აწყდება ფანჯრებს
თოვლი და, ალბათ, ყეფს ქუჩის ძაღლი.

ვერ მოიგონა ვერაფრით ამჯერ
 კვირა უქმება თუ კვირაძალი.
 კოშკის საათმა დაპკრა მესამედ.
 „ასე გვიყაკუნებს კარზე იღბალი“.
 გულიდან გულში გადადის მესა,
 იცვლის სახოვან ფერებს ნიღაბი.
 ზაზუნი მღერის და მომთვარული
 ცივი და თეთრი სინათლე ნელა
 ღიად დარჩენილ უძრავ თვალებით
 სხეულში ჩადის უკანასკნელად.
 სასაფლაოზე ადგილს დაეძებენ.
 ის იმზირება საოცრად კუშტი.
 ერთი სული აქვს წამოჯდეს ოღონდ
 და მოუქნიოს ვიღაცას მუშტი.

ჰაეროვანი ცისფერი ლანდი

ჰაეროვანი ცისფერი ლანდი,
 მოსიარულე წვიმის დეზებით,
 მოგონებებს რომ ალამაზებენ,
 ავსებდა შენზე ერთ მთლიან ცისფერს.
 ჩემი ცხოვრება, რამე ორგვარი:
 ერთი რომ ჰყარგავს, მეორე იძენს,
 როგორც დაშლილი დიდი გორგალი
 განვლილ წლების და დღეების სიგრძე.
 ჰაეროვანი ცისფერი ლანდი
 სულში შრიალებს განასკვულ ლამბით,
 მოგონებებს რომ ალამაზებენ
 მოსიარულე წვიმის დეზებით.
 მიღიან ჩვენგან და, როგორც ფორთხვით
 დღე დაწყებული ჩემი დაბადების,
 თეთრ-თეთრ ქვიშაზე სტოვებენ ქოხებს
 ჰაეროვანი ცისფერ ლანდების.





ამირან გარვაშიცა

გოროდინო

ჭერ კიდევ წინასაღამოს, როცა იმპერატორის კარავში გენერალი რა-
პი შევიდა, ფიქრებში გართული მისი უდიდებულესობა შესვლისთანავე
შეეკითხა მას:

— დარწმუნებული ხართ თუ არა ხვალინდელ გამარჯვებაში?

ცბიერმა კარისკაცმა უმაღლე უბასუხა:

— გამარჯვება უეჭველია, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ დიდი
მსხვერპლის ფასად მოვიპოვებთ!

ცარევო-ზაიმიშვილი კუტუზოვის ჩამოსკლამ გაახარა ნაპოლეონი, ეგო-
ნა, რომ ჩრდილოეთის ბებერი მელა (ეს სახელი კუტუზოვს თვითონ ნა-
პოლეონმა შეარქვა) არ დაიხვდა ბარკლაის მსგავსად და გამართავდა გე-
ნერალურ ბრძოლას... მაგრამ იქაც მოტყუვდა. „აქ კი, ბოროდინოსთან,—
ფიქრობდა ნაპოლეონი, — უეჭველად არის იმის დამაჯერებელი სიმპტო-
მები, რომ კუტუზოვი ბრძოლას მიიღებს. რუსეთის თვალუწვდენელი სი-
ვრცელები ისე განვვლეთ, რომ მოწინააღმდეგესთან გენერალური შეტაკე-
ბა არსად გვქონია. ასე იქცეოდნენ ორი ათასი წლის წინათ რუსების წი-
ნაპრები — სკვითები... ისინი შეიტყუებდნენ ხოლმე მოწინააღმდეგეს თა-
ვიანთ თვალუწვდენელ სივრცეში და იქ ანადგურებდნენ... მაგრამ ახლა
სულ სხვა დროა“.

დარიუ, კოლენკური, მიურატი, ნეი, ბერტიე და დავუ ერთად შეკ-
გუფებულიყვნენ და ისინიც ფიქრს გაეტაცა. ნაპოლეონმა თვალი გადა-

ავლო მათ. იმპერატორს არასოდეს უნახავს თავისი მარშლები ბრძოლის
შინ ასე გულჩათხრობილნი.

— ვხედავ, ეჭვებს შეუპყრისართ, — მეაცრი ხმით მიმართა ნაპოლე-
ონმა მარშლებს, — დაეჭვებული აღამიანისათვის, ისიც ბრძო-
ლის შინ, გამარჯვება უცხო და მიუწვდომელი ხილია. აქ კი საეჭვო არა-
ფერია. სანამ მოქმედებას დავიწყებდე, ბევრი ვიფიქრე რუსეთზე... ჩემი
გაანგარიშება სწორია... თუ კიევი ავილე, მაშინ რუსეთს ფეხებში წავატან-
ზელს, თუ პეტერბურგი დავიყარი, მაშინ რუსეთის თავს ჩავიგდებ
ხელში, მოსკოვის აღებით კი რუსეთს გულს გაუუგმირავ... შემდეგ გზა
გაგვეხსნება ინდოეთისაკენ. ალექსანდრე მაკედონელმა მიაღწია განგას
ისეთივე შორეული პუნქტიდან წასულმა, როგორიც მოსკოვია. წარმო-
იდგინეთ, რომ მოსკოვი აღებულია, რუსეთი დამხობილია, მეფე შეგვი-
რიგდა, ანდა ჩამოაგდეს სასახლის შეთქმულების მეშვეობით. მითხარით,
განა მაშინ ფრანგთა არმია და დამხმარე ჯარები განგამდე ვერ მივლენ?

— ვშიშობ!.. — უნებურად წამოცდა. ბერტიეს.

— რამ დაგაშინათ? — შიშნარევი ხმით დეითხა ნაპოლეონმა და რა-
ტომდაც კოლენკურს მიაშტერდა.

— მეც... მაფიქებს სიგრცე, მეშინია, არ დავიყარგოთ!

— აქ საშიში არაფერია. მოსკოვისაკენ. მოსკოვის შემდეგ ინდოეთი...
განგის სანაპიროებისაკენ... კიდევ ორი-სამი წელიწადი და მთელი მსოფ-
ლიოს ბატონი ვიქწები! — თქვა ნაპოლეონმა და ჩვეული პოზა მიიღო:
მარცხენა ხელი უკან წაიღო, მარჯვენა ხელის ოთხი თითო ყილეტის გახს-
ნილ არეში ჩაიყო, თავი მაღლა ასწია, თვალები კი მიწას მიაპყრო.

— მის უდიდებულესობას სურს მიუწვდომელს მიწვდეს... მაგრამ...
განა ეს შესაძლებელია? — თავისთვის ჩაილაპარაკა დარიუმ. ამ დროს კა-
რავში შემოვიდა გენერალი რაპი, რომელიც ნაპოლეონის წინ გამოიჭიმა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ესპანეთიდან ჩამოვიდა მარშალ მარ-
მონის ადიუტანტი პოლკოვნიკი ფავირე... იგი მოვიდა ფრიად სამწუხარო
ცნობებით... არაპილეს მიდამოებში ესპანელებმა დაამარცხეს ჩვენი ჯა-
რები... ჩვენი მდგომარეობა იქ თითქმის კატასტროფულია!

— ესპანეთი... ისევ ჩემი მოურჩენელი ძეველი იარა! — თითქმის ოხვ-
რით აღმოხდა ნაპოლეონს და სკამზე ჩამოჭდა.

— თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ უეჭველად დავიღუპავთ თავს!..

— ჯარები ესპანეთში ორჯერ მეტი გვყავდა, ვიღორ აქ, ბორიდინოს-
თან... ასეთ პირობებში არ უნდა ვისწრაფოდეთ ახალი ბრძოლებისაკენ.

— ჩვენ ჯერ კიდევ სმოლენსკმა დაგვანახა ამ კამპანიის ცუდი შედე-
ვი... ახლა კი რაღა აზრი აქვს მოსკოვზე ლაშქრობას?

— მართალი არის, უნდა შევწყვიტოთ ლაშქრობა!

ზედიზე წარმოთქვეს თავისი აზრი ნაპოლეონის მარშლებშა.

ნაპოლეონმა დამცინავი ღიმილით გადახედა თავის ერთგულ თანა-
მებრძოლებს, წამოდგა, ისევ თავისი საყვარელი პოზა მიიღო და ოქვა:

— ლაშქრობა სმოლენსკიდან მოსკოვზე ეყრდნობა იმ აზრს, რომ მო-
წინააღმდეგე დედაქალაქის გადასარჩენად გამართავს ბრძოლას და რომ
იგი ამ ბრძოლაში განადგურდება.

* * *

ნაპოლეონი ღელავდა. მთელი ღამის განმავლობაში ფრანგთა იმპე-
რატორს თვალი არ მოუხუჭავს. იგი ხშირად გამოდიოდა კარავიდან და
შიშით გასტეროდა რუსთა ბანაქს, ხომ არ გამისხლტნენ ხელიდან...
მისი უდიდებულესობა ცუდად გრძნობდა თავს. ისინიც კი, რომლებიც
მას ოცი წლის განმავლობაში მუდამ თან ახლდნენ და კარგად იცნობდნენ,
პირველად ხედავდნენ ასე მშვიოთვარეს.

სემიონოვსკოესა და ბორიდინოს მიღამოებში, აგრეთვე მეორე არ-
მის მთავარსარდლის ბაგრატიონის ფლანგზე — სემიონოვსკოეს ხევსა...
და უტიცას შორის კოცონები ენთო. ბრძოლა განთიადისას უნდა დაწყე-
ბულიყო და რუსთა ბანაქში თითქმის არავის ეძინა. როცა განთიადი მო-
ახლოვდა, მთელი ღამის უძინარმა ნაპოლეონმა მიატოვა კარვი და ამა-
ლიასთან ერთად მაღლობს მიაშურა. იქ, სადაც ნაპოლეონს რუსეთის არმა
ეგულებოდა, კვლავ კოცონები ენთო და ნაპოლეონი საბოლოოდ დარწ-
ევდნდა, რომ რუსები ბრძოლას მიიღებდნენ.

— სადაც არის გათენდება და კუტუზოვი ჯერ კიდევ არ წასულა. იგი
უეჭველად მიიღებს ბრძოლას. მე სრულებითაც არ მსურს უბრძოლველად
ავილო მოსკოვი... რუსეთის არმიის განადგურება, გენერალური შეტაკება
მოსკოვის მისადგომებთან. ის რა არის საჭირო. კუტუზოვი მოსკოვს არ
დათმობს უბრძოლველად, თუმცა ეს მისთვის სტრატეგიულად ხელსაყ-
რელია, მაგრამ პოლიტიკურად შეუძლებელი... კიდევ ათი დღე და შეს-
კოვში შეგიყვანთ გამარჯვებულებს. — ნაპოლეონმა განთიადის პირველი
ნიშანი შეამჩნია და იქვე იკითხა: — რუსთა მარცხენა ფლანგი ხომ არ გა-
ძლიერებულა?

— იქ ყველაფერი კვლავინდებურადაა, თქვენი უდიდებულესობავ!...
ჯარების რაოდენობის, სიმაგრეებისა და რელიეფის მხრივაც იგი ყველაზე
სუსტია რუსთა ბანაქში! — საქმის კარგი ცოდნით უპასუხა დარიუშ. ·

— მაგრამ იმ ფლანგს გენერალი ბაგრატიონი სარდლობს, — შეუცწო-
რა ნაპოლეონმა, — ეს კი ბევრს ნიშნავს. ამიტომ სწორედ ამ ფლანგზე
უნდა მოვასწროთ მთავარი დარტყმა... თავისი კორპუსებით შეუტევენ მა-

რშლები დავუ, მიურატი და ნეი... თითქმის სამჯერ მეტი ჭარი... ამასთან
სამი მარშალი ერთი გენერლის წინააღმდეგ... მგონი საკმარისია? ერთგული
— უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება კიდევ დაემატოს! — დარიუს

სიტყვებმა იმპერატორის უკმაყოფილება გამოიწვია.

— გრაფო, ხელგაშლილობა მხოლოდ ნადიმზე მომწონს.

განთიადი თანდათან ახლოვდებოდა. მალე აღმოსავლეთი სისხლის-
ურად შეიღება. რუსთა ბანაკი შეირჩა. ეტყობოდა, ჭარები პოზიციებზე
ჟაგრდებოდნენ. უცებ იმპერატორის წინ გენერალი რაპი აღიმართა.

— თქვენი უდიდებულესობავ, ძველი გვარდია უკვე მწყობრშია!

პასუხის ნაცვლად ნაპოლეონი მაღლობზე ავიდა და იქიდან მიმართა
თავის ძველ გვარდიას.

— ჭარისკაცებო! — ხმამაღლა დაიწყო ნაპოლეონმა. — აპა, ის შე-
ტაცება, რომელიც თქვენ ასე გწყუროდათ. გამარჯვება თქვენზე არის და-
მოკიდებული. იგი ჩვენთვის აუცილებელია. ჩვენ იგი მოგვცემს დიდ სი-
უხვეს, კარგ საზამთრო ბინებს და სამშობლოში სწრაფად დაბრუნების
შესაძლებლობას. ამ ბრძოლის მოგება თქვენ გაგიღებთ რუსეთის ძველი
დედაქალაქის — მოსკოვის კარებს. დაუ, თქვან, რომ გმირობა გამოიჩი-
ნეთ ბრძოლებში მოსკოვის მისადგომებთან. დამარცხებული მტერი იძუ-
ლებული იქნება შემოგვთავაზოს ზავი, რომელიც სასახელო იქნება ჩვენ-
თვის და ჩვენი ერთგული მოკავშირეებისათვის.

როცა ნაპოლეონი მაღლობიდან ჩამოვიდა, მზის პირველი სხივები
ტყის ყველაზე მაღალი ხეების კენჭეროებს დაეფრქვა და 1812 წლის 26
აგვისტო, ბოროდინოს ბრძოლის სისხლიანი დილა, დადგა. ნაპოლეონი
უცებ გამოიცვალა. მის თვალებში კვლავ აკიაფდნენ ნაპერწკლები, დაღ-
ლიოლი სახე გამოუცოცხლდა და, როგორც ყოველთვის ბრძოლის წინ,
ახალგაზრდულად ამოძრავდა. საათზე დაიხედა. უკვე ხუთი სრულდებო-
და და ნაპოლეონმა ბრძანა:

— იტალიის ვიცე-მეფე ევგანი ბოგარნე თავისი კორპუსით ეკვეთოს
სოფელ ბორიდინოს მარცხნა ფლანგს. მარშალი ნეი, დავუ, მიურატი
გაეშურონ ბაგრატიონის სიმაგრეთა წინააღმდეგ სოფელ სემიონოვსკოეს
ცენტრში. — ნაპოლეონმა ამომავალ მზეს მიაპყრო თვალები, თავისი სა-
ყვარელი პოზა მიიღო და, თითქოს მზეს შესძახაო, პათეტიკურად წარ-
მოთქვა: — ვეღირსე! მტერი ხელთა გვყავს. წინ! გავაღოთ მოსკოვის კა-
რები! ხედავთ, მზე ამოდის, აუსტერლიცის მზე!

* * *

განთიადის წინ სემიონოვსკოეს ავანპოსტზე ბაგრატიონი მაღლობი-
დან გასცემეროდა ფრანგთა ბანაკს, კუტუზოვი კი იქვე დანთებულ კო-

ცონთან წამოწოლილიყო და ფიქრებს გაეტაცა. „ბევრისაგან მსმენია, ფიქრობდა კუტუზოვი, — და მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ ბარეკლის ნაცვლად ბაგრატიონს დანიშნავდნენ... მაგრამ ასე არ მოხდა და ღმერთმა უწყის, რა არის ამის მიზეზი... არჩევანი ჩემზე შეჩერდა. ალბათ, განუწყვეტელი უკანდახევით დაცემული პრესტიუსის ასამაღლებლად. ამ ბრძოლას ვიწყებ ისე, როგორც აუსტერლიცისას, ჩემი სინდისისა და სურვილის წინააღმდეგ. ყოვლად შეუძლებელია მოსკოვის დატოვება უბრძოლველად... ამას არავინ მაპატიებს, მიუხედავად იმისა, რომ წმინდა რუსული გვარი მაქვს. ეს ბრძოლა, არახელსაყრელი სტრატეგიულად, აუცილებელია პოლიტიკურად“.

ბაგრატიონი ადვილად მიუხედა ღრმად ჩაფიქრებულ კუტუზოვს, რომელმაც ბოლო სიტყვები თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა.

— ვის ესაუბრებით, მიხაილ ილარიონვიჩ?! — იყითხა ბაგრატიონმა და განაგრძო: — ეს ბრძოლა აუცილებელია და დღეს თქვენი ხელმძღვანელობით დანთებული ცეცხლი ერთხელ კიდევ გაუთქვამს სახელს რუსეთის უძლეველ იარაღს.

— პიოტრ ივანოვიჩ, თქვენ ვაუკაცობა და ჩვეული გმირობა გიზიდავთ ომისაკენ, სამშობლოს პატრიოტს მტერთან შეტაკება გწყურიათ... ეს ჩემთვის სასიამოვნოა და სავსებით გასაგებიც. ბენიგსენი კი თავისი გაუთავებელი ლაყბობით გენერალურ ბრძოლაზე სულ სხვა ეჭვებს მიღვიძებს... რაც შეეხება ბარკლაის, ნუ უწყირებით... თქვენ ფიცხი ხართ და ხშირად ამიტომ გეხვენებოდათ მოღალატედ. — თქვა და თავისი ერთადერთი თვალი ალერსით მიაჟრო ბაგრატიონს.

— მე ასე ვმსჯელობ: უუნარო ხელმძღვანელი მტერზე უარესია... ხელს ნუ მოჰკიდებ იმას, რასაც ვერ გაუძღვები და რის უნარიც არ შეგწევს. დიახ, უუნარო ხელმძღვანელი დაკისრებული საქმის მოღალატეა. ბარკლაი უკან იხევდაო, მაგრამ უკანდახევის გეგმა არ გააჩნდა... უგეგმოდ კი საქათმესაც არ აშენებენ. იყო წუთები, როცა გამარჯვება ხელიდან გაუშვა ეგრეთწოდებული უკანდახევით გატაცებულმა... ბევრჯერ შეგვეღლო მტრის დიდი ძალების განაღვურება, ჩვენს შორის თანხმობა და ერთსულოვნება რომ ყოფილიყო!

კუტუზოვი კარგად ხედავდა, ბაგრატიონი გაღიზინებული იყო ბარკლაი დე ტოლის გახსენებით და დამაწყნარებელი ტონით მიმართა:

— თქვენ მართალი ხართ, პიოტრ ივანოვიჩ... მაგრამ ბარკლაი ახლაც, აქაც უკან დახევას მოითხოვდა და იგი სავსებით მართალი იქნებოდა... მეც ამ აზრის ვარ... ეს ბრძოლა ახლა საზარალოა, მაგრამ როგორც თქვენ ბრძანეთ, უბრძოლველადაც არ შეიძლება. უკვე დრო არის, ხედავთ, განთადია, მზე ამოდის. — კუტუზოვი წამოდგა, ბაგრატიონს ხელები მხრებ-

ში. წაავლო, თვალებში ჩააცქერდა და ხმამაღლა უთხრა: — თბილისი, ბევრს არაფერს გეტყვით... ოქვენ იცით!

ბაგრატიონს კარგად ესმოდა კუტუზოვის უკანასკნელი სიტყვები... რომ ფრონტის ყველაზე რთული, ყველაზე ძნელი და გადამწყვეტი უბანი მას ებარა და ბრძოლის ბედიც მასზე ბევრად იყო დამოკიდებული.

თენდებოდა. ნისლი თანდათან იფანტებოდა. მზე ამობრწყინდა და ცვარით დანამულ მინდორ-ველზე საკებით ქრებოდა გრძელი ჩრდილები. ბაგრატიონი საკომანდო პუნქტზე გამოჩნდა, მწყობრში ჩამდგარ ჯარს გადახედა და თავის საყვარელ მებრძოლ ძმებს სულში ჩამწვდომი სიტყვებით მიმართა:

— ჩემო ძირთასო ძმებო! დღეს ჩევნ ბრძოლის ველზე შევხვდებით რუსეთისა და მთელი ქვეყნიერების მტრებს. ზეღმეტად მიმაჩნია აგიშეროთ ის უბედურება, რაც მათ დაპყრობილ ქვეყნებს მიაყენეს. მათ მიერ ჩადენილი საშინელება ჭოჭოხეთშიც კი ვერ დაეტევა. ღირსია გახდეს ნაბოლეონის უურმოჭრილ მონად ის, ვინც უარს ამბობს სამშობლოს ღირსებისა და უფლებების დაცვაზე. დიახ, მონაა ის, ვინც ნებით ემორჩილება ბოროტ ძალის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი, ვისაც შეუძლია დამშვიდებით უყუროს ტაძრების დანგრევას, ქალაქების დაქცევას, წინაპრების მშვიდობიან საცხოვრებელთა დაწვას, შრომით დამუშავებული მინდვრების გავერანებას, ჭალარაშემოსილი მამებისათვის ბორკილების გაყრას, ცოლებისა და ქალიშვილების შეურაცხყოფას.

თქვენ ოჯახებმა აგირჩიეს იმის დასაცავად, რაც ყველაზე წმინდა და ძვირფასია თქვენთვის, თქვენი მტრები კი მხოლოდ ბოროტი ძალის ნებით იბრძვიან. მათ არაფერი აქვთ დასაცავი: მათი სამშობლო დაიღუპა თვითონებური ურწმუნოების ნანგრევებში. მათი მამები, ცოლები და შვილები, ვინც ულმობელ სიკვდილს გადაუჩრჩნენ, ტირანმა დახვრიტა ან ჩამოახრჩო. თქვით, შეუძლიათ თუ არა მტრებს, საშინელი უბედურებით დამძიმებულთ, ჩვენსავით ბრძოლა?!. ეჭვი არ მეპარება ჩვენს გამარჯვებაში. მიძყვევით ჩემს მაგალითს!.. ნუ გეშინიათ ნურც სიკვდილის, ნურც უბედურების. სიკვდილს ვერავინ გაექცევა! იგი ერთნაირად ეწვევა როგორც მდიდარს ბრწყინვალე სასახლეში, რბილ სარეცელზე, ისე ღარიბს ჭოხში, თივაზე. განა უმჯობესი არ არის სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე მახვილით ხელში სიკვდილი?!. წინ! წინ! ჩემო მეგობრებო!

ისმინეთ, ჩემო ძმებო, სადაც მე ვარ, იქ სიკვდილია ან გამარჯვება!

* * *

ხუთ საათსა და ოცდაათ წუთზე დაიწყო ბრძოლა ბოროტინოსათვის.

ამავე დროს ასზე მეტმა ქვემეხმა საშინელი ცეცხლი გახსნა ბაგრატიონის
სიმაგრეთა წინააღმდეგ. ფრანგებს ცეცხლითვე უპასუხა რუსთა ოტილე-
რიამ და ისეთი გრუხუნი ატყდა, თითქოს ცა ჩამოინგრა და მიწის ზედა-
პირი ქვესკნელს შეუერთდათ. ევგენი ბოგარნეს ჭარებმა სწრაფად დაიკა-
ვეს სოფელი ბოროლინო და იმავე დროს მარშალ დავუს ნაწილები გადა-
ვიდნენ შეტევაზე ბაგრატიონის სიმაგრეთა წინააღმდეგ.

ფრანგები სამჯერ ჭარბობდნენ ბაგრატიონის ჭარებს, არტილერიით
კი ორჯერ. მარშალ დავუს ოცდახუთათასიანი კორპუსი ნიაღვარივით წა-
მოვიდა ბაგრატიონის რეათასიანი გრენადერთა და 27-ე ქვეითი დივიზი-
ების წინააღმდეგ, მაგრამ ბაგრატიონის მეომრები გადაულახავ კედლად
ალიმართნენ ფრანგთა წინაშე. საშინელი ჩეხვა და სისხლისღვრა დაიწყო
სემიონოვსკოეს ცენტრში. მოწინააღმდეგებმ ვეღარ გაუძლო რუსთა
კონტრშეტევას და ზურგი იბრუნა.

შვიდი საათისათვის ფრანგებმა გააძლიერეს ბაგრატიონის წინააღმ-
დეგ მოქმედი ნაწილები და ისევ გადავიდნენ შეტევაზე. დიდი ზარალის
ფასად აიღეს მარცხენა ფლეში, მაგრამ ბაგრატიონი კონტრშეტევაზე გა-
დავიდა და ფრანგები კვლავ განდევნა. მარცხით დამთავრდა მათი მესამე
შეტევა, მეოთხესაც იგივე ბედი ეწია და, როცა მეხუთეჯერ ფსიქიურ შეტე-
ვაზე გადმოვიდნენ, ბაგრატიონი ალტაცებით შესცემროდა ფრანგთა რაზ-
მებს, რომლებსაც თოფები მხრებზე დაედოთ და ბარაბნების გრუხუნის
რიტმს აყოლილი მარშით მოდიოდნენ. სიმაგრეებისაკენ; საიდანაც მათ
რუსთა ტყვია უმოწყალოდ ცელავდა. ბაგრატიონი წამოხტა, მაღლობზე
ავიდა და ალტაცებული გაიძახოდა:

— ვაშა! ვაშა!

— თქვენო ბრწყინვალებავ, ვის ასხამთ ხოტბას, ისინი ხომ ფრანგი
გარისკაცები არიან, იმათ?! — მოესმა ბაგრატიონს აღიუტანტის სიტყვები.

— დიახ, იმათ! შეხედეთ, ნამდვილი ვაჟკაცები არიან. სად არის ჩემი
ცხენი?

რამდენიმე წამის შემდეგ ბაგრატიონი ცხენზე შეჭდა, სწრაფად გაე-
ქანა შეტევაზე წამოსული მტრის წინააღმდეგ და თან გაიყოლია თავისი
დევგმირები.

* * *

ნაპოლეონი მთელი თავისი ამალით მაღლობიდან გასცემროდა ბრძო-
ლის ველს, როცა ბანაქში გაოფლიანებული ცხენით შემოიჭრა თავით ფე-
ხამდე მტვერში ამოსვრილი და საშინლად დაღლილი ოფიცერი. იგი
მაინც მარდად გადმოხტა ცხენიდან და ყოჩალად გამოიჭიმა ნაპოლეო-
ნის წინაშე.

— მარშალმა მიურატმა მიბრძანა მოგახსენო თქვენს უდიდებულესო-

ბას, რომ დამხმარე ჯარს თხოულობს. — სულმოუთქმელად მოახსეგმა ჟაფრანი
ცერმა იმპერატორს. ნაპოლეონმა ოფიცერს არც კი შეხედა, ისე წარმო-
ოქვა ნელი, მაგრამ მკაცრი ხმით:

— გადაეცით ოქვენს მარშალს, რომ არავითარ დამხმარებას არ მი-
იღებს. რუსთა მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ მასთან ერთად იბრძუინ
ჩემი საუკეთესო ჯარები, ჩემი საუკეთესო მარშლების ნეისა და დავუს
ხელმძღვანელობით. გადაეცით მარშალ მიურატს, რომ მისგან გამარჯვე-
ბას ველი და არა მაშველი ჯარების მოთხოვნას.

ნაპოლეონის ყურადღება მიიძყრო სანიტრებმა, რომლებსაც ვიღაც
დაჭრილი გენერალი თითქმის ხელში აყვანილი მოჰყავდათ. ნაპოლეონმა
მყისვე იცნო დაჭრილი.

— აა, გენერალი ბლიუტო?

— მე ვარ, ოქვენო უდიდებულესობავ... თვითონ არ ვიცი როგორ
მოვხვდი აქ, ჩანს, გრძნობადაკარგული ვიყავი. — მიუხედავად მძიმე ჭრი-
ლობისა, მაინც მხედ მოახსენა იმპერატორს, მაგრამ იმპერატორი უკვე
აღარ უსმენდა ბლიუტოს და დურბინდით ადევნებდა თვალს ბრძოლის
მსვლელობას.

ბლიუტო ჩრდილში დასვეს და მის ირგვლივ ნაპოლეონის რეზერ-
ვის — ძველი გვარდიის ოფიცრები მოგროვდნენ.

— ოქვენ ბაგრატიონის სიმაგრეებიდან ხართ? — ერთი მეორეზე:
ეკითხებოდნენ გვარდიის ოფიცრები.

— თუ ოდესმე შემეკითხებიან, — სუსტი ხმით, მაგრამ ამაყად ამ-
ბობდა ბლიუტო, — ვყოფილვარ თუ არა ჯოჯოხეთში, თამამად ვუპასუ-
ხებ: მე ვიყავი ბაგრატიონის სიმაგრეებზე... ოქვენ კარგად მიცნობთ, მე
გენერალი ბლიუტო ვარ და სიცოცხლე ბოლოვისა და კიტრის მოვლისა-
თვის არ შემიწირავს. ჯარისკაცი ვარ და ვამბობ: არასოდეს არ მინახავს,
ასეთი სისხლისღვრა, ასეთი სისასტიკე და თავგანწირვა. ბაგრატიონის სი-
მაგრეებზე ვიყავი და ვნახე დახოცილი რუსი მებრძოლები თავის ქვემე-
ხებთან. ისინი ისროდნენ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, მიუხედა-
ვად იმისა, რომ ადვილად შეეძლოთ სიცოცხლის შენარჩუნება.

ამ დროს ნაპოლეონის წინაშე მაცნე წამოიჭიმა, რომელმაც სასიხა-
რულო ცნობა მოიტანა:

— ოქვენო უდიდებულესობავ, მარშალმა ნეიმ აიღო ბაგრატიონის
სიმაგრეები.

— ისევ გამახსენდა ძველი ნეი. — სიხარულით აღმოხდა ნაპოლეონს
და სახეზე კმაყოფილების იერმა გადაპერა, რომელიც იმ წუთშივე გაუქ-
რო ახალმა მაცნემ:

— ოქვენო უდიდებულესობავ, რუსებმა უკუაგდეს ჩვენი ჯარები...



ჩვენ დიდი დანაკლისი განვიცადეთ... სიმაგრეები ისევ დავიკავეთ, ეს უკავე ვე მეექვეხერ, მაგრამ მოწინააღმდეგე არნახული სიჯიშტით გვაწვება. თქვენო უდიდებულესობავ, მარშალი ნეი გთხოვთ მაშველ ჭარებს. იგა სიტყვას იძლევა, რომ ბრძოლას მოიგებს, თუ ბაგრატიონს გამოგლეჭს სოფელ სემონოვსკოეს.

ნაპოლეონი რამდენიმე წამს დუმდა, მერე თავი ასწია და ნეის შიკრიკს ისე შეხედა, რომ უშიშარ მებრძოლს ცახცახი დააწყებინა.

— გადაეცი მარშალ ნეის, რომ მას და მის მეზობლებს — მარშალ შიურატს და მარშალ დავუს ბევრად მეტი ჭარისკაცი ჰყავთ, ვიდრე ბაგრატიონს, და არტილერიითაც ჭარბობენ. ორმოცდაათი ათასი ფრანგი თვრამეტი ათასი რუსის წინააღმდეგ, სამი მარშალი ერთი ბაგრატიონის წინააღმდეგ. ამის შემდეგ რომელ დამხმარე ძალებზე შეიძლება ლაპარაკი?

ნაპოლეონი რომ ამას ამბობდა, დარიუ, ბერტიე და ამალის სხვა წევრები ცხარედ კამათობდნენ... როგორც კი დაამთავრა ნაპოლეონმა თავისი სიტყვა, გრაფი დარიუ გამოეყო ჭარფს და თუმცა თამამად, მაგრამ მაინც მოკრძალებით მიმართა იმპერატორს:

— თქვენო უდიდებულესობავ! თუ ნებას მომცემთ, გავბედავ მოგახსნოთ თქვენი ყველაზე უფრო მორჩილ და ერთგულ ქვეშვრდომთა აზრი.

— თქვით, გრაფო, მხოლოდ გაფრთხილებთ, თუ დამხმარე ძალებზე დაიწყებთ ლაპარაკს, უმჯობესია არ დახარჯოთ შევრმეტყველება.

— მიუხედავად ამისა, მაინც გთხოვთ ნებას მოგახსნოთ ფრიად და მარწმუნებელი აზრი და რჩევა: უცილებლად მიგვაჩნია ბრძოლაში ჩავაბათ ძევლი გვარდია... უმისოდა...

ნაპოლეონი განრისხდა, დარიუს სიტყვა შეაწყვეტინა, ხელი ბრძოლის ველისკენ გაიშვირა და ისე დაიწყო:

— ხედავთ, რა სისხლისმღვრელი ბრძოლაა? თუ ხვალ ჩვენ კვლავ მოგვიხდება ასეთი ბრძოლა, მითხარით, გრაფო, ვის გამოიყვანთ ბრძოლის ველზე? არ შემიძლია საფრანგეთიდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულმა გავწირო უკანასკნელი იმედი — ძევლი გვარდია.. — თითქოს გულმა უგრძნო, ბრძოლის ველზე რაღაც საშინელება ხდებაო, ნაპოლეონმა დურბინდი მიიტანა თვალებთან.

— ეშმაქმა წაგილოთ, — თითქმის ოხვრით აღმოხდა ნაპოლეონს, — რუსები კვლავ უტევენ ნეის. ეს ყველაზე უფრო სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლაა, რაც კი გადამიხდია. ფრანგები იქ თავს იჩენენ როგორც გამარჯვებულნი, რუსები კი როგორც დაუმარცხებელნი.

ახალმა მაცნემ ახალი უსიამოვნება მოიტანა.

— ჰო, ახალი რა არის? — მოუთმენლობამ სძლია ნაპოლეონს-და
თვითონვე შეექითხა ოფიცერს.

— თქვენ უდიდებულესობავ! ბაგრატიონი კვლავ გადმოვიდა შე-
ტევაზე... სემიონოვსკოეს ცენტრში სასტიკი ბრძოლებია... მარშალი დავუ
მძიმედ დაიჭრა.

ნაპოლეონმა თავი დახარა და თითქოს თვის ამბობდა, მაგრამ
ყველას მოესმა მისი სიტყვები:

— ო, სკვითების წყეულო მოდგმავ, შვეიცარიიდან მოყოლებული
ყველგან და მუდამ ეს ბაგრატიონი.

ჩრდილში წამოწოლილ გენერალ ბლიუტოს, რომელსაც სანიტარი
ჭრილობას უხვევდა, თვალები ცისთვის მიეპყრო და ხმამაღლა ბოდავდა:

— მე ვომობდი ეგვიპტეში, ვიბრძოდი მარენგოსა და აუსტრერლიცის
მიდამოებში, აბუქირთან თურქებსაც შევეჯახე, მაგრამ არასოდეს მინა-
ხავს ისეთი გახელება, ისეთი სასტიკი სისხლისღრა, როგორიც იყო ბაგ-
რატიონის დაწყევლილ სიმაგრეებზე.



გიორგი გიგაური

დ ე ზ ა - თ ბ ი ლ ი ს ს

ათას ხუთასი წელი კი არა,
ათას ხუთასი სიკეთე გშვენის,
მოგირჩენია ყველა იარა.
მამაპაპათა,
ჩემი და შენი.

გულში დიღების გინთია ცეცხლი
და გამარჯვების გრგვინავს ხმაური,
ჭიუხებს მოსწოდა ხმა შენი მერცხლის,
ხარობენ შენი დღესასწაულით.
გაიკაშაშა ხმალმა ხევსურთა,
მისი ნათელი დაადგა კრწანისს,
შენს კარიბჭესთან კრძალვით მოვსულვარ,
არაგველი ვარ,
გამიღე კარი.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

„და ღამლამობით ცხრაპირად ჰქონდა
ცხრაკარებიდან ამდგარი ქარი“.
მირზა გელოვანი

მთებში ხეტიალს მოვრჩები როცა,
როცა ცხრაკარას კალთებს დავტოვებ,
გულანთებული გიგონებ მგოსანს

და მწარე ფიქრი გამიმარტოვებს.
 სოფელში შევალ დაგვიანებით,
 დამტკბარი შენი ლექსების ჩქერით,
 მხვდება ხეები დარღიანები, —
 მათ მოლოდინი ჰქონიათ შენი.
 შუბლს გამიგრილებს ბალის ნიავი,
 ისმის მუსიკის ხმა იშვიათი,
 მომელანდები თვალებმზიანი
 და დამადგება თავს განთიადი.

* * *

მე მოლალატე გიწოდე მაშინ
 აჩქარებით და დაუდევარად,
 გაოცდი,
 ცრემლი ჩაგიდგა თვალში,
 აგყვა, აზვირთდა დარღი მდევარი...
 თქვი:
 — თუმცა ცილი მეტისმეტია,
 მაინც არ მივცემ გამთიშველ ძალას,
 მღვრიე ზვირთები ზღვასაც ერთვიან,
 მაგრამ ზღვა ზეცისფერია მარად.



გიზო ჭალიძე

წერილებმა არ უნდა დაიგვიანონ

— მაინც რამ შეუკრა ხელები, რატომ დააგვიანა ბარათი? — ესაუბრებოდა თავის თავს ქალიშვილი და ექსკატორის საჭეს მოუსვენრად ატრიალებდა.

— უყურე, რა მეტიჩარა ყოფილა! — განაგრძობდა ფიქრს ქალიშვილი. — აბა რა მოხდა, ჩვეულებრივ სამხედრო სამსახურშია, ომი ხომ არის!

ომი!

რა შემზარავი და დამაღონებელია ამ სიტყვის თქმაც კი.

...ექსკატორი შედგა, ციცხვი ქვედა ყბით დააყრდნო მიწას. ქალიშვილმა შეისვენა და თვალი გაუსწორა აზვინულ-დაზვინულ პლატოს.

— ეჭ, რამდენი სისხლი დაღრილა აქ, — თქვა მან და კვლავ დაგვიანებულ ბარათზე გადაიტანა ფიქრი.

— არ მომწერა? ავდგები და მე მივწერ. მივწერ საყვედურს, ყველაფერს მივწერ. მან არც კი იცის, რომ აქ, სახელგანთქმული ბრძოლების მაღლობზე მონუმენტურ ძეგლს ვაგებთ, მტრის რისხვად შემართული მებრძოლის ძეგლს, რომლის თვალებში ეწერება: „ვიდგეთ სიკვდილამდე!“

...ბოლო სიტყვები ცივად გადმოსცდა ბაგეებს... „სიკვდილამდე!“ გოგონას შეფრეოლა... ოცნებით წამოიდგინა ოცი წლის წინანდელი ვოლგის წაპირები, ამ პლატოსათვის მრავალდღიანი ბრძოლები.

...დახუჭა და ისევ გაახილა თვალები ქალიშვილმა, თითქოს ამით გადა
ნერიდა მწარე წარსულს, მაგრამ...

— ნეტავ არსებობდეს სასწაულები, ვთქვა და აღსრულდეს: „აღსდე-
ჟით მკვდრეოთით, მამულიშვილნო“... მაშინ ხომ მილიონბით ადამიანი
დაუბრუნდებოდა მშობლიურ კერებს!

— მაინც რა ძალიან დააგვიანა ბარათი!..

— მე უკვე მერე რეისს ვაკეთებ! — ქოჩორაშლილმა მძლოლმა
თვითმცლელი მიაგდო ექსკავატორთან.

— მერე?

— ხომ კარგი ბიჭი ვარ?

— კარგი ბიჭი? შეყვარებულს წერილებს უგზავნი? არ უგვიანებ?

— ვუგზავნი და არ უგვიანებ.

— პოდა, კარგი ბიჭი ყოფილხარ!

მძლოლს გაეღიმა.

...ექსკავატორის ციცხვი კვლავ შეეხო მრავალგზის ნაწამებ მიწას.
უცებ იგი შეძაგდა და სილრმეში ჩაცურდა.

ქალიშვილი შეკრთა, კაბინიდან გაიხედა და გაშეშდა: ექსკავატორის
ციცხვზე ვარსკვლავიანი წითელი სარტყელი დაინახა.

...პლატოზე უცებ შეწყდა ფუსტფუსი, მშენებლებმა ქუდი მოიხადეს.

ჩატეხილ ნასანგრალთან მიმოფანტული იყო გულსატკენი ნაშთები:
სისხლით მოსვრილი არმიელის წიგნაკი, გაცრეცილი ბარათი და თვალებ-
ცერიალა გოგონას სურათები.

...იმ სალამოს გმირი ქალაქის ქუჩებში ულიმილოდ ჩაიარა ქალიშვილ-
მა. „რა ახალგაზრდა ყოფილა,—ფიქრობდა იგი.—ოცდაორი წლის. სისხ-
ლიანი ბარათი! სურათები! საწყალი გოგო! ალბათ, დიდხანს ელოდა ბა-
რათს. ელოდა და მერე... პოდა მერე... ვინ იცის, კიდევ რამდენმა წერილ-
მა დაიგვიანა ასე!..“

...ქალიშვილმა ერთ-ერთ შესასვლელთან მოუხვია.

— არა, წერილებმა არ უნდა დაიგვიანონ, აღამიანებმა დროზე. უნდა
მიიღონ წერილები.

...რამდენიმე წუთის შედეგ კავშირგაბმულობის განყოფილებაში პა-
ტარა ბანდეროლს ლამზზ რუსული ასოებით დაეწერა: საქართველო... და
ერთ-ერთი სოფლისაკენ, დაცემული ჯარისკაცის სხვა ნივთებთან ერთად,
ოცი წლით დაგვიანებული ბარათიც წავიდა.




ცისანა ანთაძე

ო, რამდენიმე წყალშა თურმი ჩაითარა

ჩავუარე ისევ ნაცნობ აკაციებს,
ვეღარ მიცნეს? — მაშ, ასე რად მიცქერიან?!
სიხარულმა ამიტოკა თუმცა გული,
უნდა ვთქვა, რომ სევდა მაინც მომერია.
ლველისწყალიც ვინახულე — ყრმობის სარკე.
ვიბანაო?.. გამეცინა. ის კი არა,
გისრამდე რომ ვეფლობოდი, მუხლს ძლივს
მომწვდა...

ო, რამდენიმა წყალშა თურმე ჩაითარა.



უმღეს საროვანი

უ გ ე დ უ რ ე ბ ი

ერთ ზაფხულს ორი თვე ვმუშაობდი საბაყლოში. ნაშუადღევიდან შუალამებდე მაღაზიაში ვრჩებოდი, მაგრამ რვა საათს შემდეგ იშვიათად თუ შემოიხედავდა ვინმე. უსაქმობისაგან ფანჯარაში ვიყურებოდი, ანდა მაღაზიაში ვჩალიხობდი. ეს იყო პატარა დუქანი ვროვსტრიტზე, ქალაქის გარეუბანში. ყველა მყიდველი თავისებურად საინტერესო იყო და ღარიბი.

ამათგან არ იპარავდა მხოლოდ ორი თუ სამი კაცი, თუ ჩვილ ბავშვებს არ მივიღებთ სათვალავში. ყველა დანარჩენი უფრო მეტს იპარავდა, ვიდრე ყიდულობდა. რაკი ფული არ ჰქონდათ, აცოცებლნენ იმას, რაც გულით სურდათ. მობრუნებას ვერ ვასწრებდი, რომ საღეჭი რეზინის შეკვრა უკვე ჯიბეში ჰქონდათ ჩაცურებული. ზოგი პატარა კექსის აწაპვნას ასწრებდა, ზოგიც კიდევ ტომატის წვნის ჭილისას. ყველაფერ ამას მშენივრად ვამჩნევდი, მაგრამ არ მინდოდა მეგრძნობინებინა. ისინი ყველანი კარგები იყვნენ, მაგრამ ღარიბები.

აგვისტოს ერთ მშვენიერ დღეს ერთმა ქალმა სცადა აეწაპნა მუშკის რქა და უბეში დაემალა. ეს იყო ყველაზე სამწუხარო ამბავი, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ქალი ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა. მყისე შევნიშნე, რომ კაბის ქვეშ რაღაცას მალავდა. მას, ალბათ, გადაწყვეტილი ჰქონდა, რაღაც არ უნდა დაჯდომობდა, აეცანცლა მუშკის რქა. ამ სალამოს არაფერი უყიდია. სავსებით მოიშალა. ხუთიოდე წუთს დარჩა მაღაზიაში, მეკითხებოდა, რა ღირს ესა და ესაო, თანაც ჭერამს,

ატამსა და ლეღვს სინგავდა. თორმეტი ცალი ლეღვი ათი ცენტი იკლის მდგრად ძალიან კარგებია-მეთქი, ვუთხარი. ნამდვილად კარგებია? — მეთხა. მა-შინ შევთავაზე, გასინჯე-მეთქი. იგი ცოტახანს ყოყმანობდა, მერე კალათა-და უველაზე დიდი ლეღვი ამოილო, გაარჩია და დიდი სიამოვნებით შე-ჭამა. იგი ყოველთვის ქალური იყო. ცოტა ფული რომ მაინც ჰქონოდა, თავისი მომხიბვლელობით უთუოდ საოცარ გავლენას მოახდენდა, რო-მელ მაღაზიაშიც კი შევიდოდა, მაგრამ ფული მას არასოდეს ჰქონია.

მე არ დამავიწყდება, როგორ მოიპარა იმ ქალმა მუშკის რქა ისე, რომ ქალური ღირსება არ დაუკარგავს.

ერთი იმათგანი, რომელიც ჩემთან მოდიოდა და არას იპარავდა, პატარა ესპანელი კასალი იყო. კაცმა ხომ უნდა იცოდე, ვინ იპარავს და ვინ არა. ჰოდა, კასალი სწორედ არ იპარავდა. ეს იყო ჩია ტანის დიდთავა კაცი. ნალვლიანი სახე ჰქონდა, რაც პირველი შეხედვისთანავე ყურადღე-ბას იქცევდა და გაინტერესებდა.

იგი თითქმის ყოველ საღამოს ათ საათზე შემოდიოდა დუქანში და ნახევრი საათს მემუსაიფებოდა. ლაპარაკობდა წყნარად, აწეული განწყო-ბილებითა და საკუთარი ღირსების გრძნობით. თუმცა ისიც კია, როცა ტა-ნად თერთმეტი წლის ბიჭებები მეტი არა ხარ და ამასთან ოთხმოცდათორმე-ტიოდე გარეანქას ძლიერ იწონი, მაშინ შენი ღირსების გრძნობა არაფრის მაქნისია.

მე კასალს ყოველთვის პატივისცემით ვექცეოდი. მას არაფერზე წარ-მოდგენა არ ჰქონდა. მეონია, ათი წლის განმავლობაში გაზეთიც არ წაუ-კითხავს. არასოდეს მოსვლია თავში რაიმე აზრი და არც ჩივილი უყვარ-და. ის ერთი პატარა კაცი იყო, რომელმაც იმდენი კი მოახერხა, რომ ოთხმოცდარვა წელიწადი იცოცხლა. თანდათანობით ჩემთვის გასაგები გახდა, რატომ ეჭირა თავი კასალს ასეთი ღირსებით და არასოდეს უჩიო-და ბეღს.

ეს იმიტომ, რომ იგი მამა იყო. თექვსმეტი წლის ვაჟი ჰყავდა. ძალიან ლამაზი ბიჭი იყო, ექვსი ფუტი სიმაღლისა. საოცრად წააგავდა კასალს. მამის თავი ჰქონდა. კასალს უსაზღვროდ ეამაყებოდა შეკრლი. იგი აცოც-ხლებდა მას. ერთ საღამოს მითხრა: იცნობ ჩემს ბიჭს? ზორბა ბიჭია, დი-დი და კარგი. იცი რა? ღამეობით, როცა სამუშაოდან შინ ვბრუნდები, ჩე-მი ბიჭი მეტყვის: მამიკო, შემაჯერები მხარზე. მე მხარზე შევაჯდები და იგი მთელ სახლს მომატარებს. მერე ჩენ ვჯდებით და ვჭამთ.

თქვენ ფიქრად მოგივათ ეგეთი რამე? არიან პატარა მამა და დიდი ბიჭი. ბიჭს მამა მხერებზე შემოუჭენია და დაატარებს. ჰო, აქ არის რაღაც თავისებური, განსაკუთრებული.

ერთ სალამოს კასალი მეუბნება, გინდა გითხრა რად არის ჩემი ტერიტორია კინ მაგრა ასეთი კარგი? მის დაბადებას დედა თან გადაეგო. აი, ეს არის მთავრობა. მას არასოდეს უნახავს საკუთარი დედა. ყოველთვის მარტო იყო, ბავშვობაშიც კი. საუზმის დროს შინ მივდიოდი, რომ დამეხედა. ხანდახან ატი-რებული მხვდებოდა. ხანდახან ტირილს მორჩებოდა და მელოდა. როცა წიმიზარდა, ტირილს გადაეჩვია. მან უკვე იცოდა რა იყო ტირილი. ორი წლის რომ გახდა, ორივეს გაგვიადვილდა ცხოვრება. აი, ასე გაიზარდა იგი.

— მოგწონს ჩემი ბიჭი?

— ზორბა ბიჭია! — ვუთხარი მე.

— ახლა კიდევ გეტყვი რაღაცას. იცი რა? მას უნდა მუშაობას დამთხოვს. შენ მავიერად მე ვიმუშავებ, გეყოფა, რაც იშრომეო, — მეუბნება. სამანქანო საქმე კარგად ესმის. შეუძლია შემკეთებელ საამქროში იმუშაოს მექანიკოსად. ამაზე იცი რა ვუპასუხე? — უარი ვტკიცე. არა, ჯო, — ვეუბნები, — შენ კოლეგში უნდა მოეწყო.

იგი ყველგან ივარგებს. კარგი ბიჭია. აუცილებლად კოლეგში უნდა გავაგზავნო. მას აქვს ამის უფლება. მე ვიმუშავებ ჩემი ბიჭისთვის!

— რა თქმა უნდა, — ვუთხარი მე.

ჩემთან ერთი პატარა, თორმეტიოდე წლის წითელთავა გოგო შოდიოდა. იგი სულ სხვანაირი იყო. მაგრა ერქვა. ბიჭივით ღონე ერჩოდა და სიცილით, ალბათ, ყველას დაჯაბნიდა მთელ ქვეყანაზე.

მაღაზიაში შემოვიდოდა და სრულიად უმიზეზოდ სიცილად ატყდებოდა. შემოვიდოდა და იცინოდა. საშინლად მომწონდა იმ გოგოს სიცილი, მაგრამ ეს მისთვის არასოდეს მითქვამს. ისიც კიდევ იცინოდა და იცინოდა.

— აბა, რისთვის მოხვედი? — ვეტყოდი ხოლმე.

— შენ იცი, — მეუბნებოდა.

სიცილი.

— მთელი პური გინდა?

— პური?

— მაშ რა გსურს?

გოგონა ცერად გადმომხედვდა ხოლმე.

— მოიტანე რამე?

მაშინ მე ავიღებდი და ვესროდი ატამს, რომელსაც იჭერდა და დიდი სიამოვნებით შეექცეოდა.

— მეუბნებიან წითურ როჯერს გაეხარო, მართლა?

— სტყუიან.

— მე მინდა, რომ ვგავდე. იცი, ძალიან მინდა ვგავდე. მოგწონს როჯერსი?

— გადასარევია!

— მე სწორედ მას ვგავარ, — დაიყინებდა ოორმეტი წლის გოგო.

ქვეყანა სავსეა ასეთებით და ჩვენი წუხილი ვერაფერს უშველის მათ-
ყველანი დიდი ცხოვრების ორომტრიალს ჩაუთრევია.

იყო კიდევ ერთი პატარა ბიჭი, რომელსაც პენიც კი არ ებადა, მაგ-
რამ ყოველთვის შემოიხედავდა ხოლმე. ოთხი წლის იქნებოდა. რატომ-
დაც კალაგანს ვეძახდი. ტანად დიდი იყო. შემოვიდოდა და ერთ საათს
ცენტრიან კამფეტებს დაადგამდა თვალს. ამ ხნის განმავლობაში კრისტ-
არ დაძრავდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ, თავისითვის ბუტბუტებდა. შემო-
სულ მყიდველებს ფეხებში ედებოდა, მაგრამ მაინც თავის ადგილზე იყო
მიკრული და კამფეტებს მიშტერებოდა.

ერთ საღამოს იმ ქალმა, მუშკის რქა რომ მოიპარა, თავზე ხელი გა-
დაუსვა.

— თქვენი ბიჭია? — მკითხა მან.

— ჩემია.

— კარგი ბიჭია, — თქვა მან. — თქვენ ჩამოგგავს. — რა ღირს დღეს-
ლელვი?

— ათი ცენტი თორმეტი ფალი, — ვუთხარი მე.

— გემრიელია?

— ძალიან. ხუთი წუთის წინ გავსინჯე, მიირთვით.

მანაც აიღო და შეჭამა ატამი, მერე ჭერამი.

იმ საღამოს მაინც არაფერი უყიდია. ხუთიოდე წუთს დარჩა. მაშინვე
ვიაზრე, ალბათ, ოცდახუთი ცენტი უნდა ხეალამდე მოხოვოს-მეთქი, მა-
გრამ ვერ გაძედა თხოვნა.

— ბედნიერი ვართ, რომ კალიფორნიაში ვცხოვრობთ! — თქვა მან ბო-
ლოს.

— მე არ ვყოფილვარ სხვა შტატში, — ვთქვი მე. — არასოდეს გავ-
სულვარ ქალაქიდან. სხვაგან რა, დიდი განსხვავებაა?

— ო, საშინელებაა! — თქვა მან. — არის ადგილები, სადაც ზაფხულო-
ბით სუნთქვაც კი ჭირს. აი, თუნდაც ჩიკაგოში. ჩვენთან კი რა მშვენიე-
რია, არა?

კარლიაში იდგა. მერე ხელი ნაზად აიქნია და თქვა:

— რა სუფთა ჰაერია აქ!

იგი რომ წავიდა, კალაგანს მოვუხმე. იმ წამსვე ახლოს მოვიდა.

— გინდა ძირტქბილას ღერო? — ვეუბნები.

პასუხს არ იძლევა.

რა თქმა უნდა, მოწონდა, მაგრამ არ თქვა.

— მოდი და აირჩიე, რაც ვინდა.

იგი ახლოს მოვიდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა რა აელო—
— აიღე რაც გსურს.

იგი ცოტახანს ყოყმანით მიცემდა.

— აიღე-მეთქი. აირჩიე, რაც გინდა.

მაინც არ სჯეროდა და შემყრთალი მიცემდა.

— აბა, რას უცდი. მართალს გეუბნები.

მაშინ გაბედა და აიღო ძირტკბილას ლერო.

— სხვა რამე აიღე, — ვუთხარი მე.

მაშინ ძირტკბილას ლერო უკანვე დაღო და თაფლის სანთლის ძალლს მიწვდა.

— არა, — ვუთხარი მე, — ძირტკბილას ლეროც გქონდეს.

დიდიხნის ხევწნის შემდეგ მან აიღო კიდევ ოთხი თითოეუნტიანი სხვადასხვა კამფეტი.

— აბა, ახლა კარგად იყავი, კალაგან, შინ წადი და შეჭამე კამფეტები. ოდნავ გაოცებული, უსიტყვოდ გავიდა გარეთ.


მეორე დღეს მოვიდა და წყნარად მითხრა, ძირტკბილას ლერო ყველას სჯობდაო.

— თუ ასეა, ერთსაც მე გავსინჯავ.

ერთი მას მივაწოდე, ერთიც მე ავიღე და ორივენი შევეჭეცით.

ჰო, კარგი იყო იქ მუშაობა, სანამ ვმუშაობდი. კარგი იყო, რაღგან ჩემთან მოდიოდნენ საუცხოო, მხიარული, უბედური პატარა აღამიანები, რომელთაც სურდათ ეყიდათ რაღაც-რაღაცები. ანდა უბრალოდ ელაპარაკათ.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ.



სიჩვენი ესენინი

კაჩალოვის ძაღლს

ჯიმ, მომე თათი, ჩემი დარდი გაიზიარე.
 მე არასოდეს არ მინახავს თათი ამგვარი.
 მოდი, ძვირფასო მეგობარო, ვუყეფოთ მთვარეს,
 როდესაც ლამე გასაოცრად იქნება წყნარი.
 ჯიმ, მომე თათი, ჩემი დარდი გაიზიარე.
 ო, ჩემო კარგო; შენ რა იცი კაცური განცდა,
 ნეტავ უბრალი ჩამეს მიხვდეს შენი გონება.
 შენ ხომ არ იცი, თუ რა არის ცხოვრება კაცთა,
 შენ ხომ არ იცი, რა ფასი აქვს ქვეყნად ცხოვრებას.
 შენი პატრონი განთქმული და კეთილი არი
 და მას სტუმრები ჰყავს ყოველთვის აურაცხელი.
 პოულობს მიზეზს თვითეული სახემლიმარი,
 რომ ხავერდოვან ბეწვზე ფრთხილად შეგახს ხელი.
 რა ლამაზი ხარ! მოხიბლული ვდგავარ და გიმზერ—
 სავსეა სათნო მორჩილებით ეგ თვალთა სარკე.
 დაუკითხავად საკოცნელად მიიწევ ისე,
 როგორც ნასვამი მეგობარი მეგობრისაკენ.
 ჩემო ჯიმ, შენ ხომ ბევრს ნახულობ მოსულს და
 წასულს.

თქვენი სტუმრობა, ვიცი, მრავალ ვინმეს რგებია,
 მაგრამ ყველაზე სევდიანი, ჩუმი ასული
 ხომ არ მოსულა, შემთხვევით ხომ არ გსტუმრებიათ?

მერწმუნე, მოვა — უდაოა და უეჭველი
და როს უჩემოდ ჭკვიანურ თვალს მისპყრობ
წყნარად,

შენ დაულოე ჩემს მაგიერ მას ნაზად ხელი
ყველაფრისათვის — დავაშვე რამე, თუ არა.

შერილი დედას

ცოცხალი ხომ ხარ, მოხუცო დედავ?
მეც ვარ ცოცხალი, სალამი წრფელი!
და ჩვენს ქოხზე ნუ შეწყვეტს დენას
ის მწუხრის შუქი ენითუთქმელი.
მწერენ, რომ შიშით გელევა გული
და ჩემზე ფიქრებს უჩუმრად ლამბავ,
დადიხარ თურმე დალონებული
და ისევ ძველი გაცვია კაბა.
როს ბინდი წვება ცისფერ სადაფში,
გაწვალებს ხშირად ჩვენება ერთი:
თითქოს ჩხუბის ღროს შენს შვილს სარდაფში
ფინური დანით გაუცეს მკერდი.
თავს ნუ მოიკლავ, ძვირფასო, დარდით,
მოჩვენებაა ეს მარტოოდენ,
განა ისეთი ვარ ყალთაბანდი,
არ გინახულო და ისე მოვკვდე?
ვარ ნებიერი კვლავინდებურად
და ერთი ნატვრა გულს მიხალისებს —
მალე გავეჩე ნალველს და ბურანს
და ჩვენს დაბალ ქოხს ვეწვიო ისევ.
მე დავბრუნდები სახლში ნაზამთრევს,
ჩვენი ბალი რომ ყვავილით ბრწყინავს,
არ გამაღვიძო ოლონდ კვლავ ადრე
ისევე, როგორც ამ რვა წლის წინათ.
არ გამიღვიძო ოცნება ძველი,
ნუ მომაგონებ დაკარგულ იმედს.
ადრე ვიწვნიე ცხოვრება ძნელი,
ადრე ვიკრძნი უღელი მძიმე.
ალარ მასწავლო ლოცვები, არა!
რასაც ვეძებდი, უკვე ვერ ვნახავ.
მხოლოდ შენ მყავხარ შვებად და ფარად,

ენითუთქმელი შუქიც შენა ხარ.
 ნუ გეშინია, დაიცხე გული
 და ჩემზე ფიქრებს ნუღარა ლამბავ,
 ნუღარ დადიხარ დალონებული,
 ნუღარ გაცვია ის ძველი კაბა.

* * *

გესმის — როგორ მიჰქრის ეს მარხილი, როგორ! —
 ნეტავ გადაგვეარგა მე და ჩემი გოგო.
 მორცხვია და წყნარი ქარი მოალერსე.
 ეუვნის წყარა-წყური იფანტება ველზე.
 ეხ, მარხილი მალი, ცხენი — ქარიშხალი!
 სადღაც ველზე მთვრალი ცეკვავს ნეპერჩხალი.
 ჩვენ იმასთან მივალთ. ვკითხავთ — რად ხარ კენტად
 და ჩავაბამთ ფერხულს სამივენი ერთად.

* * *

მტრედისფერი კოფთა. იისფერი თვალი.
 მოვატყუე ჩემი საყვარელი ქალი.
 საყვარელმა მკითხა: „ქარბუქია კარში?
 ცეცხლსაც გავაჩალებ, ქვეშაგებსაც გავშლი“. —
 ვუპასუხე: „არა. გარეთ სიოც არ ქრის,
 მგონი ვიღაც ციდან თეთრ ყვავილებს გვაყრის.
 აბა, ცეცხლი ჩქარა, ქვეშაგები მალე!
 მე უშენოდ გულში ბუქი მიტრიალებს.

* * *

თოვლიანი ველი, მთვარე — თეთრი მთვარე.
 შესუდრული არის მთელი ჩვენი მხარე.
 თეთრი ტყიდან ისმის მოთქმა არყისხეთა.
 ალბათ, მოკვდა ვინმე, მე ხომ არა ნეტავ?

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



ბეჭედი მა აღაშვილი

აღაშვილი ჩხეიძე

ის ურჩევნია მამულკა...

ახალგაზრდა ვაჟი იდგა ვაგონის ლია ფანჯარასთან. მატარებელი მიჰქოდა სწრაფად და გრუზა თმებს უწერავდა შემხვედრი ქარი. მეორე დღეა იგი მოდის მოსკოვიდან და ან ზედა საწოლზე წევს გულაღმა, ან კიდევ აი, ასე დგას ფანჯარასთან საათობით, უხმოდ, ვაგონის ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან განცალკევებით.

ოციოდე დღის უკან ეს მატარებელი ანზორ გაბუნიას მიაქროლებდა პირიქით, მოსკოვისაკენ. მაშინ გული და გონება აღსავსე იყო სიხარულით, იმედით, დიდი მიზნებით. ინსტიტუტში მიემგზავრებოდა ბათუმელი ჭაბუკი...

ცოდვა გამხელილი ჭობს, რიაზანი იმიტომაც აირჩია სწავლის გასაგრძელებლად, რომ ეგონა იქ

უფრო ადვილად გავიდოდა კონკურსში. მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა. პირველსავე გამოცდაზე მიხვდა, რომ ოლად ფონს გასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თანაც, ჩარიცხვის დროს, მედალოსნებს, სტაურანებს და არმიიდან დემობილიზებულებს მიანიჭეს უპირატესობა.

ეს იყო პირველი შემთხვევა ანზორ გაბუნიას ცხოვრებაში, როცა სევდის სიმძიმე ასე ძალუმად იგრძნო.

ადამიანის მახსოვრობა აღიქვამს ცხოვრებას დაახლოებით ხუთიერების წლის ასაკიდან. ანზორისათვის საყაროს ხილვა დაიწყო დედის სახით და ორი წლით უფროსი დის ალერსით.



დენტია მიღებაზე და ის იყო უფრო უფრო გასა-
ემზავრა კიდევაც სწავლის გასა-

გრძელებლად.

ერთი ჭირი მარგებელიაო, ქვე-
ყანა ნახა, ჩაც. მთავარია, მოსკოვ-
ში იყო; ამ ოციოდე დღეში თით-
ქოს დავაუკაცდა კიდევაც და ცხო-
ვრებას უცემოს სულ სხვა თვა-
ლით, მამაკაცის თვალით.

რაც უფრო უახლოვდებოდა მა-
ტარებელი ბათუმს, ანზორი თან-
დათან ჩწმუნდებოდა იმაში, რომ
იგი აჩქარდა, სხვებს აპყვა, დედას
კი, ალბათ, არ უნდოდა გული და-
ეწყვიტა შვილისათვის. მართალია,
კიდევ ხუთი წელი სწავლა მძიმე
ტვირთად დაწვებოდა უმამაკაცო
ოჯახს, მაგრამ ტატიანა ვერ აღუ-
დგა წინ ცოდნას დაწაფებული
შვილის სურვილს.

შინ რომ მივა და ეზოს ჭიშ-
კარს შეაღებს, დედა ან და აუცი-
ლებლად დაინახავს; გარეთ გამო-
ეგებებიან... პირველი შეხვედრის
სიხარული... შემდეგ უსიტყვო შე-
კითხვა მათ თვალებში: „როგო-
რაა საქმე? მოეწყვე?“ ჯერ ანზო-
რმა არ იცის, რას უპასუხებს. მა-
რთალია, ბევრი რამის მოგონება
შეიძლება, სხვაზე გადაბრალებაც,
მაგრამ ანზორი არ იცრუებს, იტ-
ყვის პირდაპირ, დაუჭარავად, —
ვერ ჩაგაბარე, ჩავიჭროთ. შემდეგ
იმასაც იტყვის (დედა ცოტათი
რომ დაამშვიდოს, გულისტკივილი
დაუყუჩის), ორ წელიწადს ვიმუ-
შავებ და სტაუინს ადვილად მი-
მიღებენო. დედა, მართალია, ცო-
ტას იდარებს, მაგრამ ბოლოს

მამა არ იყო ოჯახში. მისი სახე
თანდათან იკვეთებოდა კედლი-
დან, საღაც ეკიდა კაციტნის სამხ-
რეებიანი მამაკაცის სურათი.

ოჯახში საოუთად ინახებოდა
სამკუთხა ფრონტული ბარათები.
უკანასკნელი წერილი მოვიდა
1944 წელს ბალტიისპირეთიდან.
შემდეგ — გულისშემაღლონებელი
ლოდინი, რომელსაც თან ერთო-
და მოახლოებული გამარჯვების
სიხარული და... მოულოდნელი
ცნობა იმის შესახებ, რომ კაპიტა-
ნი შალვა გაბუნია გმირულად და-
ეკა სამშობლოსათვის ბრძოლაში
კაუნასის მისადგომებთან.

როგორც იმ დროს ბევრმა ცო-
ლმა და დედმ, ტატიანამაც შრო-
მას მოჰკიდა ხელი, რომ უმამო-
ბა არ დამტკიცოდა ოჯახს, ღირსე-
ულად აღწარდა ქალ-ვაჟი.

შრომის ღირსება ბალლობიდან-
ვე შეიგნო ანზორმა. მამისეულ
პატარა სახლსა და ერთ ციცქა
ეზოში მოსინგა პირველად თა-
ვისი უნარი და მკლავის ღონე.
ხარობდა დედის გული, რომ კა-
ცი იზრდებოდა ოჯახში, რომ გა-
რეგნულადაც მამას ემსგავსებო-
და ვაჟიშვილი.

ბავშვური ჩხირკედელობიდან,
ფიზიკისა და ქიმიის გაკვეთილე-
ბიდან ჩაენერგა სიყვარული ტექ-
ნიკისადმი, მანქანებისადმი. გო-
როდოკის საშუალო სკოლა რომ
დაამთავრა, სადღაც გაზეთში ამო-
იკითხა რიაზანის ავტომექანიკუ-
რი ინსტიტუტის განცხადება სტუ-

მაინც კმაყოფილი დარჩება. ვაუ-
შვილი გვერდში ეყოლება და მუ-
შავაცის ხელფასიც ოჯახს ბევრ
რამეში წააღვინა.

* * *

ბათუმელ მენავთობეთა შორის
ჰქონდას საკითხავ კაცაღაა მიჩნეუ-
ლი რემა გაბუნია. სრულიად ახალ-
გაზრდამ დაიწყო მუშაობა ნავ-
თობგადასაცლელ ბაზაში, გაცი-
ლებით აღრე, ვიდრე პირველ
პროდუქტის გამოუშვებდა ბათუ-
მის ნავთობგადასამუშავებელი ქა-
რხანა. მის თვალშინ აიგო ვეება
სამერქოები და საწარმოო უბნები,
გაშენდა მენავთობეთა მთელი ქა-
ლაქი.

რამდენი ახალგაზრდა დაუყენებ-
ბდა სწორ გზაზე რემა გაბუნიას
და ფრონტზე დაღუპული ძმისწუ-
ლის შვილს რჩევას და კეთილ სი-
ტყვას როგორ მიაკლებდა. ერთ
სალამოს რუსეთიდან დაბრუნებუ-
ლი ანზორი წინ დაისვა და უთხრა:

— ყური მიგდე, ბაბა. შენ ახლა
კაცი ხარ უკვე, ამ ოჯახის უფ-
როსი. გული არ გაიტეხო, სწავ-
ლის კიდევ მოესწრები. ახლა ის
დრო არაა, გაჭირვებას რომ მი-
ყავდა კაცი ქარხანაში; ხანდახან
პროფესორებიც მოღიან ჩვენთან
ჰყუის საკითხევად, აბა! ჰოდა, რა-
ხან მუშაობა გადაშევიტე, გირჩევ,
ბაბა, ნავოობგადასამუშავებელ ქა-
რხანაში მიხვიდე. თითოთ საჩვენე-
ბელი ქარხანაა. კაი ხალხიც მუ-
შაობს იქ. დამიჯერე, მამაშენი

ରନ୍ଧା ପୁଣ୍ୟ କରିବାରେ ଉପରେ ଉପରେ
ଅମ୍ବା ଦେଖିବାରେ ଉପରେ ଉପରେ

ამ საუბარს მეზობელი შემოეს-
ტრო, გერონტი კაშია. ოჯახის უფ-
როსის სურათს უცეირა, უცეირა
დიღხანს და თქვა:

— შენზე პატარა ვიყავი, ბიძი-
კო, მამაშენმა რომ მომაწყო სამუ-
შაოზე ნავოობგადასამუშავებელ
ქარხანაში. ხომ მიყურებ, მას შე-
ძლევ იქა ვარ. თუ რამეში წავად-
გები შალვა გაბუნიას ოჯახს, მი-
მსახურე. შენ დასტური თქვი და
დანარჩენი ჩემზე იყოს.

ანზორმა უფროსების არაფერი
უპასუხა. მხოლოდ დედას შეხედა.
ტატიანას ხმა არ ამოუღია, მაგ-
რამ ანზორი მიუწვდია მას.

ბევრი აღარ უფიქრია. ჭიუში
დაუჭდა ახლობლების რჩევა, თუ-
მცა მაშინ ძალიან ბუნდოვანი წა-
რმოდგენა ჰქონდა ნაკობსა და
მის გადამუშავებაზე. ხედავდა
მხოლოდ მიწაში სანახევროდ ჩაფ-
ლულ ვეება მიღებს, რომლები-
თაც, როგორც ამბობდნენ, ნავ-
თობს ქაჩავლნენ ბაქოდან, და კი-
დევ რკინიგზაზე მორახრახე ცის-
ტერნების უგრძეს ეშელონებს.
ბევრჯერ შეუვლია თვალი ქარხნის
ცამდე აწვლილი მიღებისთვისაც,
მაგრამ რა კეთდებოდა იქ, მაზე
ბევრი არაფერი იკოდა.

რადგან უფროსებმა ურჩიეს,
დედასაც ეს სურდა, თვითონაც
ხომ აპირებდა მუშაობის დაწყე-
ბას და მეორე დღეს ღილავდ-
რიან გაჰყვა ქარხანაში გერონტი
კაშიას.



ბიტუმის, დამამზადებელი სამკროს ერთ-ერთ დანადგარზე გაგზავნეს შეგირდად. თავდაპირველად ძალიან არ მოეწონა იქაურობა. გაზის უსიმოვნო სუნი იდგა სამქროში. საიდანლაც შემოლიოდა მრავალი მილი, რომლებითაც ვეება კუბებში იქჩებოდა რაღაც ნედლეული, როგორც შემდეგ აუხსნეს ანზორს, ნავთობპროდუქტების გადამუშავებისას გამოყოფილი ნარჩენი—გუდრონი. კუბებში ეს გუდრონი პარტან შეერთებით იქარშებოდა და გამდნარი ფისის სახით ისხმებოდა ციცხვებში. პირველ დღეს მოკლედ ასე განუმარტეს ახალ შეგირდს ბიტუმის დამზადების მთელი პროცესი დანადგარის უფროსმა ვლადიმერ ჩიქოვანმა და ოპერატორმა შალვა გერაძემ.

ყურადღებით ადევნებდა ოვალს ოპერატორისა და მისი ფანშემწის მუშაობას. სპეციალური სახელმძღვანელოები გამოიტანა ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკიდან, რომ დაუფლებოდა ბიტუმის დამზადების პროცესს, დანადგარის აებულებას. სამი თვის ვადით იყო მიღებული შეგირდად, შემდეგ გამოცდა უნდა ჩაებარებინა ოპერატორის თანაშემწეობაზე, თავდა გასძლოლოდა საქმეს.

მანქანა-დანადგარებთან ერთად, რაც მთავარია, ანზორ გაბუნიამ გაიცნო ადამიანები და შეიტყო, რომ სწორედ მათი სამქროს უფროსმა ხუსეინ სარჯველაძემ, ვლა-

დიმერ ჩიქოვანმა, შალვა გერაძემ, და სხვა ვეტერანმა მენავთობებებმა ააგეს საკუთარი ხელით ეს ქარხანა და ასეთი ადამიანების გვერდით უგულოდ, საყველპუროდ მუშაობა არ ივარგებდა.

ანზორსაც ყურადღებით ადევნებდნენ ოვალს უფროსები. სიბეჭითე და მონდომება შეამჩნიეს და დაღებნილი სამი თვის ნაცვლად ოცი დღის თავზე შესთავაზეს ჩაეგბარებინა გამოცდა. მას დიდხანს ცდილენენ, კომისიის წევრებს აინტერესებლათ ყველაფერი, დაწყებული ტექნილოგიური პროცესით და დამთავრებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესებით. ბოლოს თქვეს მოკლედ და ავტორიტეტულად:

— გამოდგება.

მეორე დღეს ანზორი დანადგართან იდგა და დამოუკიდებლად მიჰყავდა მთელი პროცესი, თუმცა ერთ ხანს ზურგს უკან კიდევ გრძელება შალვა გერაძის ყურადღებიან მზერას. გამოცდილი ოპერატორი საზომებზე უფრო ხელისგულით გრძნობდა ტემპერატურის ცვალებადობას და თავის თანაშემწესაც თანდათან ასწავლიდა მუშაობის „საიდუმლოებას“.

ანზორი უკვე კარგად იცნობდა ამ დახლართულ მიღებსა და უამრავ საკეტს, იცოდა, მცირე უყურადღებობას და დაყოვნებას შეეძლო ტემპერატურის დაცემა, პროცესის შეფერხება, ზოგჯერ მიღების მოხსნაც კი გასაშემძლდა.

ერთხელ, ქარხანაში მისვლიდან

ზუსტად წლისთავზე, ანზორ გაბუნია ჩვეულებისამებრ გამოცხადდა თავის ცვლაში, მაგრამ იგი ამჯერად სამუშაოდ კი არა, გამოსამშვიდობებლად მივიღა.

მას არმიაში იწვევდნენ.

დანადგარის უფროსმა ვლადიმერ ჩიქოვანმა ეზოში გამოაცილა იგი და უთხრა:

— სამი წელი პატარა დრო არაა. დემობილიზებულს მუშაობის სტაჟიც აღარ დაგჭირდება, ისე მიგიდებენ უმაღლესში. შეიძლება აქაურობაც დაგავიწყდეს. მხოლოდ ერთი იცოდე, თუ კი ისურვებ ჩვენთან დაბრუნებას, შენთვის აღგილი ყოველთვის იქნება.

სამი წელი მართლაც არაა. პატარა დრო. ანზორ გაბუნია არმიაში სამსახურმა დაავაუკაცა, ცოდნა და გამოცდილება შესძინა. კომკავშირულ სამუშაოზე დაწინაურეს, ბოლო დროს ნაშილის კომკავშირული ბიუროს მდივნად აირჩიეს. იქვე მიიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად. დემობილიზაციის შემდეგაც რამდენიმე ადგილი შესთავაზეს, მაგრამ ანზორი უკვე გრძნობდა, ის ერთი წელი მარტო სტაჟისათვის არ უმუშავნია მენავთობეთა კოლექტივში, სწორედ იმ სამქროს სუნი, ასე უსიამოვნოდ რომ ეჩვენა პირველად მისვლისას, ახლა საოცარი ძალით იზიდავდა უკან.

— დაბრუნდი ხომ? — ამ სიტყვებით შეხვდა მას ოსტატი შალვა გერაძე. — ვიცოდი, რომ დაბრუნდებოდი. ასეა, ასე. მე საგზურით

რომ მაგზავნიან დასასვენებლად ბორჯომში ან წყალტუბოში, უნდა კუთარ კანში ვეღარ ვეტევი, სწორედ მაშინ ვედები ავად. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები და აქაურ ჰაერს შევიყნოსავ.

ბიტუმის საამქროში თითქმის არაფერი შეცვლილყო. ამიტომ მუშაობის გახსენება არ გაძნელებია.

თითქმის ერთდღროულად გავიდნენ პენსიაში საამქროს უფროსი ხუსეინ სარჯველაძე, დანადგარის უფროსი ვლადიმერ ჩიქოვანი, ოპერატორი შალვა გერაძე. ანზორ გაბუნია დაწინაურეს პერატორად, შემდეგ — უფროს ოპერატორად. მებიტუმეთა წინაშე ქარხნის საერთო პროგრამიდან გამომდინარე ახალი ამოცანები იდგა. საამქროს კოლექტივი, მათ შორის ანზორ გაბუნიას დანადგარიც ჩაება კომუნისტური შრომის საბატიო წოდებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში.

ერთ დღეს ანზორი ქარხნის რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების კრებაზე მიიწვიეს. იჯდა დარბაზის უკანა რიგში და ყურადღებით უსმენდა ორატორებს. ლაპარაკობდნენ ტექნიკურ სიახლეებზე, დიდძალი სახსრების დაზოგვაზე, პრემიებზე საუკეთესო წინადაღებებისათვის.. მათი საამქროც ახსენეს, ბევრი რამ უნდა შეიცვალოს, გადახალისდეს, ამაზე კი პირველ რიგში თვითონ ჩვენ უნდა ვიზრუნოთო.

მას შემდეგ ანზორმა მოსვენება

დაკარგა. ახლა იგი უკვე სხვა თვალით შეჰქონიებდა დანადგარს, რომელზეც ბიტუმის დამზადების პროცესი ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა უცვლელად, დაკანონებული წესით. მისი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: თითქმის კვირაში ერთხელ ბრიგადა აჩერებდა კუბებს და წმენდა მილებს, რომლებიც მუშაობის პროცესში გამოყოფილი გაზებითა და მტკერით ჭუჭყიანდებოდა. მათ გასუფთავებას დაახლოებით სამი-ოთხი საათი სჭირდებოდა. გარდა იმისა, რომ ამით იყარებოდა დრო, ნელდებოდა ხარშვის პროცესი, ეცემლდა ტემპერატურა.

ანზორი დიდხანს ფიქრობდა, წიგნებს ფურცლავდა, ბლოკნტში იწერდა რაღაცას, ხაზავდა და, ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიღა, რომ პირველ რიგში უნდა შეემცირებინათ კუბების სარემონტთაშორისო დრო. ამისათვის კი ორი ათსანტიმეტრიანი დიამეტრის გილი უნდა შეეცვალოთ ერთით, რომლის დიამეტრი ორჯერ მეტი იქნებოდა. ეს შეამცირებდა წინააღმდეგობას, გაადიდებდა წნევას და მილის კედლებიც ნაკლებად გაჭუჭყიანდებოდა. წინასწარი ვარაუდით, თუ მანამდე თვეში ოთხ-ხუთერ აჩერებდნენ კუბს, ამ ტექნიკური გაუმჯობესების შემდეგ საკმარისი იქნებოდა მისი გასუფთავება თვეში ერთხელ.

ანზორმა თავისი აზრი ბრიგადის წევრებს გააცნო. მათ მოუწონეს.

ქარხნის ხელმძღვანელობამ, რადგან მისი მიზანი არის მიმდინარეობის და გამომგონებელთა საზოგადოების საბჭომ მხარი დაუჭირეს ახალგაზრდა ოპერატორს და ის იყო, თბილისში გაგზავნეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურ კრილობაზე.

ამჟამად მიმდინარეობს ანზორ გაბუნიას წინადადების შესწავლა-დამუშავება, რის შემდეგ დაიწყება მისი საცდელი დანერგვა წარმოებაში.

ანზორი კი უკვე ფიქრობს მორიგ სიახლეზე.

...შვილი წლის უკან მივიღა ანზორ გაბუნია ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, მივიღა სწავლაზე ხელმოკარული ახალგაზრდა, დროებით, სამუშაო სტაჟისათვის. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და დღეს ანზორ გაბუნია — პარტიის წევრსა და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს — ვერ წარმოუდგენია ცხოვრება ქარხნის გარეშე, მენავთობეთა ღიღი კოლექტივის გარეშე.

მაგრამ ერთი რამით მაინც უკაბიყოფილია იგი — ვერა და ვერ მოიცალა სწავლისათვის. მაგრამ წელს ამასაც მოაბა თაგი და უმაღლესი განათლების მისაღებად აირჩია ის დარგი, რომელიც ახლა დგას მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების ცენტრში და რომელთანაც ანზორი ქარხნის მთელ კოლექტივთან ერთად დაკავშირებულია ყო-

კელდლიური საქმიანობით, — გო-
მია.

ანზორ გაბუნია ახლა ოცდაშვილი
დი წლისაა. მას მთელი ცხოვრება
უდევს წინ და გეგმებიც დიღი
აქვს.

ზოგჯერ, საღამოობით, პენსია-
ში გასული რემა გაბუნია ესტუმ-
რება დედა-შვილს. ძალიან აინტე-
რესებს მოხუცს ქარხნის ამბები,
ყურადღებით უსმენს ანზორს, ზო-

გჯერ ქველ დროსაც მოიგონებული
წასვლისას კი თვალს შევლებს
შალვა გაბუნიას სურათს და ოტყ-
ვის:

— ასე, ბაბა, ასე. კაი კაცი იყო
საწყალი მამაშენი. კაი იყო მოსწ-
რებოდა შენს კაცობას, მარა რას
იზამ, ბედი ყოფილა. ქვეყნისათ-
ვის, შენი ბეღნიერებისათვის გა-
წირა იმან თავი და ძალიან მიხა-
რია, რომ არცხვენ მაშის სა-
ხელს.





ესე მეზეც

აღმსახრა ნებუკიძის ღიგეაგაზე- პიტიკები შეხედულებანი

ალექსანდრე წულუკიძის, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსის, მემკვიდრეობა, მართლია, სულ რამდენიმე წერილით ამოაწერება, მაგრამ მათ უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართულ მარქსისტულ-ლენინურ სალიტერატურო კრიტიკში და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ლიტერატურათმცოდნე, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, რომელიც განიხილახეს გამჭუქოს ესა თუ ის საკითხი XIX საუკუნის 90-იანიწლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვერდს ვერ აუვლის ალექსანდრე წულუკიძის ამ ბრწყინვალე სტატიებს. მათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, არამედ საუკეთესოდ ეხმაურებიან თანამედროვეობასაც ამ გაგებით, რომ მხატვრული ნაწარმოების განხილვის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ.

ალ. წულუკიძისათვის მხატვრული ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმს ის წარმოადგენს, თუ რამდენად ეხმაურება ესა თუ ის თხზულება თანამედროვეობას, რამდენად სწორად, მაღალმატვრულად ასახავს ცხოვრების განვითარების ტენდენციებს, წარმოგვიდგენს თუ არა მწერალი მოვლენებს პერსპექტივაში.

სწორედ ასეთ ასპექტში აქვს განხილული ალექსანდრე წულუკიძეს ლალონის მოთხრობა „ფირალი დავლაძე“ (და არა მარტო ეს მოთხრობა) წერილში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“.

დავუკვირდეთ სათაურს. რა ბევრის მთქმელია იგი. უკვე სათაურშივე იგრძნობა, რომ წერილის აეტორს მხატვრული ნაწარმოები ცხოვრების სარკედ მიაჩინა, რომელშიც პირუთვნელად ისახება საზოგადოებრივი სინამდვილე.

რაში ხედავს ალ. წულუკიძე ლალიონის გამარჯვებას?

იმაში, რომ ლალიონი მოთხოვნაში „ფირალი დავლაძე“ სიმარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდმიზნებულოვან ფაქტს — კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, რომ ავტორი გრძნობს და მყითხევლსაც აგრძნობინებს — შემოდგომის აზნაურთა — დავლაძების თარეშის დრო ჩაბარდა ისტორიას, მათ ცხოვრების ჩახხის შემობრუნებისათვის ძალა აღარ შესწევთ.

სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები. მოთხოვნაში მათი ერთეულთი წარმომადგენელია ნიკო კანლაძე, რომლის ბუნება ნათლად გამოსჭივივის მის მიერ წარმოთქმულ შემდეგ სიტყვებში: „კი მარა ამ ცარიელმა, გაფხებილმა აზნაურიშვილობამ რა მოუტანა ვინჩეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომაცელობას! ამდენია იმისთვის აზნაური, რომ მჰერს არ წაუტეს კაცი, ორი კაცეკვიშა ცოლშვილს დაწინარებს. კაი ხანია წევიდა უწინდელი დრო! ახლა კაცი იგია, ვინც თითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია“. როგორც ალ. წულუკიძე შენიშნავდა, ნიკო კანლაძის ამ სიტყვებში „...აზნაური ცხოვრების ნამდვილი დედა-აზნაურია გამოთქმული. ის, ჩაც პუბლიცისტებინობისტებს მრავალი კვლევა-ძიგით დაუსაბუთებით, ნიკომ მოკლეთ და მარტივათ გამოთქვა. ამ სიტყვებშია მოკლე ჩვენი დღვევანდელი ცხოვრების შინაარსი“ (თხ. 1943 წ., გვ. 20).

ძირითად დებულებას, რომ ლალიონი მოთხოვნაში „ფირალი დავლაძე“ სიმარტივით და ნათლად აღნიშნავს დიდმიზნებულოვან ფაქტს — კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, ალ. წულუკიძე აკონკრეტებს და განუმარტავს მკითხველს, თუ რა შედეგები მოჰყვა კაპიტალიზმის განვითარებას და როგორი ასახვა პოვა მან „ფირალ დავლაძე-ში“.

ალ. წულუკიძეს მიაჩნია, რომ „ფირალ დავლაძეში“ ნაჩერებია არა მარტო

ცვლილებები მატერიალური წარმოებების სფეროში, არამედ ის ცვლილებების რომლებიც ცხოვრების ახალმა პირობებშია გამოიწვიეს აღმიანთა შეცნებაში. ადამიანის დამოკიდებულებას აღმიანისადმი, საზოგადოებისადმი კაიტალისტური წყობილების დროს ფული განსაზღვრავს. ლალიონმა გვიჩვენა, რომ ნიკო კანლაძის შენებრივი შეხედულებანი ახალი ეკონომიური ურთიერთობის შედევგია. ნიკო კანლაძე კი არ თხოულობს, არამედ ყიდულობს ნინოს. ვაჭრული ანგარიშიანობა ჩანს იმ დროსაც, როდესაც ნიკო ხელს თხოეს ნინოს. როგორც ალ. წულუკიძე შენიშნავდა, „მან (ნიკო კანლაძემ — გ. მ.) კარგად იცის რამდენიმელროვე ტკიფილები, იცის თუ რა ხორბალი უფრო იტუებს დღევანდელ შვილებს“ (ექვე, გვ. 21). ის მისი სიყარულის აღსარება: „შენისთანაი ცხოვრება ერთ ქალს არ ექნება გურიაში. სადაც შენ ამოირჩევ, იქინებ გაცხოვერებ. ლვთისგან გაჩენილი არაფერი არ მოგაკლება ჟვეყვანაზე. საჭმელი კაი ვაქნება და სამელი, წასლა და მოსლა. მამა-შენიც მადლიერი იქნება. მე კაცი ვარ ჟვეყვანაზე, იმის პატივისცემას კი შევიძლებ“. ეს სიტყვები დამახასიათებელია ნიკო კანლაძისათვის. ცული, ყიდვა-გაყიდვა, მოგება, დაგროვება — იმ თვალთახედებით უყურებს ივი ცხოვრებას და რა გასაყირია, თუ ცოლ-ქმრიბასაც ასეთი თვალით შეხედა. ეს ბუნებრივიც არის, რადგან „აღამიანებს შეგნებულად თუ შეუგნებლად თავიანთი შენებრივი შეხელულებანი საბოლოო ინსტანციაში პრაქტიკული ურთიერთობიდან გამოყავთ, რომელზედაც მათი კლასობრივი მდგომარეობა დაფუძნებული, ეკონომიური დამოკიდებულებიდან, რომელშიც ისინი აწარმოებენ და აღებმიცემონენ“ (ფრ. ენგლერი, ანტი-დიურინგი, 1934 წ., გვ. 69).

ალ. წულუკიძეს მწერლობა მიაჩნდა ცხოვრების სარკედ, მაგრამ მისთვის ისიც ნათელი იყო, რომ განსხვავებით



ისტორიკოსისაგან მწერლის მოვალეობას შეაღვენს „სინამდვილის სწორად გამოხატვა ცოცხალ, მხატვრულ ფორმაში“ (თხხ., გვ. 71). ლიტერატურულ ნაწარმოქმისაქვს ფაქტების არა მშრალ აღწერასთან, არამედ მხატვრულ განხოგადებასთან. ალექსანდრე წულუკიძის გაებით, მხატვრული ლიტერატურა ქრონიკას კი არ წარმოადგენს, არამედ ცხოვრების ძირითადი ტენდენციების, მოვლენების, ტიპების მხატვრული აღწერა. აი რატომ იყო, რომ ალ. წულუკიძე ლალიონს უწუნებდა „ფირალი დავლაძის“ ფინალს. მისი აზრით, მწერალს „...რომ ამ არ ტიპთა შორის ბრძოლა, რომლითაც თთქმის იწყება მისი მოთხოვა, ბოლომდის ლოგიკურად გაეტარებინა, არ აჲყოლოდა ფანტასტიკურ გულისტქმას, არამედ ცხოვრებას ბოლოშიაც დაკავითხებოდა, იგი ნიკოს არ მოკავევინებდა ივანეს. გამარჯვებას ბოლომდე ამ ახალ ტიპს შეარჩენდა“ (იქვე, გვ. 17). ალ. წულუკიძე არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ნაწარმოებში დავლაძის გამარჯვება მხოლოდ ფიზიკური ხასიათისაა, რომ ასეთ შემთხვევას სინამდვილეში მართლაც შეიძლება ადგილი ჰქონდა, მაგრამ მწერალს მოთხოვება ხაზი გაუსვას არა ერთეულ შემთხვევას, არამედ მოგვცეს ცხოვრების ძირითადი ტენდენციის სწორი ლოგიკური დასკვნა, „საზოგადოების კლასიური ბრძოლის დასკვნა“.

ალ. წულუკიძეს მწერლის მოვალეობად მიაჩნდა ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის პერსპექტივიაში წარმოდგენა. მწერალმა არა მარტო უნდა ახსნას მოვლენა, მივითოთოს გამიმზვევ მიზეზებზე, არამედ შემდგომი განვითარების გზებიც უნდა დასახოს. დ. კლდიაშვილმა „ქამუშაძის გჭირვებაში“ მოვცეა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ნათელი სურათი, მაგრამ როდესაც პერსია, რომ „გერ კიდევ ვერ მოეწყვენ, მართალია, მაგრამ იმედი აქვთ ორივე ცოლქმარს, რომ მოკლე ხანში იმ ახალ

ნიადაგზე სოფლისაზე უკეთესადის უკავშირი იყვანენ „საქმეს“, აյ უკე ცლება დ. კლდიაშვილი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ალ. წულუკიძე შენიშვნადა: „ავტორის გადატული სიტყვები დამაჯერებლად არ გვეჩენება. იქნებ ავტორი ფიქრობს, მათი ცხოვრება უზრუნველყოფილად და ბელნირად მოაწყოს? არა გვიონია. იგი ხომ სინამდვილეს გვიხტავს, სინამდვილეში კი ეს არ ხდება“ (იქვე, გვ. 75).

ამავე მიზეზით ალ. წულუკიძემ კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა აგრეთვე ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატის“ შესახებაც. დიდმა ბელეტრისტმა, კრიტიკოსის აზრით, ვერ ახსნა ბურჟუაზიული ამორალიზმის მიზეზები და ვერც მისი დაძლევის გზები გვიჩვენა: „მაგრამ სამწუხაოდ მან ფილოსოფიურად ვერ ახსნა ვერც მიზეზი ამ მოვლენისა და ვერც საშუალება მოგვაწოდა მეცნიერული“ (იქვე, გვ. 278).

ალ. წულუკიძეს მიაჩნია, რომ ლიტერატურის განვითარებას საბოლოოდ განსაზღვრავს ეკონომიური ბაზისი. ბაზისი გავლენას ახდენს ლიტერატურაზე როგორც უშუალოდ, ისე შუალობით სხვაზედნაშენური კტეგორიების სახით. ვართალია, „ყოველი თვალსაჩინო სოციალური ცვლილება თავის ელფერს დებს გონიერივ მოძრაობას, რის გამო ლიტერატურა ფერს იცვლის, ახალ მიმართულებას ადგება“, მაგრამ „ეს სრულიათაც არ ნაშავს, როგორც ჩვენ უვიც პუბლიცისტებს ჰქონით, რომ ისტორიული ცხოვრების ყველა რთული მოვლენანი მხოლოდ ეკონომიური ფაქტორის ზეგავლენით უნდა აიხსნას“ (იქვე, გვ. 28-30).

რასაკვირველია, ასეთი ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი იყო თანმიმდევრული დაცვა და განვითარება მარქსისტული მოძრავებისა ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ეს იყო ბრძოლა მარქსიზმის უულგარაზატორების, ვერეთწოდებული „ეკონომიური მატერია-

ლიშმის” წარმომადგენლუბის წინააღმდეგ, რომლებიც ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას მექანიკურად უფარედნენ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების დონეს. ალ. წულუკიძე თანმიმდევარი მარქსისტია და მისთვის ნათელი იყო, რომ იდეოლოგიური ზედნაშენები, დაფუძნებული არიან რა ეკონომიურ პარტიზე, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და საზოგადოების ეკონომიურ საფუძველზე.

ჩამდენადაც ლიტერატურა წარმომადგენს სინამდვილის, ცხოვრების მხატვრულ აახევს, ამდენად ალ. წულუკიძე ლიტერატურულ ნაწარმოებებს იყენებდა იმათ წინააღმდეგ საბრძოლველად. რომლებიც ვერ ერევოლნენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კრიტიკული წერილი „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, ასრულებს მეორე ფუნქციასაც: განკუთვნილია ხალხისნების მცდარ შეხედულებათ წინააღმდეგ საბრძოლველად. 90-იანი წლებში ხალხისნური შეხედულებები საქართველოში ჯერ კიდევ პოულიზნენ თანაგრძობას საზოგადოების ერთ ნაწილში. ქართველი ხალხისნები უარყოფნენ კაპიტალიზმის პროგრესულობას ფულდალიზმთან შედარებით, ვერ ხედავდნენ და არც უნდოდათ დაენახათ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში, უარყოფნენ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას საქართველოში. ქართველი რევოლუციური მარქსიზმის წარმომადგენლები დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდნენ ხალხისნების ამ მავნე შეხედულებების წინააღმდეგ. ალ. წულუკიძემ კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოებას მაგალითზე დამტკიცა მათ, რომ 90-იანი წლებისათვის მაინც კაპიტალიზმის არსებობა საქართველოში საეჭვო აღარ იყო. ვფიქრობთ, რომ ამ მიზანს ემსახუ-

რება სტატიის სათაურიც „ახალი ტერიტორია ჩვენს ცხოვრებაში“. ნიკო კანლიძე, რომ ლიტერატურული ტიპი, ახალი არყოფილი ქართული ლიტერატურისათვის, არც ლალიონს პირველს არ უცდია აეხანს კაპიტალიზმის განვითარების პირველი ნაბიჯები საქართველოში. უფრო ადრე დაწერა და გამოქვეყნდა ლ. არდაშიანის „სილომონ“. ისაკის მეგრანუაშვილი“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ და სხვ. მაგრამ ალ. წულუკიძეს მხედველობაში აქვს არა ლიტერატურული ტიპი, არამედ ცხოვრების ტიპი, ხოლო საილუსტრაციო მაგალითად უკანასკნელ წლებში ვამოქვეყნებული ნაწარმოები აიღო.

ქართველი ლეგალური მარქსისტების ბელალის ნ. უორდანის წერილთა უკავშირ „მესამოც წლების მოღვაწენი და ფინანსული ცხოვრება“ გატარებულია აზრი, რომ 90-იანი წლების მწერლობა გაზადება ცხოვრების კალაპოტს. ვადაც და კი იმიტომ, რომ ცხოვრება შეიცვალო, ხოლო მან ეს ცვლილებანი ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და უანგრძაშიას მიეცათ. წერილთა აერორი „იმედს არ კარგავდა“ და საშუალებას თავაზობდა ქართულ მწერლობას: „ასეთ მდგომარეობიდან მიაგამოიყანდა მხოლოდ დასავლეთ ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიც დღეს ჩვენ ვიმყოლებით, კი ხანია განვილ და საკუთარი გზა გაიკვლია“. კ. აბაშიძე, იზიარებდა რა ამ აზრს, უმატებდა, რომ მწერლობა პესიზიზმათ მიცემული და ზოგიერთ მწერალს, მაგალითად, შ. არაგვისპარელს, ისეთ პესიზისტად წარმოგვიდგენდა, რომელსაც თითქოს მსოფლიო ლიტერატურაში მხარის მიმცემი არ დაუძნებოდა.

ალ. წულუკიძის შეხედულებანი დიამეტრალურად უპირისიპირდება იდეალისტური სალიტერატურო კრიტიკის წარმომადგენლთა შეხედულებებს. კრიტიკულ წერილებში: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“, „მკითხველის შენაშვნები“ და ზოგიერთ პირად წერილშიც

ჩეენ ვხელავთ ასეთი მაჟნერ, ყალბა შე-
ხელულებების, მასურ კრიტიკას. „ეს
ბრალება (90-იანი წლების მეტროლობის
დაკინძების შესახებ — ვ. მ.) სიმართ-
ლეს მრკლებულია, — ხაზგასმით ანიშ-
ნავდა კრიტიკოსი. — მას არავითარი ფა-
ქტიური დატტიცება თან არ სდევს, იგი
მხოლოდ საგნის შეუსწავლელობის მი-
ზუხია და არა მეცნიერული კრიტიკის
დასკვნა“ (იქვე, გვ. 11).

მართლაც, რა უფლება გვაქვს შ. არა-
გვისპირები ან ი. ევდოშევილი პესმისტ
მეტროლებად გამოვაცხადოთ მხოლოდ იმი-
ტომ, რომ რომ მათ ნაწარმოებებში ცხოვრე-
ბა ჩანს თავისი ვიზ-ვარამითა და ტანგ-
ვავგბით? თუ მწერალმა შეუფერავად
ასახა ცხოვრება და ამან სევდინად ჩან-
გის ფლერება გამოიწვია, — ეს ვიზ კი-
დევ არ ნიშნავს პესმისტობას. მაგრამ
ასე როდი ფიქრობდა ზოგიერთი კრი-
ტიკოსი (მაგალითად, კ. აბაშიძე), რომ-
ლებსაც სხვა ქვეყნების ანალოგით სუ-
რათ 90-იანი და 900-იანი წლების ქა-
რთული მწერლობა პესმისტურად გა-
მოცხადებინათ. სწორედ ასეთი კრიტი-
კოსების წინააღმდეგ იყო მიმართული
ალ. წულუკიძის სტრიქონები: „განა პო-
ეტი თუ ცხოვრების სიმწარეს დატულებს
ჩანგით — ეს იმას ნიშნავს, რომ მას
ცხოვრებაში აღარაფერი სამედო ჯარ-
ჩენია? თვით ის პოეტები, რომლებითაც
კირა (ლაპარაკია კიტა აბაშიძეზე — ვ. მ.)
თავის აზრს ამტკიცებს, თუ ერთ აღგი-
ლას სტირიან, მეორე აღგილას მღერან
სიცილით. იგივე ითქმის ბელეტრისტე-
ბის შესახებაც. ყოველ შემთხვევაში რა-
მოდენიმე ახალგაზრდის პესმისტურ წე-
რილებიდან არა მგონია კრიტიკას რაი-
მე მეცნიერული დასკვნის გამოყვანის
უფლება ქონდეს, იგი ძლიერ სუსტი სა-
ბუთია რამე საზოგადოებრივი მოვლე-
ნის ასახსნელად“ (იქვე, გვ. 281).

90-იანი წლების კრიტიკოსთა ნაწილი
(კ. აბაშიძე და სხვები) მწერალს ჰეჭმა-
რიტი შემოქმედებითი გზისკენ ვერ მი-
უთითებდა. გავისენოთ კ. აბაშიძის შე-

ფასება. დ. კლიარშვილის მოთხოვნებით ეს „ქამუშაბის გატირვება“. ამ მოთხოვნება-
ში კრიტიკოსი უბირველს ყო-
ვლისა ხედავს აღამიანის კუდაბზიკობის,
სიამაყის, გამამაძლრობის სურათს და ამ
ასცეტტში ნაწალიზებს ნაწარმოებს. ამი-
ტომ მას მხედველობიდან გამორჩია კა-
პიტალიზმის განვითარება სოლილ,
გლეხთა დაფიქრუნციაცა და სრულ და-
ვიწყებას მისცა სამადაის ტრიპი. ამის-
შედეგად, კრიტიკოსმა ოტიას ქალაქში
განასახლება ახსნა მხოლოდ ქალაქსა და
სოფელს შორის დაპირისპირებულობით
და მიიღიწყა კლასობრივი ბრძოლა.

ალ. წულუკიძემ კი თავის ბრწყინვა-
ლე კრიტიკულ წერილში „მკითხველის
შენიშვნები“ დადგითი შეფასება შისცა
დ. კლიარშვილის „ქამუშაბის გატირვე-
ბას“, რადგან აქ ჩანს, რომ „ცხოვრების-
შეცდლილ პირობები სასტიკი აუცილე-
ბლობით სცელიან მიწის მუშის გონებ-
რივ გორიზონტს და ხდიან მას მამის
აღთქმების მოღალატეზ, საქმეთა ახალი
ეთარების მსხვერპლად“, რომ „მიწის
ნაკლებობა ერევება სოფლებს ქალაქში,
რათა იქ ეძიოს თავის სამუშაო ძალის
უფრო ხელსაყრელი გამოყენება“ და
რომ „ამ ნაწარმოების ლირსებას შეად-
გენს სინამდევილის ეს სწორი ასახვა“
(იქვე, გვ. 73-74).

ბუნებრივია, დაისმის კითხეა: რა იყო
ალ. წულუკიძის ლიტერატურულ შესე-
ღულებათა წყარო?

ამ წერილში ჩეენ ვედილობდით ხაზი
გავვესა, რომ ალ. წულუკიძის ლიტე-
რატურული შეხედულებანი აუცილებე-
ლი თანმიმდევრობით გამომდინარებს
მისი მარქსისტული მსოფლმედველობი-
დან, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი წარმო-
ადგენს ალ. წულუკიძის ლიტერატურუ-
ლი შეხედულებების ძირითად წყაროს.


არ შეიძლება, აგრეთვე, უყურადღე-
ბოდ დაგროვოთ ალ. წულუკიძის განც-
ხადება: „მესამოცე წლების იდეალებს
(განსაკუთრებით) გატაცებით ვეღეო-
დი“ (იქვე, გვ. 279). ამ შემთხვევაში,

რასაკვირველია, იგულისხმება არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალები, არამედ ხელოვნების რეალისტური პრინციპებიც, რომელთა დამკვიდრება ქართულ სინამდვილეში დაკავშირებულია ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა სახელებთან. ალ. წულუკიძეს, როგორც რევოლუციური მარქსიზმის წარმომადგენელს, არ შეეძლო გვერდი იევლო საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიისათვის. ალ. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანიც ეყრდნობა იმ პროგრესულსა და დემოკრატიულს, რაც მანამდე იყო შექმნილი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ალ. წულუკიძის ლიტერატურულ შეხედულებათა მძღვრ წყაროს წარმოადგენს ქართველი სამოციანელების ხელოვნების რეალისტური პრინციპები. მაგრამ ალ. წულუკიძე ლიტერატურულ საკითხებში კიდევ უფრო წინ წაგიდა თავის უშუალო წინაპრებ-

თან შედარებით. ალ. წულუკიძის შოთა ხოენა, რომ მწერალმა მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველს უნდა დაანახოს განვითარებაში მყოფი ცხოვრების პერსპექტივა, აუცილებლად ახალი და წინ გადადგმული ნაბიჭი იყო ქართული ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში.

კიდევ უფრო ახალსა და პროგრესულს წარმოადგენდა ალ. წულუკიძის მოთხოვნა, რომ მწერალმა მხატვრულ ნაწარმოებში უნდა დაგვანახოს საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელშიც განმსაზღვრელ როლს კლასობრივი ბრძოლა ასრულებს (რასაკვირველია, იგულისხმება ანტაგონისტური საზოგადოება).

ალ. წულუკიძის ლიტერატურული შეხედულებანი ერთ მთლიანობაში იმყოფება მის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ-ეკონომისტ შეხედულებებთან, რომელნიც ემსახურებოდნენ ერთ დიად მიზანს — სოციალიზმის გამარჯვებას, ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას.



დავით ნაცვალაძე

დათა გუგუნაძე

დავით (დათა) სიმონის-ძე გუგუნაძა იყო მამა „თამარიანის“ ავტორის სიმონ გუგუნავასი. იგი ცხოვრობდა სოფელ ძიმითში და წარმოშობით გურიის ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდა.

დათა გუგუნავას ვაჟა-ცობა და გმირობა განთქმული ყოფილა მთელ დასავლეთ საქართველოში, ხოლო გურიის სამთავროში, მთავრის კარზე, მას ხომ ერთ-ერთი საბატიო აღგილი ეკავა. დათა გუგუნავა მოესწრო გურიის სამთავროს არსებობას და, როგორც შესანიშნავი მებრძოლი, უშიშარი, თავგანშირული მამულიშვილი ქართველი მონაწილეობდა სამთავროს ბეჭ-იღბალში. მისი საქმაოჯ ხანგრძლივი სიცოცხლის მანილზე არ ყოფილა ომი, დათა გუგუნავას რომ თავი არ გამოეჩინოს. „ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, როცა ვინჩეს სიმარდის, სისწრაფის ქება უნდათ „დათა გუგუნავა არის კაცალო“, იტყვიან ხოლმე, და მართლაც რომ მისმა სიმარდემ ზღაპრული ხასიათი მიიღო, საარეკონ გახდა. ერთად დაყენებულ რამდენიმე ცხენზე ხელულებლად გადატომა, ძე-

ლებური დარბასილური ცხენოსნობა, მარდათ ჭირითი, სროლა, იარაღის ხმა-რება, ხომ მის ხელთ იყო და არა მარტო სიყმაწვილეში, არამედ მოხუცებულობას ღროსაც ყმაწვილების იდეალს შეაღენდა“, წერდა 1885 წელს გაზეთი „დროება“ (№ 197).

1841 წელს, როცა გურიის გლეხობაშ დიდი აჯანყება მოაწყო, დათა გუგუნავა აჯანყებულთა მხარეზე დადგა და ამის გამო თვითმყრობელობის ბორკოლებიც გამოცადა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როცა ქართველმა ხალხმა რუსი მხედრობის დახმარებით ოსმალეთის მიერ ძალით მიტაცებული საქართველოს კუთხეები, კერძოდ, აჭარა გამოიხსნა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დათა გუგუნავა სათავეში ჩაუდგა ვლულების მეოთხე რაზმს (ზრუյინას) და აჭარის განთავისუფლებისათვის გმირულად იბრძოდა. შემთხვევით ჩვენ ხელთ ჩავივარდა ამ ომის მონაწილე პროპორ-ზეივ მაყშვილის მოგონებები. მაყშვილის სიტყვით, როცა ომის წინ ოზურ-



გეთში ჩასულა იმპერატორის ბმა მთავარი მიხეილი და დაუთვალიერებია სამრად გამზადებული ჭარები, იგრეთვე ქართველ მოხალისეთა რაზები, მისი ყურადღება მიუწევებია მთლიანად გატანისავებულ დათა გუგუნავას, რომელიც თურმე წინ მიუძღვია ასეულს, გურულად იყო გამოწყობილი და მშვენიერად შეიარაღებული. „მის უმაღლესობას იმდენად მოეწონა ასეულის ეს უფროსი, რომ გაშინვე ინგება მისი ვინაობის გაეგება. ამიტომაც თავისი ფლიგელ-ადგუტონტი ვენერალ-მაიორი თავადი ტრუბეციონი მიიჩმო და უბრძანა, ვამიგე მეოთხე ასეულის უფროსის გვარი, წლოვანება და ისიც, თუ რამ აძღულა ამ ხნის კაცი, რომ სამსახურში შემოსული!“, წერს მაყაშვილი. როცა მთავარ მიხეილს მოახსენეს დათა გუგუნავას ვინაობა, მას ალტაუბით წამოუახნაა: „დახეთ, რა ვაჟაცი ყოფილა, ამდენ ხნისაა და რა ყოჩადად მიუძღვია წინ თავის ასეულს!“

მართლაც, შეხდვისათვავე დათა გუგუნავა მიიპყრობდა თურმე კაცის ყურადღებას „ტიპიურის, უმაღლეს ხარისხამდე გამომეტყველი სახით, ლომებრივი ტანადობით და ამასთანავე მეტის-მეტის მიმშიდველობით, ფართო მხარ-ბეჭებს შუა მაღლა აღმართული მექანი მისი გეონებოდათ წინ მიისწრაფის, თიქორ მტერს ეძებს დასაჭაბლადო“, წერდა გაზეთი „დროება“. .

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია თავის ნაშრომში „ქართველი მწერლები“ ერთ აღილას წერს: „დათა გუგუნავას შეკაზმულ ცხენზე გალესილ ლუკურს დაუდებლენენ პირ-აღმა და გუგუნავა იმას გადააზტოდა.“.

დათა გუგუნავას ვაჟაცობაზე არაკად შეცული ამბები ახლაცაა შემონახული გურაში. სოფ. აკეთის მცხოვრებმა მოჭუცმა ს. ნაცვალიძმე გვიამბო: „მამაჩემისაგან გმიგონია: თავად ყარამან თავდგირიძეს გასახელი ცხენი ჰყოლია, მა-

გრამ იმდენად მიუკარებელი და და გუგუნავას, რომ მასზე შეჯობმას ვერავდა ბედავდა. ერთ დღეს თავდგირიძისას სტუმრად მისული დათა გუგუნავა შეჯდა უნაგირდაუდგმელ პირუტყვზე, რომელიც აღგრილიან მოწყდა შურდულივით და შეუძრეცელი მხედარი ნაგომრისაცენ გააქანა. ბახვისწყალს როცა მიუახლოებდა, ურამ პირი იბრუნა და გაექანა ყვავთა გუნდისაკენ, რომელიც ჭალას მოსდებოდა. ორი საათის შემდეგ თავდგირიძის სასახლეს მიუახლოებდა მოქანული პირუტყვი და მასზე მჯდარი დათა გუგუნავა, რომელიც თავისუფლად იდა უუნაგირო და უაღვირო ცხენზე და ორთავე ხელში აჩხავლებული ყვავები ეჭირა“.

მაგრამ დათა გუგუნავა მარტო ვაჟკაციობით როზია ცნობილი, იგი პოეტიც იყო. თავის ლექსებს დათა გუგუნავა შეულარებლად ამლერებდა ჩონგურზე და ამ მხრივ მას ბადალი არავინ ჰყავდა. პოეტი მამია გურიელი თბილისის სალონებშიც ვერ ივიწყებდა დათას ტკბილ ჩონგურს და წერდა:

„იმლერდეს ნაზად ქალები,
დათა უკრავდეს ჩონგურსა.“

სათა გუგუნავას მიერ შემნილი სიძლერები და ლექსები ცნობილი იყო მთელ საქართველოში. მის სასახლეს ძიმითში, როგორც ხელოვნების, პოეზიის და მწიგნიბრობის კერას, ეტანებოდნენ გურული, მეგრელი, იმერელი, აფხაზი თავადები და აჭარელი ბეგები. ისინი განუშორებელი სტუმრები იყვნენ დათა გუგუნავასი.

„ჩონგურზე სწორედ ნამდვილი კომპოზიტორი იყო: იგონებდა სხვადასხვა ჲამი, ტკბილ ხმებს და ჲანგებს, დაკვრის ღრის თვითონვე თხზავდა ლექსებს და თანაც დამლერდა. მისი ხმის მიხერა-მოხერა და თამაში მართლა რომ კაცს აკვირებდა“, წერდა იგივე „დროება“. .

ამავე ღრის დათა გუგუნავა გამოიჩინდა მახვილგონიერებით, სიტყვამოხსრებულობით, გულკეთილობითა და პა-



ტიოსნებით. ამიტომ იგი ყველა თვასის
სანატრელი და სასურველი სტუმარი
იყო. მთელ დასავლეთ საქართველოში
დათა გუგუნავას იცნობდნენ „ლხინის
დედად“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში და-
თა გუგუნავას შვილი გარდაეცვალა და
ამ უბედულებამ დააზუმა მოხუცი. ერთ-
ერთ ლექსში იგი წერს:

„ბევრს გაბსოვთ ის დრო, სამ
სამთავროში

რომ მეძახოდნენ „ლხინის დედასა“,
მაგრამ მომესპო მე ეს სახელი,
ფლიდმან სოფელმან შემრთო
სევდასა“.

დამწუხტებული დათა გუგუნავა თავად
ალექსანდრე მიქელაქეს სამძიმელის წე-
რილში ლექსით გაუმნევევდა. დათა,
გუგუნავას საპასუხო წერილიც ლექსად-
ვა მიუწერია. აა, ეს ლექსი:

თქვენ თვით მოწერ ხართ ჩემი
ცხოვრების,

რომ ბედმან დიღხანს ლხინით

მატარა,

ვსიამოვნებდი და ვნეტარობდი, —
არ მახსოვს პატივს მცემდნენ

სად არა,

ყველას გიყვარდით, ყველას
გახსოვდით,

ყველასთან უიყავ მონებრ პატივული
მაგრამ ბოლო დროს უბედურებაშ
ეს შეება-ლხენა სულ ჩამაშწარა!
ჩემი გაშლილი გული გარევადა
და დამძმუნჯდა მომლხენი პირი,
საზი, ჩინგური, დაირა, ჩანგი
და თარი მე მძულს, ვითარცა ჭირა-
მის სიმთა უღერა ჩემთვის ზარა,
სიმღერის ნაცვლად მწარედა
გსტირა.


ციიქრე, რადლა ვიცოცხლო მარტო,
სკობს, რომ გაფიტრე, ვთ ტყის
ნადირი.

ანალოგიურია მესამე ლექსიც.

დათა გუგუნავამ შექმნა ბევრი შესა-
ნიშნავი ლექსი, რომლებიც შემდეგ სიმ-
ღერად იქცნენ დასავლეთ საქართველო-
ში, მაგრამ თითქმის ყველა დაიკარგა.
დათა გუგუნავას პოტურმა შემოქმე-
დებამ, პოეზიის სიყვარულმა მოუმზადა-
საფუძველი მის შეილს სიმონ გუგუნა-
ვას.

დათა გუგუნავა გარდაიცვალა 1885
წლის აგვისტოში და დაკრძალულია მა-
ნაჩარაძის რაიონის სოფელ ძიმითში. მე-
ტალ კარგი საქმე გაკეთდება, თუ ვინმე
დათა გუგუნავას ლექსებსა და სიმღე-
რებს თავს მოუყრის.





შოთა ქარიშვი

„ვისრამიანი“ ზნეობითი ცინამდებისათვის

„ვისრამიანი“ ძველი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. მართალია, იგი არ არის ორიგინალური, ნათარგმნია სპარსულიდან, მაგრამ მთარგმნელის სარგის თმოველის უბანლო თხტატობის მეოხებით ეროვნულ განძალ იქცა და მტკიცელ დამკიოდრდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

ინტერესი, „ვისრამიანისადმი“ თავიდანვე მეტად თვალსაჩინო ყოფილა. ქართველ მკითხველს იგი ძლიერ შეყვარებია და ლიტერატურაშიც ფართო გამოძახილი უპოვება. საქართველოს კურენტი, რომ მის მთავარ პერსონაჟებს ვისისა და რამინს საჭერ იქსენიებს გრინალტი რუსთველი თავის „ვეფხისტყაოსანში“. ფრიალ პოპულარული ჩანს „ვისრამიანი“ ე. წ. ლორსინების პერიოდის ქართულ მწერლობაშიც. გარდა იმისა, რომ იგი იქსენიება თემისაზე პირველის, ბესიქისა და სხვათა პოეზიაში, არჩილ მეფეს დაუწყია მისი გალექსვა, თუმცა მოუცდელობის გმო ვეღარ დაუმთავრებია.

ჩვენს დღოშიც „ვისრამიანი“ არ დაუ-

ქარგავს პოპულარობა. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე ივი ოთხაზერ დაიბეჭდა — 1938, 1960, 1962 და 1964. წლებში. ქართული „ვისრამიანი“ გამოიცა რუსულ და ინგლისურ ენებზეც. კერძოდ, რუსულად არსებობს მისი ორი სრული თარგმანი (ს. ორღანიშვილისა და ბ. აბულაძისა).

მით უფრო საოცარია, რომ ჩვენს მეცნიერულ-სახელმისამართი ლიტერატურაში დღეს გაბატონებულია შეხედულება, თითქოს იგი წარმოადგენდეს ეროტიკული სიყვარულის აქოლოგას, ხოლო მისი მთავარი პერსონაჟები ვისი და რამინი იყვნენ უარყოფითი ტიპები, გარევნილი, უზნეო ადამიანები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი წადილის, პირუტყვული უინს დაქმაყოფილებისაკენ ისწრაფიან. ამავე დროს კველა მკვლევარი ერთხმად ალიარებს, რომ „ვისრამიანი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, თუმცა... მისი მხოლოდ მაღალი მხატვრულ-ფორმალური ღირსებების გამო.

„ოორმის მხრივ, — წერს. ჩვენი დიალი მეცნიერი პ. ტმკელიძე, — „გისრამიანი“ უაღრესად პოეტური ნაწარმოებია. საუცხოო პოეტური სურათები, შედარებანი, ტრაქები მას ქმნის პოეტური ხელოვნების შეფერვად. შეუდარებელია ის ადგიმიანის გრძნობის ლელვათა მიტევ-გოქვევის ხელოვნურად დასურათებით. შეუვარებულთა, მიზნურთა განცდის გამოხატვით... ამ რომანს ერთი უპირველესი ადგილი უჟვარა მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა შორის... რომანში დადი ფსიქოლოგიური დაკვირვებითაა წარმოდგენილი სიყვარულის გრძნობა...“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 59).

ეს „ფორმის მხრივ“. რაც შეეხება შინაარსს, იდეას, „ვისრამიანის“ ზნეობრივ სინაზღილეს, მკვლევართა აზრით, იგი არათუ ქებას, მკაცრ გაყიცხვას იმსახურება. კერძოდ, პ. ტმკელიძეს „ვისრამიანი“ მიაჩნდა ფეოდალური არისტოკრატიის სულისკვეთების გამომხატველ ნაწარმოება, განსაკუთრებით მისი იმ ფრთისა, რომლის ყოველდღიური ცხოვრების დროშაზე ლოზუნგად გამოყვანილია ჰერონიმი: „გაიხარენ, სუი და ჭამე“ (იქვე, გვ. 57). გამოდიოდა რა ამ წანაზღვრიდან, მკვლევარი ამტკიცებდა, რომ „ვისრამიანში“ გამოხატული სიყვარული „არ არის წმინდა, ნაზი და უზადო სიყვარული, ეს... ხორციელი, მიწიერი, ამქვეყნიური გრძნობაა, რომელსაც მიზნად აქვს დაბალი მისწრაფებანიო“, ხოლო რომანის მთავარი პერსონაჟები—ვისი და რამინი უარყოფითი ტიპები არიან, რამდენადაც მათ „არ ახასიათებთ გრძნობის სიმტკიცე, ტიდეგანბაში ერთიმეორის დაუზიშყებლობა... და თუ ისინი თავის გრძნობასთვის მაინც კვდებიან, იმდენად არ გრძნობისათვის, რამდენად ხორციელი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად, როდესაც ერთად არიან და ერთმანეთს შეჰქმურებენ“ (იქვე, გვ. 59).

გამოდის, რომ შესაძლებელია ესა თუ

ის მხატვრული ნაწარმოები მსოფლიო უკრაშუალი ლიტერატურის განძად იქცეს წმინდამიანი ფორმალურ ლირსებათა გამო, მისი იდეურ-ზნეობრივი იდეალებისაგან დამოუკიდებლად. სრულიად უდავოა, რომ დროის მკაცრ გამოცდას, საუკუნეებს მხოლოდ ის თხზულება გაუძლებს, რომელშიც ბედნიერად ერწყმის ერთმანეთს შინაარსი და ფორმა, სადაც მაღალი მხატვრული ოსტატობა ასევე მაღალი იდეის გამოსახვას ემსახურება. ამიტომ „ვისრამიანში“ გამოხატული სიყვარული ან მართლაც მოკლებულია ზნეობრივ სიფაზზეს და მაშინ იგი შეუძლებელია მსოფლიო ლიტერატურის საგანძურს ამშენებდეს, ან ვისისა და რამინის ურთიერთობა, მათი მიზნურობა არ ეწინა-ოღმდეგებოდა მორალურ კანონებს.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ აზრი, თოთქოს „ვისრამიანი“ უზნეონ ნაწარმოებია და ეროტიკული სიყვარულის ქებათა-ქება, სრულიადაც არ არის ახალი. უარყოფითად აფასებდა რა რომანის იდეურ-ზნეობრივ სამყაროს, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის სულისკვეთების გამომხატველ და ჰედონისტურ-ეროტიკული მისწრაფებებით გამსჭვალულ ნაწარმოებს, აკად. პ. ტმკელიძე დასკვნიდა: „ყოველივე მისი შემდეგ, საკვირველი, არაა, რომ გარკვეულმა ანტისპასულმა წრემ, უფრო კი კლერიკალურმა, „ვისრამიანი“ გამოაცხადა ობიექტად ნამდვილი დევნისა, რომელიც XVIII საუკუნეში შემდეგ სიტყვებში იქნა ჩამოყალიბებულია:

სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს, მოვახსენებ ბრძენსა — ჰეკიანს, არ გამხილებ გიცს — ბნელინს: ეის ღმერთი სწაბს აღამიანს, ნუ ჩახდავს ვისრამიანს, დაუბნელებს დღესაც მზიანს, ჭოჭოხეთში ნახავს ზიანს.“¹

1 პ. ტმკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958 წ., გვ. 58.



მაშასადამე, დღეს მეცნიერულ-სასწავლო ლიტერატურაში გაპატონებული შეხედულება „ვისრამიანის“ იღეურზნეობრივ სამყაროშე არსებითად წარმოადგენს კლერიკალური წრეების მთკიცებათა განმეორებას, იმ წრეებისა, რომლებიც დევნის ობიექტად რაცხაუნ არა ზარტო „ვისრამიანის“, არამედ შოთა რუსთაველის გენიალურ „ვეფხისტყაოსანსაც“.

ვნახოთ ახლა, რამდენად საბუთიანია ის ბრალდებები, რომლებსაც მკვლევარები ვისისა და რამინს უყენებენ, რამდენად სწორია მტყიცება, თითქოს „ვისრამიანის“ უხანო და ბიჭიერ სიყვარულს უგალობდეს!

როგორც ვოჭვით, უმთავრესი ბრალდება ვისისა და რამინისა ის არის, რომ ისინი თითქოს სიყვარულში მხოლოდ ხორციელ ყინი იყლავდნენ, პეპელასავით ადვილად გადადიოდნენ ერთი ყვავილიდან მეორეზე და ამის გამო „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟებიდან ვის თითქოს მარტო ფარმანი თუ შეეძრება.

დაგვიწყოთ იქიდან, რომ მსგავს შეხედულებას ერთ-ერთი პირველი შეებრძოლა ცნობილი პოეტი აჩჩილ მეცე; რომელიც გალევსილი „ვისრამიანის“ შესავალში ვისისა და რამინის დასაცავად წერდა:

„რამინ სად ნახეს ჭაბუჭედ
ერთს სხვაზედ რითმე კლებული?
ან ვისს რით სჭობდა დარეჭან,
ზილიან გაბორზებული?“

მართლაც, რით არის ვისი ცუდი, რატომ ადარებენ მას „ვეფხისტყაოსანის“ ფარმანს? გვეუბნებიან, ფატმანის მსგავსად ისიც პეპელასავით ერთი ყვავილიდან მეორეზე დაკრინავს, ერთი სიტყვით, „დღეს ერთი უნდა, ხვალე სხვაონ“.

1 „ვისრამიანის“ ზნეობრივი სინამდვილის გაბატონებული შეფასების წინააღმდეგ გაკვრით, მაგრამ პირველად გაიღალაშერეს ალ. გვანარიამ და მ. თორუაშ („ვისრამიანი“, 1962 წ., გვ. 11).

მაგრამ ხომ ფაქტია, რომ რამინის გვეცემა და იგი არავის, არც ერთ სხვა მაშავაცს არ დანებების? მაშინაც კი, როცა რამინმა მიატოვა და გული შეირთო, ვისი არ აპყვა ცლენებას, არავინ არ ისურვა და რამინს შესთხოვდა, დამიბრუნდი და ლინი განმიახლეო. იგი რომ გარყვნილი, სიძვას აყოლილი ქალი ყოფილიყო, განა გაუჭირდებოდა საყვარელი თუ საყვარელი გაეჩინა და ხორციელი ჟინი სხვებთან დაეცხოვი აյი ეუბნებოლნენ მას: „ვისო, ნუ ჰკვენესი! ერთისა უხანისა მოყვრისათვის ეგრე გასლეა რაზ უნდა? კაცა მიჯნურობასა სხვისა სიყვარულისაგან კიდე არა დავიწყებს და შენ მის უკეთესი არა დაგულევიანო“. ე. ი. სხვა შეიცვარე და რამინი დაგვიწყდებაო. მაგრამ ვისს მხოლოდ რამინი უყვარდა, მხოლოდ მისთვის უცემდა გული, მხოლოდ მისით და მისთვის ცოცხლობდა და არ შეეძლო ჩაეჭრო რამინის სიყვარული. „შენად ნაცვლად გული ვასცა მიქსცე, — წერდა ვისი რამინი, — რომლისაგან მე ნაწილი იღარა დამრჩმია და ესრუ შენთვის გამსაკუთრებია... კაცა სრულად მყოფსა ყველასა ნაცვალი ექმნების სულისაგან კიდე, და შენ ჩემი სული ხარ... მე მაისი ვარ და შენ გაზაფხული, — განაღა უერთმანერთოდ არ ეგბის!“ ვისის ამ აღსარებიდან ჩანს, რომ იგი ერთგული მიჯნური, რაც მან თავისი საქციელოთაც დამტკიცა: არა-სოდეს უღალატია რამინისათვის და სიკვდილამდე მისი მათავევანებელი დარჩეა.

სულ სხვაა ფატმანი. იგი არათუ ქმარს არ სჭერდებოდა, საყვარელებსაც ხშირად იყვალითა, ერთმნერთისაგან ეერ არჩევდა ნამდგილ მიჯნურობასა და სიძვას, თუმცა სხვა მხრივ ბევრი ლირსებით აღჭურვილი ქალი იყო და ნესტან-დარევანი შემთხვევით არ უწოდებდა მას დედისა მწობ დედას. მიიტომ ვისისა და ფატმანის სიყვარულის გაიგივება მოკლებულია რამე საფუძველს, მათ არაფერი აქვთ საერთო. ერთადერთი ხელმოსაყიდი ამ

შემთხვევაში ის არის, რომ გრისტი დათმო კირო — თავისი ღვიძლი მმა, რომელთანაც დედის რჩევით იქორწინა. მიავე დედის წყალბით ვისი ქორწინებისთანავე ჩამოაშორეს ვიროს და ბებერ მოაბად მისცეს ურიცხვით თვალ-მარგალიტის მუქალად. ბუნებრივია, რომ ვისმა მწვაველ განიცადა ვიროსთან გაყრა და ბევრი ცრემლიც დაღვარა. მას მართლაც გულწრფელად უყვარდა ვირო, მაგრამ უფრო როგორც მმა, ვიღრე მიჭნური, და მისგან განშორებული მოაბადის სასახლეში ვიროს უპირველესად ძმად მოიხსნებას. ვისისა და ვიროს ცოლ-ქმრულმა სიყვარულმა ვერ მოასწრო ჩამოყალიბება და სრულებრივი, გრძნობა სათავეში ჩავდა ისე, რომ არ გამდილა და ნაყოფი არ გამოულია. ამას ისიც მოწმობს, რომ არც ვიროს გამოუდივი თავი ვისისათვის, ერთხელაც კი არ უცდაა უკანვე დაებრუნებინა იგი როგორც მიჯნური და ცოლი.

მაშინადამე, ვისი სრულიადაც არ არის გარყევილი ქალი, ისეთი პიროვნება, რომელსაც „ღლეს ერთი უნდა, ხელე ხევა“ მას ჰყავდა მხოლოდ ერთი მიჯნური — რამინი და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. საეგბით მართალია ძველი ქართული ლიტერატურის გამოჩენილი მკვლევარი იყალ. ილ. ბარბიძე, როგა ვისის დახმასითებისას წერს: „თავის გმირ ქალს ვისს გორგანელი პოეტი დიდი სიმპათით გვიხატავს. ვისს წრფელი, ლრმა, უანგარო სიყვარულით უყვარდა რამინი. ვისმა თავისი ყმაწვილქალობა, სახელი, პატივი, დიდება — ყველაფერი უმსხვერპლა რამინს. ვისი მზად იყო თავი გაეწირა მიჯნურისათვის. მიჯნურმა მას უმაგალითოდ უმუხლო, უღალატა, მიატოვა, ცოლი შეირთო, მიწასთან გაასწორა მისი იდამიანური ღრმესბა. არც ეს აქმარა. საშინელი გამწირაობის წერილით მუხანათობის ამბავი მიახარა. რამინმა არ დაინდო და არ შეიძრალა მისუამი სიყვარულით გალევლი, დასწეულებულა, სცვდილის პირის მიწევნილი, მისი

მათაყვანებელი ქალი. დასცინა, შეუჩია ხეო, საქვეყნოდ შეარცხვინა. კერძოდ მიუხურული ტად ლიდი მოყვარული გვლის პატრონს შეეძლო ამის შემდეგ მაინც ბეჭითად ეთვა: „მე გული არცა ვერც მეტვეს შენსა წყევას... ამ უფრო მეგონები, ამ უფრო მიყვარ და, რაცა ავი გაქმნია, ვერ დაგაყველებონ“ („შოთა რუსთაველი“, 1958 წ., გვ. 184).

მშ, რა ისეთი ცოლვა მიუძღვის ვისს, რომ იგი უარყოფით ტიპიად მიეჩინოთ, დავგმოთ მისი სიყვარული? რამდენადაც მოულონებელი არ უნდა იყოს ეს, ვისს ბრალს დებენ... სწორედ იმისათვის, რას გამოც აქებენ. რატომ ისე თავდაცწყებით, მგზნებარედ შეიყვარა მან რამინი, რომ ანგარიშს ვეღარ უწევდა საზოგადოებრივ ატჩს, ფახს, სახელმწიფოს ინტერესებს, რატომ აქვა საყუთარ გულის-თქმას და სხვა ყველაფერი დაივიწყაო. მაგრამ ბუნებრივია ვიკოთხოვ: ვასი ასე რომ არ მოქოლელიყო, ყველაფერი — ყმაწვილქალობა, სახელი, პატივი, დიდება, უკლებლივ ყველაფერი არ შეეწირა რამინისათვის, განა იგი ჩვენს სიყვარულს დამსახურებდა, სამაგალითო მიჯნური იქნებოდა?

მტკიცებულენ, ვისი უარყოფითი ტიპია. რადგან ოფიციალური ქმარი ჰყავდა — შეპი მოაბადი, ხოლო გვერბზე — კურნ რამინი, ეს კი უზნეობაა, გარყენილებაა. ლევ ტოლსტოის ანა კარენინს ქმარიც ჰყავდა და საყვარელიც, მაგრამ ამის გამო ჩერენ უზნეოდ არ მიგვაჩნია იგი, პირქით, მხურვალედ თანაუგრძნობით უბედურ ქალს, რომელიც ამაოდ ეძებდა ნამდვილ სიყვარულს თვისი საზოგადოებაში. ასევე „ვისრამინის“ ეპრობულ ვერსაშიც („წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“), სადაც იზოლდა მეცე მარკოზთანაც ცხოვრიბს და ტრისტანთანაც, მავრამ მას გარყენილად არავინ თვლის. ვისს ერთგვარი უპირატესობაც კი აქვს იზოლდასთან — მას არასოდეს გაუნაწილებია სარეცელი მოაბადთან, რომელსაც გრძნეული ძიძის მე-

შეენბით მამაკაცობა დაუკარგა. ესეც რომ არ იყოს, განა სამართლიანია, როცა ოცი წლის სიცოცხლით საცე ვასისაგან მოითხოვენ ერთგულებას სულ ცოტა თხმოცი წლის მოაბალისადმი, რომელსაც ივი მისი სურვილის წინააღმდეგ შერთეს, უფრო სწორად — უსირცხვეოლოდ მიძიებდეს? ჯერ კიდევ თეომურაზ პირველი ამტეუნებდა შავ მოაბაზს, რომ მან „ცუდი ხელობა“ ქნა, ძალად შეირთო ესის და ამ ბორიტებისათვის საკადაისადაც დაისახა:

„აუ გთხობა ცუდი ხელობა
შაპან-ზა მოაბაზისა,
არა ისმინა ნათქეაში
მეტლეთ მოაბაზისა,
ძალად შეიძყრა, მოკვეანდა,
ვით თევზი, მოაბაზისა,
ვისმან სანაცვლოდ შეიძყრის
სურვილი მოაბაზისა.
მთვარე შეიძყრა ვეშაპშა —
ეგონა მომხვდა შევბაო,
ვისამ დაუსწრა სანაცვლოდ,
შეკრა — ძიძა ჰყენებაო,
ვერ ჭამა მისგან ნაყოფი,
ბერმან სხვას მიანებაო,
იგი უებრო რამინს ჰევდა,
შაპან-ზას — ცეცხლთა დებაო.“ I

ჩერნიშევსკი ამბობდა, შეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია. ერთ შემთხვევაში წევიმა შეიძლება სასარგებლო იყოს, მეორე შემთხვევაში კი საზიანო. ბევრი მკვლევარის შეცდომა, ჩვენი აზრით, ის არის, რომ არ ითვალისწინებენ კონკრეტულ პირობებს და აბსტრაქტულად მსჯელობენ. რაკი ცოლისაგან ქმრის ღილატი ამორალურ საჭირელად ითვლება საერთოდ, ისინი ბრალს დებენ ვის, რომ მან უგულებელყო საზოგადოებრივი აზრი, რომ სიცოცხლის კონკრეტულ პირობებს და აბსტრაქტულად განვითარება არ გავუშიოთ, თუ გვინდა საკითხი სწორად, სამართლიანად გადავტრათ.

ეს უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ საკითხი: რა ქმნის „ვისრამიანის“ კონფლიქტს?

სადაო არ შეიძლება იყოს, რომ კონფლიქტი გამოიწევა ვისის, როგორც ქალის, ელემენტიარულ უფლებათა ფეხშვეშ გათელება. ცოვებებაში სრულიად გამოუცდელი ქალი, რომელიც არასოდეს ყოფილა მიწოდები და ამ გრძნობას არასოდეს გაუტაცია, მშობლების რჩევით მისითხოვდა საკუთრებული ძმას ვირობს და თავს ბეღნიერად გრძნობდა. ვისი არ ყოფილა დიდებისა და ქონების ტრფიალი (თუმცა აზც ერთი ყლდა და არც მეორე), მის გვლს მხოლოდ სიყვარული ეწადა და ის იყო მიწოდების ალში ეხვეოდა კიდევაც. როცა ქორწილის დროს შავ მოაბაზის შეკრივი ზარდი გამოცხადდა და ღრმად მოხუცი მეფის სახელით ვისის ხელი ითხოვა. უმანკო, სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი აღმფორთა ბერი შეაძინა უგულებელი წარილმა, ზიზღით უარყო მისი წინადადება და მეფის შეკრივის მოახსენა: „ჩემიაგიერ ეგრე მოახსენე მოაბაზს, ვითა შენებრ ფრთხილი არავინ ეგების, სიბერისაგან ტუინი წავსლვია და შენისა დარჩომისა დღე გარდასრულა. დამპალო ბერი! თუმცა ყოლა ცნობა გეონდა, სიბერისა უამსა არ ეს გმართებს, რომელ შენ ბერი გარდასრული ყრმასა ცოლსა ეცილებოდეს თუმცა კაცი იყავ, საუკუნოსა საგზაოსამცა იურკოლი სიბერებსა, არა ყრმასა ცოლსა.“

მაგრამ შაპმა მოაბაზმა არ ისურეა გაეზიარებინა პრინციპი: „მავანის საქონელი მავანისა არის“, რომ ყრმა ყრმისთვის და არა ბებრისათვის განენილა და, თეომურაზ პირველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქნა საქმე შეუგვარებია“: მა-

1 თეომურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჭავჭავაძის რედაქციით, 1934 წ., გვ. 63.

უხდა ვისის, მოუკლა მამა, თვითონ კი
ტყვევ წაიყვანა. ჭერ კიდევ მანამ, ვიდ-
რე ურიცხვი თვალ-მარგალიტით მოხიბ-
ლული შაპრი თავის ქალიშვილს მიჰყიდ-
და შაპს, ვისმა მოაბადს „სიყვარულისა
ნაცვლად მტერობისა ლახვარი ჰერა“ და
ასეთი „მწარე პასუხი შეუთვალა“: „მე
ვირე მქონდეს ნაძეი მართალი, არ ვე-
ძებ ტირიფსა მრუდსა. და თუმცა ვირო
ჩემი ქმარი არ იყო და გაუთხველი ვი-
ყავ, შენი ცოლობა და სიყვარული არცა
მაშინ ეგების ჩემგან, ამით რომელ მამა
ჩემი ყარან მოქალ უწყალოდ და არ შე-
გებრალა საპატიობისა და სიბერისათვის“.
განა ვისი მართალი არ არის, განა დამ-
პალი ბებერიც, რომ არ ყოფილიყო, შაპ
მოაბადის სიყვარული „ეგებოდა“ მას?
რა უფლება გვაქვს საზოგადოებრივი აზ-
რის პატივისცემის, ოჯახური სიწმინდი-
სა და სხვა მისთანათა დაცვის საბაბით
ადამიანს მოვთხოვოთ, რომ შეიყვარს
ბებერი ქოფაკი, იყოს ერთგული იმისა,
ენც ქმარი წარსტაცა, მამა მოუკლა და
არად ჩაგდო მისი ახალგაზრდული გუ-
ლისთვე? ეს იგივეა, მონას რომ ბრალი
დაუდოთ, ბატონზე ხელი რად აღმარ-
თო. და თუ შაპი მოაბადი სასაცალო
გხედა, თუ მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე
ატყუებდნენ ვისი და აამინი, ეს თავი-
სივე საქციელით დაიმსახურა. „რაც მო-
გვია დავითაო, ყველა შენი თავითაო“,
ამბობს ქართული ანდაზა და ვიტოშ
არის, რომ მეოთხეველი არ თანაუგრძნობს
შაპს, არ მიინია იგი დამაგრულ ადა-
მიანდ, შეგძალების ღირსაც. პირიქით,
სწორედ მას ვეისრება პასუხისმგებლო-
ბა მოელი იმ ჭირისათვის, რაც ვისისა
და აამინს, აგრეთვე რომანის სხვა პერ-
სონაებს გადახდათ. ამდენად უმართე-
ბულოა, როცა შაპ მოაბადს სიყვარუ-
ლის მსხვერპლად და კინაღმ წამებუ-
ლადაც კი წარმოგვიდგენენ.

ერთი სიტყვით, უთანასწორო და ძა-
ლადობას დაუუძნებული ქოჩინება ამ-
რთლებს ვისის საქციელს, რასაც აღია-
რებს აყალ. ალ. ზარამიძეც, თუმცა ერთ-

გვარი შენიშვნით. „არის ერთი გამოცხაოსია
ება, — წერს გვლევარი, — რომლითაც
რამდენადმე შესაძლებელი ხდება ვის-
რამიანის მორალისტური კონცეფციის
გამართლებაც. ბებერმა მოაბადმა მოინ-
დომა ახალგაზრდა ქალის დასაკუთრება.
რაღაც არაბუნებრივი იყო ნორჩი ყმაწ-
ვილი ვისისა და ხანდაზმული შაპი მო-
აბადის შეუღლება, ისიც ძალდატანებით...
ბუნებამ მყარად დასაფა მოაბადის
მკრეხელობა: მოაბადისადმი ბუნებრივმა
სიძულვილმა გამოსავალი ჰპოვა რამინი-
საღმი სიყვარულში, ახალგაზრდობის
მოჩემე ბებრულუნას გართლაც წილად
ხვდა შეტაცვენა და თავის მოჭრა“ („შო-
თა რუსთაველი“, 1958 წ., გვ. 185-186).

ვერ დავეთანხმებით ვერც იმ მტკიცე-
ბას, თითქოს ვისი „სატანისებრ ცბიე-
რი“ იყოს. მან თავიდანვე აშეარად და
უყოყმანოდ, დაუფარავი ზიზლით უარ-
ყო მოაბადის სიყვარული, არ ისურვა
ცოლად გაჰყოლოდა შაპს, მაგრამ ძა-
ლით წაიყვანეს და საკუთარი სურგილის
წინააღმდეგ აქორწინეს. შემდეგაც ვის-
მა მამაცურად უთხრა მოელი სიმართლე
შაპ მოაბადს: „რაც გწადიან, ივიცა მი-
ყავ, ყველა ხელგეწივების, მას ეედარ
უკუვიტყვია: მე აამინ ცასა და ქვეყანასა
ყველასა მიჩრევია, და თავისა და სულსა
ჩემსა მისია ჭირსა ვანაცვალებ, თვალთა
სინათლე და გულისა ჩემისა სიბარული
იგია... შენ თუ გწადიან, მომკალ, გწა-
დიან — დამარჩინე, არ მომტკულდების
და ვერ დავიციშვებ რამინს“. არც მო-
ძულა და არც დავიწყა! ბეცრეც სუ-
მეს, თმებით ათრიეს, გაგდეს, შეურა-
ცხვევს, რა ჭირში არ გატარეს, ბოლოს,
სატრფომაც გასწირა, მაგრამ ერთხელ
ანთებულ გრძნობას მაიც არ უდალა-
ტა, მისი ერთგული დარჩა. აი ამიტომ
გეოტაცებს ვისის მწარტული სახე, ამა-
ტომ გვიზიდავს და გვიძლავს იგა-
ვისი არის სიყვარულში ერთგულების
სიმბოლო, მისი ცოცხალი განსახიერება.
ასე უცემერდნენ ჩვენი სახელოვანი წი-
ნაპრეზი ვისის და აქებ-ადიდებდნენ მას

სხვანაირად რომ ყოფილიყო, ვისი სიძვის დაცადა რომ მიეჩნიათ, როგორდა გაბეჭდავდა მაშინ დიდი ქართველი მეხოტე ჩახრუხაძე თამარ მეფისათვის ასეთი სიტყვებით მიემართა:

„რამინს უშენოდ სტკიცის: უშენოდ უშრებოდა ვისის ნამიჯნურევად“, ე. ი. რამინს გული სტკიცი, რომ ვისს გაუმჯობესებდა და არა შენ, რომ მისი სიყვარულისაგან იტანჯებოდნათ და არა შენი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩახრუხაძე ეუბნება თამარს, შენ უკეთეს ხარ, ვიდრე თვით ვისი, შენ უფრო ხარ სიყვარულის ღირსი, ვიდრე ვისი. მაშასადამე, ვისი სიკეთე და სიყვარულის ეტალონი იყო, ხოლო თამარი ამ ეტალონზე ღირული, მასზე უკეთესი.

ჩახრუხაძის მსგავსად შოთა რუსთველსაც ვისი და რამინი მიაჩნია სამაგალითო მიჯნურებად. თავისი მიჯნურთა შევილი ავთანდილ-თინათინი რომ შეაქოს, მათ რამინსა და ვისს ადარებს:

„უნახავსა და ნახულსა
სკობს ყოვლა სანახავისა,
ნუ ეპვ მიჯნურად მთებრსა,
ნუცა თუ რამინს და ვისსა.“

რუსთველი კიდევ ორ სხვა ადგილას იმოწმებს ვისისა და რამინის სიყვარულს:
„იგი ჭირი არ უნახავს
არ რამინს და არცა ვისსა“
„ფარმანს ჰკვლიდა უმისობა,
რამინისა ვითა ვისსა.“

ეს ამონაწერები ცხადყოფს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორი ვისისა და რამინის სიყვარულს სამაგალითოდ მიიჩნევდა და „ვისრამიანის“ აფასებდა არა მარტო სიყვარულის ძალის გამოხატვისათვის, როგორც ამას მკვლევარები ამტკიცებენ. ვფიქრობთ, საესებით მართალი იყო დიდი ილია, როცა სტატიაში „ვისრამიანის დაბეჭდვის გამო“ ამის თაობაზე შერდა: „რუსთაველი რამდენსამე ადგილის თვის პოემაში იხსენიებს ვისრამიანის გმირთა: ვისსა და და რამინსა, და იმათი ერთმანეთის სიყვარული და ტრფიალება მაგალითებსა-

ვთ მოჲყავს“. იმავე სტატიაში ტრატიული განვითარებული მიმოხილვა „ვისრამიანის“ — შ. ქ. ლილი ზედომქმდება ჰქონია მაშინდელებზედაც, რადგანაც იმისთვის დიდი პოეტის, როგორიც რუსთაველია, ყურადღება მიექცევია და სამაგალითოდ გახდომია“ (თხ. ტ. III, 1953 წ., გვ. 474. ხაზგამა ჩემია — შ. ქ.).

რაც შეეხება რამინს, მან ერთხელ მართლაც უღალატა ვისს,¹ დაუკერა სხვებს, რომლებიც ურჩევდნენ, თავი დაანებე შენს მიჯნურს, ქვეყანაზე ქალებს რა გამოლევს და წყარი, უშფოთველი ცხოვრება შეიქმენიო. „ვინცა თვალითა აშორავს, გულითაცა აშორავს“, უთხრეს მას და რამინიც გაშორდა ვისს, გორაბს წავიდა და იქ ცოლიც კი შეირთო. მაგრამ რამინი მალე დარწმუნდა, რომ უვისოდ ყოფნა არ შეეძლო, რომ მხოლოდ ვასი იყო მისი სიცოცხლის უშრეტი წყარო. ამიტომ იგი კვლავ მიუძრუნდა თავის მიჯნურს და სიყვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ. საგულისხმოა, რომ ვისის გარდაცვალების შემდეგ რამინმა აღარ ისურეა ცოლის აკლამაში, შეგ ჩაიყეტა და ექიდან აღარ გამოსულა. რა საუცხოო ფინალია რომანისა, რომელიც სიყვარულში ერთგულებას უგალობს!

დასახ. „ვისრამიანი“ ხანიერი, ერთგული სიყვარულის აპოლოგიაა. ვისისადმი თავისი ღალატით შეძრწენებული რამინი ტირის და მოქეამს უპარეველს ყოვლისა იმიტომ, რომ უღირსი საქციელით ცუდი მაგალითი უჩვენა სხვებს, შექმნა ფიცის გატეხის (უზენარობის), ურწმე-

1 ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ რამინის შემთხვევით კავშირს ძიძასთან, რადგან მსგავსი რამ „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილსაც შეემთხვა ფარმანთან, მაგრამ ამას ჩვენი მკვლევარები დანაშაულად არ უთვლიან. რაც ავთანდილს ეპატრიება, იგი, რა თქმა უნდა, რამინსაც უნდა ეპატიოს — შ. ქ.

ნობის, სიყვარულით თამაშის, პრეცედენტით, „დამქოლეოთ, მიჯნურნო, და დამემსის-სხლენით! — გოდებს ცი. — შესუენით ჩემინი სისხლინი ასევე, ვითა თვით ჩემინი მე შემისუმან, რათან მინდობილისა გულისა მოღალატედ გამოვჩნდა და უკველი გულის-მოცემი დავაშინე უზენარობითა ჩემითა“ (ხაზგამია ჩემია — შ. ქ.)

რამინის ღლატი მხოლოდ ერთი მომენტია, რომელიც კი ორ უარყოფს ხანიერ სიყვარულს, არამედ პირიქით, ცხადყოფს მის ძალის. მან თითქოს განაახლა ვისისა და რამინის სიყვარული, ახალი ძალა შემატა, რასაც მოჰყავა მოაბაზის დამხობა და მიჯნურთა ზეიმი. ის, რაც უკანონოდ ითვლებოდა, კანონიერი განდა — ვისი და რამინი შეულლონენ. ისინი ერთმანეთის სიყვარულით იწოდნენ, მაგრამ საქვეყნო საქმეს არ იგიწყებლენ — სახელმწიფო სულ წინ მიღიოდა, აყვავდა და მოაბადისავან შევიწროებული ქვეშევრლომნი ლოცვედნენ რამინს. აქ მკაფიოდ შეიგრძნობა რომანის ქვეტექსტი: ის, ვინც უსამართლოა პირად ცხოვრებაში, უსამართლო სახელმწიფო საქმებშიც და, პირიქით. რამინის გამარტვება მოაბადზე წარმოვგიდება როგორც კეთილის მიერ ბოროტის შემუსვრა, სამართლიანობის გამარტვება უსამართლობაზე. ეს არის რომანის კვირესენცია და მისი დიდი ღირსება, რისთვისაც ესოდენ შეიყვარეს იგი მცითხეველებმა.

ამტკიცებენ, რომ ვისრამიანული სიყვარული — ეს მარტო ხორციელი უინია, ხორციელი გატაცება და ამის ურავვ საბუთად ასახელებენ ვისისა და რამინის პირეველ შეხევდრას. ადარებენ რა ამ 'ეპიზოდს ტარიელისა და ნესტანის პირველ შეხევდრას, რომელიც სქესობრივი კავშირით კი არა, უსიტყვო სცენით დამთავრდა, გამოაქვთ დასკვნა, რომ ვისისა და რამინის მიჯნურობის მიზანი ხორციელი ნდომის დაგმაყოფილებაა და მეტი არაფერი. ეს გადაჭარბებაა. ჯერ ერთი, რამინმა და ვისმა მანამდეც ნახეს ერთ-

მანეთი და როვორც ტარიელია და ნესტანის პირველი ხილივისას, ისე რამინიც. მწერლის სიტყვებით, „რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისაგან უზრცელის ოდნად სუბუქად ჩამოიჭრა... და რა ცხენისაგან ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხან უჭერულ იღვა... სიცოცხლისაგან უიმედო იქმნა“. შემდეგ უკვე ვისმა სარგმლიდან მაღვით ჟჰევრიტა რამინს „მოაბაზის დარბაზთა შეიგან“ და აგრეთვე მოიხიბლა მისი უებრო სილამაზით. „არ რეინა ვარ, — თქვა რამინის მშეგრე-ტელმა ვისმა. — ამისა უკვეთესა მოყვარესა ვერა ვაპოვებ“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიყარენ ვანმარტოებით ვისი და რამინი, ე. ი. მაშინ, როცა პირველი ხილვის ელდა უკვე განცდილი ქქონდათ. ამდენად უფრო სამართლიანი იქნებოდა, თუ მათს შეყრას გაუთანაბრებდით ნესტანისა და ტარიელის არა პირველ, არამედ მეორე შეხევდრას, რომელსაც უსიტყვოდ აღარ ჩაულია — ხორციელმა ასე თუ ისე აქაც იჩინა თავი. ტარიელი გვამბობს, რომ ნესტანთან განშორება რომ დააპირა, ქალმა იგრძნობინა, ნუ წახვალო.

„მერმე ავდეგ წამოსავლად,
მან დამიშუო მვივე წივევა,
მწადდა, მაგრა ვერ შეკვმართე.
შემოწდომა, შემოხევევა.“

შემდეგ ვისისა და რამინის პირველი შეყრა არ ყოფილა „უგულო ხევენა-კოლა, მტლაშა-მტლუში“ და შეუძლებელია იგი გაუთანაბროთ ფატმანისა და ავთანდილის შეხევდრას, მათს ალერსს. ფატმანი არაფერს მოითხოვდა ავთანდილისაგან, გარდა ხორციელი უინის დაკმაყოფილებისა, ვისი და რამინი კი ერთად მიჯნურობამ შეყარა და მათ მტკიცე ფიცი დადეს, რომ არასოდეს ეცრუებოდნენ, არასოდეს ულალატებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ამის შემდეგ თქვა ბუნებამ თავისი სათქმელი. „რა ერთმანერთსა ესე შეცფიცეს, — გადმოვცემეს მწერალი, — დამშადებელი მოწმად დაიყე-

წეს. მათინდა ერთგან დაწენეს და გარე-
დასრულსა შირსა და ლხინსა ერთმანერთ-
სა ტამბობდეს".

მაშასადამე, თავისი ხასიათით ვისრამი-
ანული სიყვარული ხორციელია, მაგრამ
არა ბიწიერი და, ამდენად, გადაჭირდე-
ბულად ვეყჩენება მტეკცება, თითქოს
შოთა რუსთველი განხრას დაილობდა
დაეხატა „ვისრამიანში გამოყვანილის სი-
ყვარულისაგან განსხვავებული სიყვარუ-
ლი" (იუსტ. აბულაძე), ან თითქოს მან
„ველზისტყაოსნი" დაწერა იმ გავლენის
გასანელებლად, რაც ქართულ ფეოდა-
ლურ წრეებზე „ვისრამიანა" მოახდინა
(ი. ბერტელსი). ჩვენი აზრით, რუსთველ-
მა ვამოხატა არა ვისრამიანულ სიყვა-
რულთან დაპირისპირებული, არამედ
უფრო ამაღლებული, უფრო სპეციალი და
გამაცემილშობილებულ სიყვარული. თა-
ვისი ბუნებით ორივე სიყვარული მიწი-
ერი, ამქვეყნიური, ხორციელი სიყვარუ-
ლია, მაგრამ რუსთველური სიყვარული
უფრო რომანტიკული და წარმტაცია,
უფრო დააჯი და შთამაგონებელია. მაგ-
რამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ
ორივე თხზულება გადაჭრით უარყოფს
სიძვეს, მიაჩნევს რა მას სიყვარულის
პროფესიულად, ამორალურ საქციელად.
ვისი არ იყო, გადაჭრით რომ დაგმო
ძიძის დარიგება, რამინის ნებას დაჟყვა,
დედალი ღმერთს მამლისათვის გაუჩინიაო? „შენ მტერი ხარ ჩემი, — არ ძი-
ძა, — უთხრა მას ვისმა. — შენი საუ-

ბარი და სიყვარული სწორად მიჩის, გითა
შემოდგომათა ხისა ფურცელი ჩავიკრე-
ბი. და ეგრე მასწავლი, მოკლეთა დღე-
თა რად არ გაიხარებ სიძვითაო? ნეტარ
თუ სიცოცხლესა ჩემსა ყველა მაღლი
ვქმნა, უარეა სიძვითა?.. აწ მე ქენებით
ღმრთისაგან მშვიდობით დაცვასა ჩემსა
ვითხოვ და ავისა თქმისაგან ენისა ჩე-
მისა შენახვასა და ვირე ცოცხალი ვიყო,
ჩემსა სიწმიდით დაცვასა, ვითა მოყვა-
რეთა გაუხარდებოდეს და მტერთა და-
უბძიმდებოდეს; და შაგირდს ნუ მის-
ცეს ღმერთმან შენებრი ავის შემნდობე-
ლი და ეგზომ უბედურისა საქმისა მაწ-
ვევლიო".

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ,
დროა გადავსინჯოთ მეცნიერულ-სასწავ-
ლო ლიტერატურაში დღეს გაბატონებუ-
ლი შეხედულება „ვისრამიანის" ზენობ-
რივი სინამდვილის შესახებ, დროა ვისი
და რამინი აღარ მივიჩნიოთ უარყოფით
ტიპებად. „ვისრამიანი" ეროტიკული კი
არა, ხანიერი, სამუდამო სიყვარულის
პოლოგიაა. მასში ვამოხატულ სიყვა-
რულს არაფერი აქვს საერთო სიძვათან,
პირიქით, „ვისრამიანი" გმობს სიძვეს და
სწორედ ამის ვამ, მაღალ მხატვრულ
ლირსებასთან ერთად, დიკავა ესოდენ
თვალსაჩინო აღვილი ჩვენი ლიტერატუ-
რის ისტორიაში, სწორედ ამიტომ არის
ის „სასახელო იმ ერისათვის, რომელ-
საც იგი პირველიდ შეუქმნია" (ი. ჭავ-
ჭავაძე).



ქართული ნარცისი

აგელ სერგელაძე

მარქსისგური ღიგეაგაზეა პატუმში XIX საუკუნის დამდევს

არალეგალური რევოლუციური ლიტერატურა ბათუმში მუშათა მოძრაობის წარმოშობა-განვითარების პარალელურად ვრცელდება. მართალია, ზოგი უკვე მაშინ შეიცავდა მარქსიზმისათვის უცხო შეხედულებებს, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მუშები ხალისით ეტანებოდნენ სხვადასხვა წიგნებს, რომლებიც მოუწოდებლნენ მაშინდელი წყობილების დამხობისაკენ. ასეთი მიდგომა ლიტერატურისადმი, საერთოდ, დამახასიათებელი იყო რევოლუციურ მუშაობაში ახლად ჩაბმული მუშებისათვის, რადგან მთავრობის წინააღმდეგ „ბრძოლა აიძულებდა ესწავლათ, ყოველგვარი მიმართულების არალეგალური ნიწერები ეკითხათ“ (ც. ი. ლენინი, თხ. ტ. V, გვ. 660).

XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ბათუმში ვრცელდება გ. პლეხანოვის ნაშრომები. 1894 წელს აქ წაკით-

ხული ჰქონდათ, მაგალითად, მისი „მეფის მთავრობა რუსეთში შიმშილობს წინააღმდეგ ბრძოლაში“. ამავე პერიოდში შემოუტანიათ პ. აქსელროდის „მუშათა მოძრაობა და სოციალური დემოკრატია“, აგრეთვე „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სხვა გამოცემანი. ამ წიგნებზე იზრდებოდა ბათუმელ რევოლუციონერთა პირველი თაობა.

1896 წლიდან ბათუმში შემოაქვთ კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და გ. ი. ლენინის ნაწარმოებები, რომელთაგან ზოგი კიდეც ითარგმნება და ჩრდილება ქართულად. ამ საქმის ორგანიზატორი იყო პირველი მარქსისტული წრე, რომელიც გ. ი. ფრანჩესკიმ დაარსა ქართველი სოციალ-დემოკრატების დახმარებით.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის პირველი ნაშრომი, რომელიც ბათუმში წაუკითხავთ, იყო მარქსიზმის საპროგრამო დოკუმენტი „კომუნისტური პარტიის მა-

ნიფესტი“. მუშები მას გაეცნენ რუსულ თარგმანში თ. აფანასიევის თბილისის მარქსისტული წრის პიბლიოთეკის საშუალებით. მალე მანიფესტი თავადაც შეიძინეს, მაგრამ ნაშრომის შესწავლა გაუჭირდათ და წრის ხელმძღვანელობამ მისი თარგმანი დაადგინა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებს საქართველოში, საერთოდ, გაეცნენ გასული საუკუნის 70-იან წლებში. 1882 წელს ვაჭ. „შრომაში“ (№ 3) პირველად დაიმოწმეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, მაგრამ სავარაუდებელია, რომ ჩვენში მას ადრეც იცნობდნენ. 1864-1869 წლებში ევროპში ყოფნისას ნ. ნიკოლაძეს, როგორც კ. მარქსის მეგობარს, და პირველი ინტერნაციონალის სხდომების მონაწილე ქართველ ახალგაზრდობას, შეუძლებელია ამ ნაშრომშე არაფერი სმენიდათ.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ საქართველოში გ. პლეხინოვის 1882 წლის რუსულ გამოცემაში კითხულდა და მისი თარგმნის საჭიროება მაშინ არ იგრძნობოდა. მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგს სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებისა და მისი ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით მომწიფდა ამ ნაშრომის თარგმანა-გამოცემის აუცილებლობა. ამ საპატიო ამოცანის შესრულება წილად ხვდა ბათუმის პროლეტარიატს.

1896 წელს გრიგოლ სოლორაშვილი, ფილიპე გოგიჩაშვილი (შემდეგში ცნობილი პროფესორი) და გ. ფრანჩესკი შეუდგნენ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თარგმნას. საქმე წარმატებითაც მიღინდა, მაგრამ ფ. გოგიჩაშვილის საზღვარგარეთ გამგზავრებისა და სხვა დაბრკოლებათა გამო იგი რამდენადმე შეფერხდა. ამის მიუხედავად გრ. სოლორა-

შვილი და გ. ფრანჩესკი ენერგიულად ცდილობდნენ თარგმანის დამთავრებას. რაც 1897 წლის დამდეგისათვის შეასრულეს კიდევაც.

მთავარი სიძნელე ახლა მის გამოქვეყნებაში იყო. საკუთარი არალეგალური სტამბა ბათუმის მარქსისტულ წრეს მაშინ არ გააჩნდა, მაგრამ წრის წევრის მუშაბ. მელიასა და ი. ლუზინის მიერ ჰექტოგრაფის დამზადებით ეს საქმეც მოვარდდა. 1897 წლის ზაფხულში ნაშრომი უკვე დაიბეჭდა. ჰექტოგრაფზე ბეჭდვა 1,5-2 თვეს გაგრძელდა. ამის შესახებ გრ. სოლორაშვილი გვიამბობს: „დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ქართულად საჭირო ლიტერატურა არ არსებობდა. ჩვენ განვიზრახეთ „კომუნისტური მანიფესტის“ ქართულად თარგმნა. ეს საქმე მე მომანდეს, რაც შეძლებისდაგვარად შევასრულე... დავამზადეთ ჰექტოგრაფის ფიცარი და მოვხარშეთ მასა, რომელიც რამდენჯერმე გაგვიფურცელა. ბევრი ცდის შემდეგ მოვახერხეთ კარგი ჰექტოგრაფის გაკეთება. დაბეჭდილ ფურცლებს ვაშრობდით... სარეცხისათვის გაბმულ თოკზე იმ ბინაზე, საღაც გ. ფრანჩესკი ცხოვრობდა (ოქტომბრის გამზირი, № 48 — ა. ს.). დავბეჭდეთ 100 ცალამდე. პირველი 60 ეგზემდლარი კარგი გამოვიდა, დანარჩენი უფრო მყრთალი. ჩვენს მიზანს მივაღწიოთ: მარქსისტული უსაჭიროები სახელმძღვანელო, ქართულად გაღმოთარგმნილი, ხელთ გვქონდა“ („რევოლუციის მატიანე“, № 2, 1925 წ., გვ. 87).

37X40 სმ ზომის ფურცლებზე დაბეჭდილი ნაშრომი 40 გვერდისაგან შედგებოდა. სრულად თარგმნეს „მხოლოდ პირველი თავი, დანარჩენებიდან კი — ნაწყ-



ვეტები“. 1 ამის მიუხედავად ეს ფაქტი სა-
ყურადღებო ფურცელია ბათუმის შრო-
მელთა რევოლუციური მოძრაობის ის-
ტორიაში, რამდენადაც იგი, საერთოდ,
კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაწარმოებ-
თა ქართულ ენაზე თარგმნა-დატეპუდის
პირველი შემთხვევა იყო. თარგმანის
ლირსებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რა-
დგან არც ერთი ეგზემლიარი ჩვენმდე
არ მოღწეულა (ყოველ შემთხვევაში
დღემდე ნაპონი არაა).

საგულისსმოა, რომ ეს იყო ამიერკავ-
კასიში ამ ნაშრომის ერთ-ერთი პირვე-
ლი თარგმანიც. მართალია, 1894 წელს
სომხურად თარგმნეს „ნანიფესტის“ ვირ-
ველი ორი თავი, მაგრამ იგი გამოქვეყნდა
საზღვარგარეთის სომხური ემიგრან-
ტული გაზრითის „გახაპარის“ ფურცელებ-
ზე და მდგრად ფართო მასის კუთვნილება
თვით სომხეთში არ გამხდარა. მანი-
ფესტის ცალკეული ნაწილი სომხეთის
ადგილობრივ პრესაში („მურჩი“) დაიტე-
და მხოლოდ 90-იანი წლების მიწურულს.

ქართულ ენაზე დაბეჭდილ „მანიფესტი“
ბათუმის მარქსისტული წრე არა მარტო
ადგილზე იყენებდა, არამედ პროპაგან-
დისტული მიზნით საქართველო-ამიერ-
კავკასიის სხვადასხვა ქალაქშიც (ქუთაისი,

1 ცესია, ფ. 31, ს. 167, ფურც. 248.
სააჩვიონ მასალებით ჩანს ბათუმელი
სოციალ-დემოკრატების ნაყოფიერი ლი-
ტერატურულ-შემოქმედებითი და მთარ-
გმნელობითი საქმიანობა. უანდარმერის
ცნობით, „წრემ ქართულ ენაზე თარგმნა
სხვადასხვა ბროშურები“ (იქვე, ფურც.
111). წრის წევრი სპ. დონდუაც მიუთა-
თებს გრ. სოლორაშვილის თარგმნილ
„ერთ საუცხო წიგნაკზე“, რომლის „გა-
მოშვებას ძლიერ ჩქარობდა ჯუფია“ (ბა-
თუმის რევოლუციური მუშეუმის აჩვივი,
ფ. 5, ს. 43, ფურც. 6-8). ირკვევა, რომ
ბროშურა „სიზარმაციის კანონი“ დაუწე-
რიათ ი. ლუზინს და გ. ფრანჩესკის,
რომლებმაც სცადეს მისი გამოქვეყნებაც
(ცესია, ფ. 31, ს. 17, ფურც. 111).

თბილისი, ბაქო) ავტოლებდა. კ. მარქსის ნაწარმოები ბათუმში შე-
მდეგაც არაერთხელ დაიბეჭდა: 1905
წელს „ვაჭრობის თავისუფლება“, 1906
წელს — რ. რაფლენიძის თარგმნილი „სა-
ქიორა შრომა და კაპიტალი“, 1907 წელს
— იოსებ კაკაბძის მიერ ფრანგულიდან
გადმოქართულებული „ურიათა კითხვა“
და სხვ. 1 ამგერად მათი გამოქვეყნება
უზრუნველყო რსდმპ ბათუმის კომიტე-
ტიმა.

კ. მარქსის ზოგიერთი ნაშრომი ბათუმ-
ში საჩუქრის სახითაც ვრცელდებოდა. ამ
გზით გაიცნეს 1897 წელს „კაპიტალის“
ორი ტრი. გ. მაიშვილ-ზდანოვის იგი
მიურთმევია ქალაქისთვის ლუკა ასათიანი-
სათვის მარგანებზე გადასახადის დასა-
ლებად გაწეული პროტეციისათვის.
ლ. ასათანას სიხარულით მიუღია საჩუ-
ქარი. „ჩემი ნნის კაცისთვის ძნელი და-
საძლევი იყო, მაგრამ ძლიერ მესიმოვ-
ნაო“, — უთქვამს მას (დ. კლიაშვილი,
მემუარები, 1933 წ., გვ. 120-121).

ამავე პერიოდში ბათუმში ცნობილი
ხდება ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებიც. სა-
არქივო მასალით დასტურდება, რომ ბა-
თუმის პირველი მარქსისტულა წრის
წევრ ქართველ მუშებს გამოწერილი
ჰქონდათ ლეგალური მარქსისტების ორ-
განო „სამარსკი ცესტრინი“ და მეცნიე-
რულ-პოლიტიკური უურნალი „ნოვოე
სლოვო“. მიუღიათ 1896-897 წლების ნო-
მრები. ამ პერიოდში კი „სამარსკი ცეს-
ტრინისა“ და „ნოვოე სლოვოს“ ფურც-
ლებზე რევოლუციონერ-მარქსისტთა მრა-
ვალი ნაშრომი დაიბეჭდა. აქ უპირველე-
სად უნდა დაისახელოთ ვ. ი. ლენინის
„ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათე-
ბისათვის“, რომელიც 1897 წლის პრილ-
ივნისში გამოქვეყნდა უურნალ „ნოვოე
სლოვოში“. იმავე წლის შემოღომაზე
ქვევე დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის „ერთი სა-

1 ხ. ახვლედიანი, სამხრეთ საქართვე-
ლოს ბიბლიოგრაფია, 1961 წ.

2 ბათუმის რევოლუციური მუშეუმის
არქივი, ფ. 5, ს. 143, ფურც. 1-2.

გაზეთო შენიშვნა“, რომელშიც გვირა-
ტიყებულია ნ. ლევიტსკის „წერილი „ხა-
ლხის ცხოვრების ზოგიერთი საკითხის
შესახებ“.

ვ. ი. ლენინის ნაშრომის „ეკონომი-
კური რომანტიზმის დახასიათებისათვის“
საქართველოში გავრცელების თარიღად
ლიტერატურაში მითითებულია 1899 წე-
ლი.¹ ჩვენს მიერ მოტანილი მასალით კი
ჩანს, რომ ვ. ი. ლენინის ამ ნაშრომს ბა-
თუმში ნამდვილად იცნობდნენ გამოქვეყ-
ნებისთანავე, კერძოდ 1897 წელს. საგუ-
ლისხმოა, რომ აქ ამავე წელსვე გაცენენ
მის „ერთ საგაზეთო შენიშვნას“, რომ-
ლის შესახებაც ჩვენს ისტორიოგრაფი-
აში არაფერია ცნობილი.


ბათუმის მარქსისტული წრის წევრე-
ბი იღებდნენ აგრეთვე „რუს სოციალ-
დემოკრატა საზღვარგარეთის კავშირის“
კრებულს „რაბოტნიკ“ და „ლისტო რა-
ბოტნიკას“. მიუღიათ „ლისტო რაბოტ-
ნიკას“ 1896 წლის დეკემბრის ნომერი

1 ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი და სა-
ქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაცი-
ები, 1959 წ., გვ. 49.

(№ 2),¹ მაგრამ ძნელდება „რაბოტნიკული
კის“ გამოცემის დროისა და ნომრის და-
დგნა. საერთოდ, ეს კრებული გამოდიო-
და 1896-1899 წლებში. სულ დაიძევდა
ექვემდებარების ნომერი სამ წიგნად. აქედან 1896
წელს გამოქვეყნდა № 1-2, 1897 წელს —
№ 3-4, 1899 წელს — № 5-6. არსებულ
გასაღებზე დაკვირვებით გამორიცხული
არაა შესაძლებლობა, რომ ბათუმში
ჰქონდათ კურნალის პირველი ორი წი-
გნი (ვ. ი. № 1-2, № 3-4). თუ შედგო-
მი ძიებით ეს დადასტურდა, მაშინ ვვე-
ნება ეჭვმუტანელი ცნობა, რომ ვ. ი.
ლენინის სტატიას „ფრიდრიხ ენგელსი“,
რომელიც „რაბოტნიკის“ № 1-2-ში და-
იძევდა, 1896-1897 წლებში იცნობდნენ
ბათუმში.

მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე გა-
დასცლასთან უაკეშირებით მომდევნო
ხანში ბათუმში ზედიზედ ცნობილი ხდე-
ბა ვ. ი. ლენინის „ქაბიტალიზმის განვი-
თარება რუსეთში“, „რა ვაკეთოთ?“, „სო-
ფლის ღარიბებს“ და სხვ., რამაც გადა-
მწყვეტი როლი შეასრულა მასების მარ-
ქისასტული ონგრძისა და კაპიტალიზმის
წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმეაში.

1 მცხია, პდ., ს. 1225, ფურც. 17.



ჩამაზ სარგანიძე

გიორგი ყაზბეგის სამედიცინო-გეოგრაფიული ცნობები ეჭარებაზე

ოთხმოცდათი წელი ვაკედა მას შემდეგ, რაც აჭარაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა გეოგრაფმა, მოგზაურმა, საზოგადო და სამხედრო მოღვაწემ ვიორგი ყაზბეგმა. მანამდე სხვებიც ყოფილან აჭარაში, მაგრამ ამ კუთხის შესახებ ისეც. თი სინტერესო ცნობები, როგორიც ვ. ყაზბეგმა ჩაიწერა, არავს მოუცია.

აღსანიშნავია, რომ ვ. ყაზბეგს კონსპირაციით უხდებოდა მოგზაურობა (მისი ვინაობაც კი არ იცოდნენ), მაგრამ იგი სიძნელებს არ უფრთხოდა და შეუბორად განაგრძოდა თავის საქმეს.

მოგზაურობის დამთავრების შემდეგ, 1876 წელს, გ. ყაზბეგმა ზედიზედ გამოაქვეყნა ნაშრომები: „სამი თვე ისმალეთის საქართველოში“ და „ლაზისტანის სანჯაყი“. მათში საკმაოდ ვრცლადა წარმოდგენილი საქართველოსთან აჭარის შეერთებამდე პერიოდის ისტორიულ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება. ისინი შეი-

ცავენ აგრძოვე ჩვენი კუთხის სამედიცინო-გეოგრაფიულ აღწერას.

გ. ყაზბეგის ნაშრომებს აუსეთისა და საქართველოს მთელი მოწინავე საზოგადოებრივია დიდი ინტერესით შეეცდა. მას ფართოდ გამოეხმარებან ცნობილი ქართველი მოღვაწეები დ. ბაქრაძე, ი. გოგებაშვილი, ზ. ჭიჭინაძე და სხვები.

განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ნაშრომის იმ ნაწილმა, სადაც ნათევებია: „აჭარა მთლიანად დასახლებულია ქართველური ტომის ხალხით“ (გორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, 1960, გვ. 110), რომ ენიო და ჩევულებებით აჭარლები ნამდებილი ქართველები არიან. ავტორი შესანიშნავი გონიერებაზე მით აღწერს აჭარლების ანთროპოლოგის გარევან ნიშნებს და მიუთითებს, რომ აქაური მცხოვრები, სარწმუნოების გარდა, არაფრით არ განსხვავდებიან ოზურგეთის მაზრის მცხოვრებთაგან: ისეთივე სახე, ენა და ჩატმულობა, ისე-

თავე ეულად შდგომი ხის ორსართულია
ანი სახლები ხშირ ტყეებში.

საყურადღებოა გ. ყაზბეგის სტატის-
ტიკური მონაცემები მოსახლეობის რა-
ოდენობის შესახებ, რამდენადაც ისინი
გარკვეულ წარმოდგენს გვაძლევენ სა-
მედიცინო მომსახურების დონეზე. ინგ-
ლისელი კონსულის ჭიფორდ პალგრევის
მონაცემებით, 1871 წელს ზემო აქარაში
11.620 სული ყოფილა, ხოლო გ. ყაზბე-
გი 1874 წელს 12.600 სულს ვარაუდობს.
მაშასადამე, საშუალო წლიური მატება
საგანს სულსაც კი არ შეაღვნას, რაც მე-
ტად მცირეა და მეტყველებს მასობრივ
დაავადებასა და სკვერილიანობაზე.

ზემო აქარაში მოგზაურობისას გ. ყა-
ზბეგის სხალთა ნასოფლარად დახვედრია.
მოსახლეობის აყრას ის ორი მიზეზით
ხსნის: „ერთნი ამბობენ, რომ აქაური
მცხოვრებლები უკანასკნელ ქრისტიან
ეპისკოපოსთან ერთად იმერეთში გადა-
სახლდნენ და ეკლესიიდან თან წაიღეს
წმიდათა ხატები. მეორენი კი ამტკიცე-
ბენ, მოსახლეობა ადგილობრივ ფიგიან
ჰავას გაექცაო. ეს უკანასკნელი მოსახლე-
ბა უფრო დასაჯერებელია. მართლაც,
სხალთა ცეკინი ადგილია და, მიუხედა-
ვად მისი ტოპოგრაფიული უპირატესო-
ბისა იმ არეამარესთან შედარებით, სადაც
აქარლების სახლები ნაპრალებს შეჰქე-
ლებიან, აქ მაინც სამუდამოდ დასახლე-
ბას ვერავინ ვერ ბედიას“ (იქვე, გვ. 92).

ისე როგორც დამპყრობთა შემოსვევის
დროს, ეპიდემიების შიშითაც აქარის
მოსახლეობა ხშირად ტყეებსა და მიუ-
ვალ ადგილებში იხინებოდა, რაღანაც
ექიმობის არავითარი ნიშანწყალი არ
არსებოდა. „1829 წლის აგვისტოში, —
გადმოგვცემს მოგზაური, — აქარაში პი-
რი მძვინვარებდა და მოსახლეობა ტყე-
ებს შეეფარა“ (იქვე, გვ. 117). საყურა-
დღებოა გ. ყაზბეგის ცნობები, თუ რო-
გორ საშინელ ანტისანიტარულ მდგომა-
რეობაში იყო აქარის ზოგიერთი დასახ-
ლებული ადგილი, რომელიც მრავალი
დაავადების ბუდეს წარმოადგენდნენ. ამ

მხრივ განსაკუთრებით უბადრუკადგამადა
მოიყურებოდა თურქე ბათუმი, ჯარშე-
ლიც „ერთ უბრალო სოფელს წარმოად-
გებდა, სადაც მძვინვარებდა უსასტიკე-
სი ციება, არ იყო სასმელი წყალი, ხოლო
სანაპიროს დაბლობი ნაწილი დაფარული
იყო ჭაობით...“ (იქვე, გვ. 23). არანა-
ლებ სავალალო მდგომარეობაში ყოფი-
ლა ზემო აქარის მმართველი ფეოდალე-
ბის რეზიდენცია — ხულოც. თვით ბეგის
სასახლის გვერდით ასესბულ მედრესეს
ეკავა „მეტად ჭუპყიანი და ძევლი შე-
ნობა“ (იქვე, გვ. 88). აქარაში ვარგუ-
ლებულ დაავადებათაგან გ. ყაზბეგი სა-
ნაპირო ზონაში ასახელებს ციებას, ხო-
ლო ზემო აქარასა და მაჭახელში —
ჩიყებს. „ჩიყვიანები ხშირად გვხდებიან
ამ კუთხის საუკეთესო რჯახებშიც კი...“
(იქვე, გვ. 112), წერს იგი. აქედან ცხა-
დი ხდება, რომ ეს დაავადება ძირითადად
ლარიბ-ლატაკთა ხვედრი იყო.

ენდემიური და ინფექციური დაავადე-
ბების გავრცელებას აქარაში დასახლე-
ბული ადგილების ანტისანიტარულ პი-
რობებთან ერთად ხელს უწყობდა ისიც,
რომ სიღატაესა და უმეცრებაში მყო-
ფი მოსახლეობა სრულებით არ იცავ-
და პირად პიგინას. მცხოვრებთა შო-
რის ერთიც არ გამოეროდა ისეთი,
რომელსაც სცოდნოდა ავადმყოფის მო-
ვლის ულევენტარული წესები. ამის შე-
დეგად უბრალო ინფექციაც კი ადგი-
ლად ვრცელდებოდა. აქარაში არ ყო-
ფილა არც ერთი სამედიცინო დაწესე-
ბულება და ივადმყოფები მატუარა მო-
ლებისა და ექიმბაშების ხელში ვარდე-
ბოდნენ.

განსაკუთრებით მოხიბლულა გ. ყაზბე-
გი აქარის კლიმატური პირობებით და
ბუნებით, რომელთა შესახებ იმ დროი-
სათვის არ არსებოდა არავითარი მეც-
ნიერულ-მეტეოროლოგიური მასალები.
ამ კუთხის კლიმატზე მსჯელობდნენ მო-
გზაურების ღლიურებში შემონახული ზო-
გადი მონაცემებით. მოგზაურთა ამ ძუ-
წი ცნობების მიხედვით, აგრეთვე პირა-



დი დაკვირვებით, გ. ყაზბეგი მთელ ლა-
ზისტანის სანჯაყს, რომელშიც ბათუმი,
ქობულეთი, ზემო და ქვემო აჭარა, მაჭა-
ხელი, ლივანა, გონიო, ხოფა, არხავე,
ათინა და ხემშინი შედიოდა, კლიმატის
მიხედვით ყოფს სამ ზონად: ცხელი,
თბილი და ცივი. ცხელ ზონად იგი
თვლის ზღვის სანაპირო დაბლობს, სა-
ღაც ამავე დროს ნორთო ჰაერა; დანარ-
ჩენ ნაწილს, ზღვის დონიდან სუთი ათას
ფუტამდე, გ. ყაზბეგი თბილ ზონას მი-
აკუთვნებს, ხოლო მასზე ზემოთ — ცივ
ზონას.

სანაპირო ზონა წეიმებისა და მთებში
თოვლის ღინძით გამოწვეული წყალდი-
დობის გამო, რომელიც ნიაღავის თითქ-
მის მუდმივ სისველეს ქმნიდა, ხასიათ-
დებოდა ცივის ეპიდემით. ამავე უწ-
ყობდა ხელს ფართოდ გაფრცელებული
ბრინჯის პლანტაციები, რის გამო ნიაღა-
ვი არ შეძლოდა. ცივის გაფრცელების
მხრივ ყველაზე საშიშ აღგილებად გიორ-
გი ყაზბეგს ბითუმისა და ქობულეთის
მდინარეების გასწვრივ ასებული დაბ-
ლობები მიაჩნდა.

ამ ზონის ადგილები ვერტიკალური
ხაზთ უცირად იწევს ზემოთ, იცვლება
საშუალო წლიური ტემპერატურა და
კლიმატი, რომელიც განსაკუთრებით გა-
ნსაღია. მოგზაური კარგი კლიმატით
ხსნის, რომ „ჯანმრთელობის მდგრმარე-
ობა ზემო აჭარაში, შეიძლება ითქვას,
საჟერესოა, ავადმყოფობა თითქმის არ
არის, სიკვდილიანობა უმნიშვნელოა“
(იქვე, გვ. 111). გ. ყაზბეგის ეს ცნობა
ეჭვს იწვევს, რაღაც მრავალი ისტო-
რიული მონაცემით და ოვთ გ. ყაზბე-
გის ჩანაწერებით დამტკიცებულია, თუ
როგორ ავლებდა მუსის მოსახლეობას
იმ დროს გაფრცელებული დავადგებანი, განსაკუთრებით ცივია და შევი ჭირი.
ამის შედეგად დიდი იყო სიკვდილიანობა
და ნელი ტემპით იზრდებოდა მოსახლე-
ობის რიცხვი.

ბაკოში არსებულ შერიფ ხიმშიაშეი-
ლის რეზიდენციის, ე. წ. „ქოჩახს“ გ. ყა-

ზბეგი სააგარაკოდ თვლის. აუგუსტუსი
ბარეობის შესაფასებლად მას განუსაზღ-
ვრავს სიმაღლე ზღვის დონიდან, მზის
რაღიაცია, საშუალო ტემპერატურა და
ა. შ. სოფელ სხალთის შესახებ წერს,
რომ „ზამთარში ექ ცხოვრება უკეთესია,
ვიდრე მახლობლად მდებარე სხვა ძაგი-
ლებში. ყინვა არ იცის... გაშენებულია
შევი ზღვის დონიდან 2.274 ფუტზე, ანუ
1.117 ფუტით დაბლა, ვიდრე სულო. და-
ცულია ჩრდილოეთის და სამხრეთის ქა-
რებისაგან და მთელი დღის განმავლო-
ბაში უხვად იღებს მზის სხივებს. სითბო
აქ 30 და 31 მაისს 23 გრადუსს აღწევდა
მაშინ, როდესაც სულოში 27 და 28
მაისს, მიუხედავად მოწმენდილი ამინ-
დისა, ტემპერატურა 15 გრადუსი არ იყო“
(იქვე, გვ. 92).

როგორც აღნიშნეთ, ზღვის დონიდან
ხუთი ათას ფუტის ზემოთ არსებულ
ზონას გ. ყაზბეგი ცივს მიაკუთვნებს, ხო-
ლო ექვსი ათას სუთასი ფუტის ზემოთ
მცინარეული არ არის და იწყება ილ-
პური საძოვრები. შეიძ-რა ათასი ფუ-
ტიდან საშუალო წლიური ტემპერატურა
რეამიურით 4 გრადუსს უდრის, ხოლო
ცხრა ათას ფუტზე რეამიურის ორ გრა-
დუსამდე ეცემა. ამის გამო ექვიდრი
ცხოვრება მეუძღვებელია. მაჭახელი, რო-
მელიც მთიანი მხარეა და განლაგებულია
კარჩალის ქედის ჩრდილ-დასავლეთ
კალთებზე, მეტად შეაცრი კლიმატით ხა-
სიათდება და, გ. ყაზბეგის თქმით, სრუ-
ლიად იზოლირებულ მხარეს წარმოად-
გენს. ანალოგიურად არის დახასიათებუ-
ლი მთიანი აჭარის აღმური ზონაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა გ. ყა-
ზბეგის მიერ სამკურნალო-მინერალური
და სასმელი წყლების ფიზიკურ-ქიმიური
თვისებების გამოკვლევა. მას აუღია
წყლების სინკი და ქიმიური ანალიზისა-
თვის მედიცინის მეცნიერებათა დოქ-
ტორი ი. მალინინისათვის ჩაუტანია თბი-
ლისში. სამწუხაროდ, ანალიზის შედეგე-
ბი გ. ყაზბეგს თავის შრომებში არ გა-
მოუქვეყნებია და მათ სხვაგანაც ვერ მი-


ვაკელიეთ, რაც დიდ დანაკლისად უნდა
ჩაითვალოს.

ბოლოურის მინერალური წყალი გ. ყაზ-
ბეგს მოხსენიებული აქვს როგორც „ღო-
რჯომის ღირსშესანიშნაობა“. მოგზაუ-
რის მიერ ჩაწერილი თვისებებით (ტემ-
პერატურა 20 გრადუსი, გოგირდის სუ-
ნი, მომწარო გემო) უნდა ვაგულის-
მოთ, რომ მას ეს წყალი სამკურნალო წყა-
როდ მიუჩნევია. ასევე დაწვრილებით
აქვს ოწერილი გ. ყაზბეგს სოფელ კვა-
ტიის სასმელი წყალი — „სახელგანთქ-
მული წყარო“ (ტემპერატურა 6 გრადუ-
სი, დებეტი ხუთი ველრო წუთში) და
სოფელ კალოთის თავზე მდგბარე სას-
მელი წყარო, რომლის ტემპერატურა
4 გრადუსი ყოფილა, მაშინაც კი როდე-
საც ჰერის ტემპერატურა 10 გრადუსს
არ აღმატებოდა. გ. ყაზბეგი სწორად ვა-
რაუდობს, რომ ამ წყაროს ტემპერატურა
შესაძლოა ჩაითვალოს თვით ჭიდავოს
საშუალო წლიურ ტემპერატურად.

შემდეგ დანასიათებულია აბანოსზეც,
რომელსაც ეს სახელი იქ არსებული მი-
ნერალური წყლებით და „აბანოებით“
შეტანილია.

ერთ-ერთი მინერალური ტუტე წყა-
ლი, რომლის ტემპერატურა 25 გრადუსს
უდრიდა (გარემოში 12 გრადუსის არსე-
ბობისა) მდგბარეობს შავი ზღვის ღო-
ნიდან 5.384 ფუტზე. მოსახლეობას ამ
წყაროზე ძლიერ კარგი წარმოდგენა
ჰქონია, მაგრამ იყენებდა პრიმიტიულად.
იქვე მახლობლად სხვა წყაროც ყოფილა.
გ. ყაზბეგი წერს, რომ დასახლებული-
ტუტე წყლიდან ოც ნაბიჯზე არის ნახ-
შირმება რკინის შემცველი წყარო, რო-
მელიც წვეთობით გამოდის რამდენიმე
ნაპრალიდან. მისი ტემპერატურა 22 გრა-
დუსი ყოფილა.

გ. ყაზბეგმა აქარის მაშინდელი სამე-
დიცინო-გეოგრაფიული მდგომარეობის
გაშუქებით მეტად დიდი, საშვილიშვი-
ლო საქმე გააკეთა.





შოთა რუსვა

ა ი ტ რ ნ ა - დ ა ი ტ რ ნ ა

ჩაის მიმღებ პუნქტში, მაგიდასთან ნიტიფო და ტიტიკო ლეინოს სეამენ და მღერიან: „აიშონა-დაიშონა, სიმინდის და ჩაის ტონა... აქეთ ნონა, იქით ნონა, აიშონა-დაიშონა...“

ნიტიფო — ამით შენ გაგიმარჯოს, ტიტიკო!

ტიტიკო — არა, ნიტიფო, ჩემი კი არა, შენი სადლეგრძელო იყოს!

ნიტიფო — არა, ტიტიკოს გაუმარჯოს!..

ტიტიკო — კარგი, რა გაეშეყობა... .

ნიტიფო — მები ვართ და მებად დავრჩებით... ეს სოფელი ხელში ჩენ გვიცირავს... შენ ხარ და, ჩაის მიმღები ხარ, ამდენი ჩაი შენს ხელში გაივლის, ზომი იცი, ხალხს უწდა ემსახურო!

ტიტიკო — იცოცხლე, ჩემო ნიტიფო... უცდილობ სირცევილი არ ეჭამო!

ნიტიფო — ჩაი... იცი შენ რა არის ჩაი? ჩაი — ეს არის უვერო! სწონე ახლა შენ აი უვერო, როგორც მოგეხერხოს და იყავი!..

ტიტიკო — შენ იცოცხლე, ნიტიფო!..

ნიტიფო — ჰო, იმას ვამბობდი... ჩაის თითო ფოთოლი აბაზია... მერე კრიფონ

ეს აბაზები აღათიამ, კესარიამ და ვიჩერიალონ ჭიბეში (იცინის).

ტიტიკო — აპა, პა! მაგას როგორ ვიკადრებ! რად მინდა, სხვისი რად მინდა, კაცო!

ნიტიფო — ჰო, იმას ვამბობდი... გაგიმარჯოს... ახლა აგერ მე ვარ და, ამ სოფლის ფული ხომ ყველა ჩემს ხელში გაივლის... მოლარე მე ვარ და საწყობის გამგე, ფულს მე ვარიგებ და სიმინდს... ამიტომ, სოფელს თვალში რომ ჩავუკარდე, ხელს არ ამოისვამს...

ტიტიკო — კი, შენაც დიდი სიფრთხილე გინდა... ხალხს კი უყვარხარ, მარა იცოდე, მაი ხალხი ცოტა ინტირიგანია...

ნიტიფო — ჰო, იმას ვამბობდი... კოლმეურნეობის სიმინდს, პურს, ქერს რომ გწონავ, ამ სასწორს, ჩემო ტიტიკო, მინდა იქით გადავხრი, მინდა აქეთ... აიშონა-დაიშონა! მარა კი არ ვგადრუ-



ლობ, კაცო! აგერ მოკეცილ-მოკეცილი ასიანები რომ მიწყვაი ჭიბეში, შეიძლება ვიღაცას ეჭვი შეეპაროს, საიდან და როგორო, მარა შემამოწმონ, ძმაო, სულ გაშივწყებული მაქვს კველაფერი!

ტიტიკო — კა... კუკვანად უნდა ვყოთ, თორებ ხალხი გაინტრიგანდა...

ნიტიფო — ჰო, იმას ვამბობდი... შენ გაფინარჯოს!..

(შემოდის კოლმეურნე დომენტი)

დომენტი — გამარჯობა თქვენი, კა!

ნიტიფო — დომენტის გაუმარჯოს, დომენტის! ა, ერთი დაგვილივი...

დომენტი — სად მცალია, კაცო, მეჩარება... ვენახი მითუჭედება, დღესვე უნდა შევწამლო...

ტიტიკო — დომენტია, რამ გაგაბდლა, კაცო? ვენახი ჭირმა შეჭამოს, შენ აგერ, ღვინო დალიე!

დომენტი — ტიტიკო, ერთი ჩაი ამიწონე და გამიშვი, მეჩქარება...

ნიტიფო — სად გეჩქარება, დღეს უულს რომ ვარიგებ, შენ არაფერი არ ვიყუთნის?

დომენტი — თუ კი მომცემო, ნამეტანს კას იზამთ... მარა ერთი ნაწილი მიღებულიც მაქვს და კიდევ თუ რამე დარჩეს, შემომითვალეთ... ახლა მეჩქარება.

ნიტიფო — გენაფვალე სულში, ჩემო დომენტი, აბა, გამომართვი ეს ჭიქა...

დომენტი — გამიშვით, კაცო, საქმე მაქვს...

ტიტიკო — აბა, ჩვენ უსაქმურები ვართ, დილიდან რომ ესვამთ?

დომენტი — თქენოვის დღეში სამი დღე თენდება, მე ჩემს ერთ დღეს მინდა გავუფრთხილდე.

ტიტიკო — ჰოდა, დაგვლოცე ერთი!

დომენტი — ყველა პატიოსან მშრომელ კაცს გაუმარჯოს!..

ნიტიფო — გმალლობთ, ჩემთ ბატონო, როგორც იქნა, ქე გაგასწენდი!

დომენტი — ტიტიკო, დაიწვა, კაცო, ჩაი გოდორში! მოდი, სასწორზე და ამიწონე...

ტიტიკო — მერე, ვერ იტყვი? (გადაან).

ნიტიფო — დომენტი... დომენტი ენახოთ ერთი რა გერგება და რა გერვითება (უწყისი გადაშალა). დომენტი ხმელიძე... ერგება, ექვითება... ხელზე ერგება... ერგება... ექვითება... საშემოსავლო ექვითება... შეედელთან ექვითება... წისქვილის ექვითება... სინათლის ექვითება, ერგება... ერგება... არაფერი არ ერგება! ო, შენ აგშენა ღმერთმა!..

(შემოდიან დომენტი და ტიტიკო)

ტიტიკო — (ანგარიშობს) ჩაი ოცდასუთი კილო... გამოვაკლოთ ათი პროცენტი სისველის — ესე იგი სამი კილო...

დომენტი — არ გადამრიო, კაცო, რა სისველია, იქვის კველაფერი...

ტიტიკო — ახლა მშრალია, მარა მერე დასველდება...

დომენტი — მერე რა დასველებს, კაცო?

ნიტიფო — შენ რადიოს არ უსმენ? წეიმა იქნებაო, რომ ამბობდა, არ გაგრგონია?

დომენტი — მერე, პუნქტში წყალი ჩამოვა თუ?

ტიტიკო — არ უნდა ლაპარაკი... სისველის სამი კილო... დარჩა ოცდაორი. ამას დააკლდება გოზრის წონა ტვა კოლო...

დომენტი — კაცო, სად გაგონილა ნახევარფუთანი / გოზორი? ჩემი გოდორი სამი კილოა...

ნიტიფო — მერე, ამხელა კაცი სამკილოიან გოდორს იყიდებ ზურგზე?

დომენტი — ტიტიკო, მართლა რვა კილო არ დამპკლო, კაცო!

ტიტიკო — რვა არა, თერთმეტი დაგაკილი!

დომენტი — არ გაგიღდე, კაცო, მაშინ ჩაი მომეცი, უკან წავიღდებ!

ტიტიკო — (წერს) თოთხმეტი კილო... სამაგიეროდ პირველ ხარისხად ვლებულობ...

დომენტი — არ დამკლა შენი ხელით, მაგას დღეს მთელი ოჯახი ვკრებდით..

ნიტიფო — მერე, თოთხმეტი კილო ცოტაა?

დომენტი — ოცდახუთი იყო, კაცო...
ტიტიკ — რად უნდა ამდენი ვაჭრობა!
ა, გერ ქვითარი ნახე, რა ტეიტინა ქა-
ლაღზე ამოგიშეჩე, ნახე რა ქვითარი!

დომენტი — შეიღებს ვფიცაერ, ქვი-
თარს არ წავიღებ...

ტიტიკ — რამდენი იყო შენი ჩაი?..
დომენტი — გოლრიანად ოცდა რვა
კილო იყო, გერ სამი კილო სასწორზე
შომბარე, მარა არაფერი არ გთხარი...

ტიტიკ — ბევრს ილაპარაკებ, ხომ?..
შეშინ აიღო შენი უხარისხო ჩაი და წა-
ღვედან!

დომენტი — რას ქვია უხარისხო!
შერხან აქ შენს ადგილზე რომ კაცი იჯ-
და, სულ ჩემი ჩაი მოსწონდა... ერთი
კილო რაა, იმას რავა დაგვიკრგავდე!
შენ რა წავეკიდა, კაცო?

ტიტიკ — ეს იგი, მე შარშანდელი
მწინავი მჭობლა, არა?

ნიტიფო — ახლა მაგის თქმა სირცე-
ვილია!

ტიტიკ — უხარისხოდ ნაკრეცი პირ-
ვილ ხარისხად დაგიშეჩე, კიდევ აქეთ მე-
დავები?

დომენტი — არ იქნება ასე, ბიძა...
არ იქნება!.. გვეკვდა ჩენ აქ პატიოსანი
კაცი...

ტიტიკ — ეს იგი შე უპატიოსნო
გარ, არა?

ნიტიფო — ეს რამხელა შარიანი ყო-
ფილა!.. როგორ გაფუჭდა ხალხი!

ტიტიკ — ა, ჩეიდმეტს გზერ და კა-
რგი... კაცო, დომენტი, ჩენ ასეთი არ
გვევონე... აგერ სერაფიონა რომა შენი
შეზობელი, ა, შეხედე, შემწერი დედა-
ლი, ჩეთვერი შავი ლვინო, ორი ხავიაუ-
რი, ერთი ცხელი მჭადი და ჰყინტი ყვე-
ლი მოგვიტანა... ა, ბიჭი, კაცი, შენ ორ
კილო უვეროზე გვედავები!

დომენტი — საჭმელი კი, ბატონო, მო-
ბრძანდი და გაგიმასპინძლდები... მარა
ჩაი ჩაია, ბატონო...

ტიტიკ — მეზობლები ვართ, ყალბული
ცოტა თქვენც უნდა შემომხედვით და
იცით, წელს როგორ ჩავარდნილი ვარ!
მარტო „ვოლგა“ ოთხმოცი ათასი დამიჯ-
და... პოდა, შენც მედავები ორი კილო
ჩინსოფის?

დომენტი — მარტო მე კი არა, მთელი
სოფელი გედავება, ბიძა. ახლა, მე რომ
გედავე, შენი გადარჩენა მინდონა, მა-
რა არ გაეწყო... პოდა, მომეცი ეს ქვი-
თარი... (გამოართვა). მაინც თოთხმეტი
კილო დაწერე, ხომ?

ტიტიკ — წადი ახლა და სალამის
ერთი ამდენი კიდევ მომიტანე, ნუ ხარ
გაინტირგანებული... გუშინ გოგიამაც
ასე იყვირა, მერე ფაბრიკის დირექტორ-
თანაც გაიქცა, მარა რა მოიგო?

დომენტი — პოდა, ეს იგი თოთხმეტი
კილო, არა? აბა, თქვენ არაფრის არ გში-
ნებიათ!

ნიტიფო — რისი უნდა გვეშინოვეს
პატიოსან ხალხს?

დომენტი — კაი, ჩემო ბატონო. კაცის
სიაკე არ მინდა, მარა ეს რომ შეგრჩეთ,
მერე ღაიტრაბახეთ! (ქვითარს ხელში
ატრიალებს) ეს იგი, ოცდახუთში თოთხ-
მეტი, არა? (შემოლიან ქალი და კაცი).
ქალი — აბა, ამხანავო დომენტი, გვა-
ნახეთ თქვენი ქვითარი...

დომენტი — ა, ქალბატონო...

კაცი — თოთხმეტი კილო?

ქალი — თოთხმეტი? რას ამბობთ, კა-
ცო?

კაცი — დადასტურდა!.. დადასტურდა!

ტიტიკ — რა დადასტურდა, ბატო-
ნო?

ქალი — ჩენ გამოვატანეთ ოცდარვა
კილო ჩაი...

ტიტიკ — (დაბრა) თქვენ... გამო-
ტანეთ?

ქალი — დიახ, აწონილი ოცდარვა
კილო...

* ნიტიფო — თქვენ ვინ ბრძანდებათ?

კაცი — „ნიანგის“ ქორესპონდენტები
დახლავართ...

ტიტიო — ნიანგი... ნიანგი... ნიან...
გამყიდვე, ხომ, დომენტი?

დომენტი — კაპიტიც არ ამიღია!.. სულ
უფასოდ გავატანე წყალს თქვენისთანა
ნაგავი!


ნიტიო — ნიანგი გვინდოვა ახლა
ჩვენ?! (ჩამთას ხელი დაავლო და გაიპა-
რა).

ჭალი — აბა, ერთი სასწორი შეკითხვა
მოთ...

დომენტი — წამობრძანდით, ბატონო...
აგერ. მათი მრუდე სასწორი... აიშონა-
დაიშონაო... მღეროდნენ...

კაცი — „აიშონა-დაიშონა?“ ო, რა კარ-
გი სათერი გვაქვს!..

ტიტიო — დამღუპეთ, ხომი?
დომენტი — მოგხვდა ნიანგის ჩანგალი,
მუხლმა დაგიწყო კანქალი!..



ხელმოწერილია დასაბეჭიდად 3/VIII 1964 წ. საბეჭიდი 6, საგამოცემლო 5 თაბაში
შეკვეთის № 4926, ემ 00614, ქალალდის ზომა 60X90, ტირაჟი 2.600.

* * *

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდებითი სიტყვის კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწვის ბათუმის სტამბა № 9 (ლუქსემბურგის, 22).

49.10/63



9060 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литературули Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ИНДЕКС 76118